საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლიდან

№ 062 (12'438) | 15 მარტი შაბათი 2008 წელი | ფასი 50 თეთრი



რა სჭირს ტოპმიოლერს?

»» 4

დღეს
## რომა-მილანია

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-9



## ნილისყრა ჩაწყობილი იყო? »» 6

რამდენად რეალურია სკანდალის აგორება

## ინგლისური დერბი და შურისძიების მოლოდინი

ჩემპიონთა ლიგა

| | | | |
|---|---|---|---|
| მეოთხედფინალი | | | |
| 1/9 აპრილი | | | |
| | რომა | მანჩესტერი | |
| 23/29 აპრილი, ნახევარფინალი | | | |
| | შალკე | ბარსელონა | |
| 2/8 აპრილი | | | |
| | არსენალი | ლივერპული | |
| 22/30 აპრილი, ნახევარფინალი | | | |
| | ფენერბაჰჩე | ჩელსი | |

უეფას თასი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეოთხედფინალი | | | |
| 3/10 აპრილი | | | |
| | ლევერკუზენი | ზენიტი | |
| 24 აპრილი/1 მაისი, ნახევარფინალი | | | |
| | ბაიერნი | ხეტაფე | |
| 3/10 აპრილი | | | |
| | რეინჯერსი | სპორტინგი | |
| 24 აპრილი/1 მაისი, ნახევარფინალი | | | |
| | ფიორენტინა | ეინდჰოვენი | |

გამოხმაურება »» 6

# წავედით რუსთავში!



პირველ წრეში.
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი 2:1.

საქართველოს ჩემპიონატი. XVII ტურის წინათქმა »» 2-3



## ლეინი ყველაზე მაგარია

ინტერვიუ
გია ლაბაძესთან »» 10

## ახალი ფორმულა

სეზონის წარდგენა »» 14-15



# მე და ალექსიძე კიდევ ბევრს დავამტკიცებთ

## დარასელიას ფეხბურთის მუღამი დაუბრუნდა

**ვიტალი დარასელია** საქართველოში დაბრუნდა და თბილისის "ლოკომოტივში" თამაში გადაწყვიტა. სამშობლოში დაბრუნდა დროებით, მოულოდნელად, ისე, თავადაც რომ არ სურდა, მაგრამ ასე აეწყო მისი კარიერა.

დაბრუნდა იმისთვის, რომ ყველას დაუმტკიცოს - როგორი ჩამოსაწერი ფეხბურთელიც ვარ, მალე გაჩვენებთო.

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი ნახევარმცველი ბოლოს მოლდოვის ჩემპიონატის მეორეადგილოსან "დაჩიაში" თამაშობდა. გუნდში კარგად იყო, მწვრთნელი ძალიან აქებდა, მაგრამ უცებ დაკრა ფეხი და "დაჩია" მიატოვა.

ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო.

**- ვიტალი, "დაჩიაში" კარგად მიგიღეს, მცირე პერიოდში გუნდის ლიდერი გახდი და რატომ წამოხვედი, სომხეთში წასვლა უფრო გსურდათ?**

- არა, რა სომხეთში, ამაზე არასდროს მიფიქრია. სიმართლე გითხრათ, წამოვედი არა იმიტომ, რომ სადმე გადასვლა მსურდა, უბრალოდ, მოლდოვაში დარჩენა აღარ შემეძლო.

სიმართლე გითხრათ, იმ დროს მაგარი არეული ვიყავი. ერთი პერიოდი, ფეხბურთიდან წასვლაც გადავწყვიტე. თუმცა ასეთ ასაკში ძალიან ნაადრევი იქნებოდა და ისეთი მონდომებით დავიწყე ვარჯიში, წასვლაზე კი არა, ერთი ათი წელი მინდა თამაში.

"ლოკომოტივში" ნახევარი სეზონი დავრჩები და მერე ისევ უცხოეთში წავალ. ვარჯიში დავიწყე და ძალა ვიგრძენი.

**- როგორც გავიგეთ, "მიკაში" პირობების გამო არ დარჩით.**

- სომხებმა გამაგიჟეს. წასვლამდე საკმაოდ დიდ თანხას შემპირდნენ, მაგრამ ადგილზე ასჯერ ნაკლები მითხრეს. იმ თანხაზე რაღა სომხეთში ვითამაშო, საქართველოში მეგობარს მაინც დავეხმარები.

**- "ლოკომოტივის" გარდა, სხვა ვარიანტები არ გქონდათ?**

- როგორ არ იყო, აზერბაიჯანში "ყარაბახი" მიწვევდა, მაგრამ ტრანსფერები 28 თებერვალს დაიხურა, მოლდოვიდან კი გათავისუფლების ფურცელის გამოგზავნა ვერ მოასწრეს.

**- მოლდოვის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იან კარასი განსაკუთრებით თბილად გახსენებდა. ნუთუ, დარჩენა არ შემოგთავაზა?**

- შემომთავაზა, მაგრამ დარჩენა აღარ შემეძლო. კარასი კარგი ადამიანი და მწვრთნელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისე გულიანად მიმიღო, მონდომებით მარტო ამის გამო უნდა მეთამაშა. ხუთი თვის უვარჯიშებელი ჩავედი, ფორმაში არ ვიყავი, მაგრამ მწვრთნელი მენდო და ავთამაშდი. მეფესავით ვიყავი, ბევრი მნიშვნელოვანი ბურთიც გავიტანე.

კარასი მოლდოვაში წლის მწვრთნელად დაასახელეს. შარშან უეფას თასიდან "დაჩიამ" ჯერ "ბაკი" გამოაგდო, შემდეგ "სენტ-გალენი" და ბოლოს "ჰამბურგმა" დიდი ომით ძლივს გამოთიშა. "დაჩია" მდიდარი კლუბი არაა, მაგრამ პირველი წრე მეორე ადგილით დაასრულა. ეს კარასის დამსახურებაა.

"დაჩიიდან" წამოვედი, მაგრამ გული მაინც დამწყდა. ასეთი მეგობრული და შეკრული გუნდი ბევრგან არ მინახავს. კაპიტნით და მწვრთნელით დაწყებული, ყველა მაგრად დამხვდა. არანაირი "დედოვშჩინა" არ ყოფილა. დამიჯერეთ, ასე ყველგან არ ხდება.

ვახლობლობდი მინჩევთან, Gგუშასთან, პუსკასთან და ოსიპენკოსთან. ძალიან მაგარი მეგობრები შევეძინე.

**- ჯაბა დვალზე რას გვეტყოდით?**

- ჯაბას თავიდან დრო დასჭირდა, გუნდს და უცხო ვითარებას რომ შეჩვეოდა. მერე კი ისე აიწყვიტა, ველარ აჩერებდნენ. ხომ იცით რა ფეხი აქვს, მოულოდნელად და ძლიერად არტყამს. უნდა გენახათ, რას დარბოდა და რამდენს მუშაობდა. მოლდოველები გააოცა, ქართველისგან ამდენი სირბილი გაუკვირდათ. მე უფრო გამოცდილი ვარ და ყველანაირად გვერდში დავუდექი.

**- "ლოკომოტივში" როდის ითამაშებ?**

- პირველ შეხვედრას "ზესტაფონთან" ჩავატარებ.

**- რატი ალექსიძე და შენ ისევ ერთ გუნდში მოხვდით, ნაკლებად ამბიციურში, სამაგიეროდ, ორივე საკმაოდ მოტივირებული ხართ.**

- ძალიან მინდა, ბევრს დავუმტკიცო, რომ მე და რატი ალექსიძეს მაღალ დონეზე თამაში კიდევ შეგვიძლია. "ზესტაფონთან" შეხვედრას განსაკუთრებული მოლოდინით ამიტომაც ველოდები.

აქ კარგად მოვემზადები, სათამაშო პრაქტიკა მექნება და მერე ხომ გითხარით, ისევ უცხოეთში წასვლა მინდა. ფეხბურთის ისეთი სურვილი გამოჩნდა, კიდევ დიდი ხანი უნდა ვითამაშო.

**მერაბ მამულაშვილი**



ვიტალი დარასელია

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVII ტური. წინათქმა

# რთული ვოიაჟი და



ვიტ ჯორჯია-ოლიმპი. პირველ წრეში მცხეთაში ვეტერინარებმა იმარჯვეს

**ჩემპიონობის მოსურნე სამეულიდან ამჯერად ყველაზე მძიმე ბრძოლა "ვიტ ჯორჯიას" ელის. "ოლიმპს" სულ მალე ექს-ჩემპიონი ერქმევა, მაგრამ რუსთავური კლუბი მაინც ანგარიშგასაწევ მეტოქედ რჩება, მით უფრო მაშინ, როცა საკუთარ მოედანზე თამაშობს. ერთპიროვნულ ლიდერ "დინამოსა" და მის მდევარ "ზესტაფონს" ერთი შეხედვით იოლი შეხვედრები ელით, მაგრამ გამარჯვებისთვის ორივეს სრული მობილიზებით თამაში მართებს, მათი მეტოქეები უპრინციპულეს ბრძოლაში იოლად არაფერს დათმობენ. აუტსაიდერებს, "ბათუმსა" და "დილას", დღეს და ხვალ გამარჯვების რეალური შანსი მიეცემათ. მოკლედ, ეს ტურიც არაერთ შეკითხვას გასცემს პასუხს.**

### 15:00 მერანი–დინამო

15 მარტი. თბილისი. მერანი.
პირველ წრეში: 0:3

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, ლ. გრიგალაშვილი, გიგაური, ა. კალაძე, სარალიძე, ჯანგიძე, ქოქიაშვილი, კობერიძე, ბ. ჟღენტი, გოჩაშვილი

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, ვაწაძე

დისკვალიფიკაცია: სპასოევიჩი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

"დინამოს" წლეულს იოლად ერთი მატჩიც კი არ მოუგია და უნდა ვივარაუდოთ, რომ "მერანთანაც" არ ექნება იოლი გასეირნება. თასის მეოთხედფინალში "სპარტაკთან" ჩატარებულმა მატჩმა **უჰრინის** გუნდის სისუსტეები კიდევ ერთხელ გამოავლინა და ვნახოთ, გამოასწორებს თუ არა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ხარვეზთა ნაწილს მაინც. "დინამოს" ისედაც მოკლე სათადარიგო სკამი **სპასოევიჩის** დისკვალიფიკაციით კიდევ უფრო დამოკლდა. "მერანს" დასაკარგი არაფერი აქვს, **დავით ეჯიბიშვილი** და მისი ფეხბურთელები უმაღლესში დასარჩენად ბრძოლას დღევანდელი შეხვედრის ნაგების მიუხედავადაც განაგრძობს, თუმცა ცხადია, რომ პატარა სენსაციის მოსახდენად მასპინძლები თავს არ დაზოგავენ.

### 15:00 სპარტაკი–მგლები

15 მარტი. გორი. ქართლი.
პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

სპარტაკი: კოდალაევი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, ბახტურიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ტყეშელაშვილი, ძარია, გოგოხია, დათუნაშვილი, მ. ლონლაძე

მგლები: ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, ვართაგავა, კუტალია, წურწუმია, ქომეთიანი, კრასოვსკი

დისკვალიფიკაცია: დ. ქირია, გ. ქირია

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

რომ არა მეკარე **კოდალაევის** უხეში შეცდომა, "სპარტაკი" ალბათ, თასის ნახევარფინალში გააღწევდა, თუმცა ცხინვალური კლუბის მთავარი ამოცანა ჩემპიონატს უკავშირდება. წინა ტურში **ჟორჟიკაშვილის** გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და სახიფათო ზონას თავი დააღწია. "სპარტაკს" დღეს პოზიციების გამყარების ჩინებული შანსი აქვს. ბუნებრივია, ზუგდიდელებიც სრული მობილიზებით ითამაშებენ, მაგრამ ნათელია, რომ მარცხი მათ საქმეს ნაკლებად გაუფუჭებს.

### 15:00 ბორჯომი–ბათუმი

15 მარტი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი.
პირველ წრეში: 1:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბორჯომი: გრიშიკაშვილი, ქარქოზაშვილი, გუგავა, კაკუბავა, ქავთარაძე, კირთაძე, ვ. ბოლქვაძე, შ. გრიგალაშვილი, ფეიქრიშვილი, ჯიუსტი, მეგრელაძე

ბათუმი: სტურუა, ვ. კუნჭულია, თედორაძე, მაკარიანი, ცანავა, კ. მახარაძე, თურმანიძე, ქებაძე, ბეჟანიძე, გ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე

დისკვალიფიკაცია: ბაბუნაშვილი

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

კიდევ ერთი წარუმატებლობა და "ბათუმს" პირველ ლიგაში დაქვეითებისგან, ალბათ, ველარაფერი იხსნის. აჭარულ კლუბს სამი ქულა ჰაერივით ესაჭიროება და საფიქრებელია, რომ ეს მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდება. საინტერესოა, რომ ცნობილმა ევროპულმა საბუქმეკერო კანტორამ, "ბეთ-ენდ-ვინმა", ეს მატჩი თავისი პროგრამიდან ამოიღო...

### 15:00 ოლიმპი–ვიტ ჯორჯია

16 მარტი. რუსთავი. ფოლადი.
პირველ წრეში: 1:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, სილაგაძე, ნ. მგელაძე, კახელიშვილი, სტეფანიშვილი, გაბედავა, დევდარიანი, ხუბუა, კოვალევსკი, ომელიანოვი

დისკვალიფიკაცია: მახვილაძე, გენაძე

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVII ტური. წინათქმა

# ბოლო გაბრძოლება



სიონელი ბოიომო და ამერელი ტატანაშვილი დღეს ერთმანეთს ვერ დაუპირისპირდებიან

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია

დისკვალიფიკაცია: რაზმაძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

ტურის ცენტრალური მატჩი ძალიან ბევრს გადაწყვეტს. ჩემპიონობისთვის მებრძოლი "ვიტ ჯორჯია" გამარჯვებაზე ფიქრობს, თუმცა ეს ამოცანა არცთუ იოლი გადასაწყვეტი იქნება. თავის მხრივ, მოქმედ ჩემპიონსაც მხოლოდ სამი ქულა სჭირდება, სხვაგვარად, ერთადერთი მიზნისკენ, ინტერტოტოს საგზურისკენ, მიმავალი გზა გაურთულდება. ნესით, ორივე გუნდის გამარჯვებისკენ სწრაფვამ თამაშის სანახაობრივ მხარეზე სასიკეთო ზეგავლენა უნდა მოახდინოს.

**15:00 ლოკომოტივი–ზესტაფონი**

16 მარტი. თბილისი. მ. მესხი.

პირველ წრეში: 0:5

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: მ. ალავიძე, გუშარაშვილი, ფარულავა, დ. ფოფხაძე, გულორდავა, წულაძე, ზ. ჩხეტიანი, ნიკოლაიშვილი, ქუცურუა, დ. ჩაგელიშვილი, ალავერდაშვილი

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, ბენაშვილი, ხიდეშელი, კესანი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

"ლოკომოტივი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში საგრძნობლად გაძლიერდა. რამდენიმე დღის წინ დიდ ფეხბურთს რატი ალექსიძე დაუბრუნდა, გადაწყვეტილია ლევან ცქიტიშვილისა და ვიტალი დარასელიას რკინიგზელთა რიგებში ჩარიცხვის ამბავიც. ასე რომ, კიკნაძის გუნდი დიდი შემართებით ცდილობს გასავარდნი ზონიდან ამოსვლას. ასე რომ, "ზესტაფონს" რთულ ვითარებაში მოუწევს გამარჯვებისთვის ბრძოლა. სტუმრებმა მეორე წრეში უკვე საკმაოდ ფანტეს ქულები, მასპინძლებსაც სასწრაფოდ სჭირდებათ სატურნირო მარაგის შევსება... ერთი სიტყვით, "მიხეილ მესხზე" ტურის ერთ-ერთი გამორჩეული დაპირისპირება უნდა ვიხილოთ.

**15:00 სიონი–ამერი**

*პირდაპირი რეპორტაჟი მზეზე*

16 მარტი. ბოლნისი. თ. სტეფანია.

პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, ვაშაკიძე, ბ. ნოზაძე, ბაჯელიძე, სანიკიძე, კვიტაიშვილი, შ. ჯიქია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: ბოიომო, კობაური

ამერი: ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

დისკვალიფიკაცია: ტატანაშვილი

არბიტრი: ო. ხეცაძე

"კოლხიდამ" ამჯერად ბოლნისური მატჩი შეარჩია. "სიონი"-"ამერის" პირდაპირ რეპორტაჟს გულშემატკივარი ტელეკომპანია "მზის" ეთერით იხილავს. სატურნირო თვალსაზრისით, ეს სულაც არაა ამ გუნდების ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა, სამაგიეროდ, სანახაობრივი თამაშია მოსალოდნელი. ტრადიციულად, ამ გუნდებს შორის ყოველთვის უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობს. გასახსენებლად თუნდაც შარშანდელი სათასო ნახევარფინალები კმარა.

**15:00 დილა–მესხეთი**

16 მარტი გორი. თ. ბურჯანაძე.

პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

დილა: კეჩხუაშვილი, გვეტაძე, ბერიანიძე, ლაცაბიძე, ბალაშვილი, ნ. ნოზაძე, საყვარელიძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, გ. მიქაძე

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, გ. ნადირაშვილი, კობესაშვილი, ლეკიშვილი, ინასარიძე, კოშკაძე, კ. ხანიშვილი, გვირჯიშვილი, მუშკუდიანი, სამადაშვილი

დისკვალიფიკაცია: თ. ღონღაძე, რაქვიაშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

გორელებს გამარჯვების რიგიანი შანსი აქვთ, თუმცა "მესხეთი" იოლად გასატეხი არაა. ამ მატჩში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი, თუმცა ცხადია, რომ "დილის" ფეხბურთელები გაცილებით დიდი შემართებით გავლენ მოედანზე. გორელთათვის ეს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია.

ლევან ჯანეზაშვილი

**XVII ტური**

**15 მარტი, შაბათი**

| | | |
|---|---|---|
| 15:00 | ბორჯომი-ბათუმი | |
| 15:00 | სპარტაკი-მგლები | |
| 15:00 | მერანი-დინამო | |

**16 მარტი, კვირა**

| | | |
|---|---|---|
| 15:00 | ლოკომოტივი-ზესტაფონი | |
| 15:00 | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | |
| 15:00 | დილა-მესხეთი | |
| 15:00 | სიონი-ამერი | live მზეზე |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42-9 | 42 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30-9 | 40 |
| 3. ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 31-9 | 38 |
| 4. ოლიმპი | 16 | 9 | 3 | 4 | 17-11 | 30 |
| 5. ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 26-18 | 28 |
| 6. ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21-15 | 28 |
| 7. მგლები | 16 | 7 | 1 | 8 | 16-19 | 22 |
| 8. მესხეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 16-22 | 21 |
| 9. სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20-20 | 19 |
| 10. სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7-18 | 15 |
| 11. მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8-25 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 16 | 3 | 2 | 11 | 9-23 | 11 |
| 13. დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7-28 | 7 |
| 14. ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6+30 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 1. ხუციშვილი (დინამო) | 11 |
| 2. გ. მერებაშვილი (დინამო) | 10 |
| 3-5. იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| 6-8. სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

ინტერვიუ გიორგი ფეიქრიშვილთან

# სული და გული დინამოში დამრჩა

**გიორგი ფეიქრიშვილი საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია, თუმცა ისე მოხდა, რომ თბილისის "დინამოდან" "ბორჯომში" მოუწია გადასვლა. ეს 25 წლის ნახევარმცველი ერთი წლის წინათ "დინამომ" "ვიტ ჯორჯიიდან" აიყვანა დავით დიღმელაშვილთან ერთად, მაგრამ მიმდინარე სეზონის პირველი წრის შემდეგ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ფეიქრიშვილი "დინამოდან" წავიდა, თუმცა, ვინძლო ეს დროებითი იყოს...**

**- "დინამოდან" ისე წახვედი, კონტრაქტი კლუბთან ჯერ არ გაქვს ამოწურული. რა მოხდა?**

- "დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს. "ვიტ ჯორჯიიდან" "დინამოში" რომ მივედი, ეს დინამოელთა მთავარი მწვრთნელის დუშან უპრინის სურვილის გარეშე არ მომხდარა. ამ სეზონის პირველ წრეში კი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. უპრინმა ძირითადიდან ამომაგდო, ჩემს პოზიციაზე ილია სპასოევიჩს ათამაშებდა. დაველაპარაკე უპრინს ყოველივე ამაზე და მითხრა, შენს შანსს დაელოდეო. მეც ვუცდიდი ჩემ დროს, მაგრამ მწვრთნელს არა და არ შევყავდი თერთმეტ კაცში. პირველი წრის დასრულების შემდეგაც ვესაუბრე მწვრთნელს და ვერ დავინახე საიმისო პერსპექტივა, რომ ამ ეტაპზე "დინამოს" ძირითადში თამაში მომიწევდა.

**- "ბორჯომში" განათხოვრებით რა ვადით ხარ?**

- სეზონის ბოლომდე. მერე არ ვიცი, რა მოხდება. "დინამოში" დაბრუნება კი მინდა, მაგრამ ისე რომ იქ ყოფნას აზრი ჰქონდეს. სანამ "ბორჯომში" ვარ, "დინამოსთან" თამაშის უფლება არ მაქვს - ასეთია შეთანხმება.

**- "ბორჯომში" რა სიტუაცია დაგხვდა? ამ გუნდს არც თუ მცირე პრობლემები აქვს...**

- "დინამოს" ხელმძღვანელობას ვთხოვე და მეორე გუნდში ვარჯიშის ნება დამრთეს. "დინამოს" უფროსობის მადლობელი ვარ ამის გამო. მოკლედ, თბილისში ვვარჯიშობ და ბორჯომში მხოლოდ სათამაშოდ ჩავდივარ. "ბორჯომს" არ აქვს საიმისო პირობები, რომ მთელი გუნდით ბორჯომში ივარჯიშოს.

**- რა სიტუაციაშიც ახლა აღმოჩნდი, ამაზე რას იტყოდი?**

- ჩემი სული და გული "დინამოში" დარჩა და გული ძალიან მწყდება, "დინამოს" ახლა რომ ვერ ვეხმარები.

**- "დინამომდე" "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელი იყავი და სხვა გუნდებშიც გითამაშია. არსად არ გაგჭირვებია ფეხის მოკიდება. მიგაჩნია, რომ ამ მხრივ შეგექმნა პრობლემა "დინამოში"?**

- ჩემთვის არც "დინამოში" თამაში ყოფილა ძნელი, სადაც წინა სეზონის მეორე წრისთვის გადავედი, 7 გოლი გავიტანე და მეორე წრეში გოლი+პასით საუკეთესო მაჩვენებელი მე და ამერელ სულიკო დავითაშვილს გვქონდა.

**- ახლა ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატები "დინამო" და "ვიტ ჯორჯია" არიან. ორივე გუნდს კარგად იცნობ და როგორ ფიქრობ, თითოეულს რა უპირატესობა აქვს?**

- ვფიქრობ, საჩემპიონო რბოლიდან "ზესტაფონიც" არ უნდა ჩამოვწეროთ. რაც შეეხება "დინამოს" და "ვიტ ჯორჯიას", მიმაჩნია, რომ "ვიტ ჯორჯია" უფრო ენერგიული, ტემპერამენტიანი და ჟინიანი გუნდია, უფრო ახალგაზრდული შემართებით აღწევს წარმატებას, მისი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძეც საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტია, "დინამოს" პლუსი კი, რა თქმა უნდა, მეტი კლასი და გამოცდილებაა.

დავით თავართქილაძე



გიორგი ფეიქრიშვილი

# ტოპი და კონტრაქტი ისევ გადაიდო

## ჰერ კლაუსი ავად გამხდარა



კლაუს ტოპმიოლერი

ადრეც გაუწყეთ, ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი** მარტის შუა რიცხვებში აპირებს საქართველოში ჩამოსვლასო. სხვა თუ არაფერი, ტოპმიოლერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი აქვს გასაგრძელებელი, მაგრამ ჰერ კლაუსი ახლა ვერ ახერხებს ჩამოსვლას რისი მიზეზიც მისი ავადმყოფობა ყოფილა.

ტოპი ახლა შეუძლოდ კი გახლავთ, მაგრამ არა იმდენად, რომ 26 მარტს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის ბელფასტში ვერ ჩავიდეს. ერთი სიტყვით, ტოპმიოლერის საქართველოში ჩამოსვლა და კონტრაქტზე ხელმოწერა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქე

# უორთინგტონმა ირლანდიას ბესტი წაართვა

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელს **ნაიჯელ ვორთინგტონს** 26 მარტს საქართველოს წინააღმდეგ მატჩისთვის თავისი გუნდის შემადგენლობა ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ბრიტანულმა სააგენტოებმა ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო ცნობა გაავრცელეს. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ბოსმა ჩვენ მეტოქე ირლანდიას ფეხბურთელი წაართვა. ეს მოთამაშე 21 წლის ფორვარდი **ლეონ ბესტი** გახლავთ. ის სახელოვანი **ჯორჯ ბესტის** მხოლოდ მოგვარეა და ნათესაური კავშირი არ გააჩნია. წართმევაში კი ის იგულისხმება, რომ ლეონ ბესტს, ირლანდიის ჭაბუკთა ნაკრებში რამდენიმე მატჩი აქვს ჩატარებული. "ქოვენთრის" ფორვარდს 21-წლამდელთა შემადგენლობაშიც რომ ეთამაშა, მაშინ ის ირლანდიელებს დარჩებოდათ, თუმცა ფიფას წესების თანახმად, მხოლოდ ჭაბუკთა ნაკრებში თამაში შესაძლებლობას იძლევა ფეხბურთელმა სხვა ქვეყნის ახალგაზრდულ ან ეროვნულ ნაკრებში ითამაშოს.

როგორც ირკვევა, ნაიჯელ უორთინგტონს ნაკრების სკაუტებმა აუწყეს 21 წლის ლეონ ბესტის შესაძლებლობების შესახებ და მანაც არ დაახანა. "ბელფასტ ტელეგრაფის" პროგნოზით, ლეონ ბესტის (რომელიც 650 ათასი ფუნტის სანაცვლოდ გადავიდა "ქოვენთრიში") დებიუტი ჩრდილოეთი ირლანდიის ნაკრების შემადგენლობაში, სწორედ საქართველოსთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება "კარდიფ სიტის" 27 წლის ფორვარდი **უორენ ფინიც**. მან დეკემბერში ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე სამ კვირაზე მეტია გამოჯანმრთელდა და თამაში შეუძლია.

*"ახლა უკვე მწყობრში ვარ. ჩემთვის ძნელი გადასატანი იყო ის პერიოდი, რომელიც რეაბილიტაციას დასჭირდა. ბულგარეთთან ამხანაგურ მატჩს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალს. ახლა კი მზად ვარ სათამაშოდ და ნაკრებს საქართველოსთან მატჩში დავუბრუნდები"*, - აცხადებს 27 წლის ფორვარდი.

ნაკრებში დაბრუნებაზე პრეტენზია საჯაროდ განაცხადა "რეინჯერსის" 30 წლის მეკარე **როი კეროლმა**. სხვათა შორის, მას ზურგის ტრავმის შემდეგ წელიწადზე მეტია ეროვნული ნაკრების მაისურა აღარ ჩაუცვამს. მის არყოფნაში ჩრდილოირლანდიელთა კარს **მაიკ ტეილორი** იცავდა.

*"ტრავმის გამო სანაკრებო პაუზა წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, მაგრამ უკვე მზად ვარ ეროვნულ გუნდში სათამაშოდ. მაიკ ტეილორი ჩემი მეგობარია, მაგრამ ნაკრებში №1 მეკარის სტატუსზე ჩემი კონკურენტია. მზად ვარ, ამ კონკურენციაში მას ვაჯობო და საქართველოსთან ვითამაშო"*, - ასეთია კეროლის პოზიცია.

ამ თემას ნაკრების თავკაცი ნაიჯელ უორთინგტონიც გამოეხმაურა. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში როი კეროლთან სატელეფონო საუბარი ექნება და ნაკრებში მისი გამოძახების საკითხსაც მერე გადაწყვეტს.

სანამ მეკარის საკითხი ირკვევა, "ბარნსლის" ფორვარდმა **გრანტ მაკეინმა** და "სკანთორპის" თავდამსხმელმა **მარტინ პეტერსონმა** უკვე მიიღეს მიწვევა ნაკრებში.

**დავით ცაბაძე**



ლეონ ბესტი

21-წლამდელთა ნაკრები. მეტოქე

# ლატვიამ შემადგენლობა დაასახელა



გენადიუს შიტიკსი

ეროვნული ნაკრების მატჩამდე ერთი დღით ადრე შეხვედრას ჩვენი ახალგაზრდული გუნდი გამართავს. პეტარ სეგრტის კრებული 25 მაისს ლატვიას უმასპინძლებს. ამ მატჩისთვის სეგრტი მოკლე ხანში დაასახელებს ნაკრების შემადგენლობას. ლატვიის 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გენადიუს შიტიკსმა** კი ეს გუშინ გააკეთა. შიტიკსის სათბილისო ოცეული ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ჰერმანის მალინსი (სკონტო), ალექსანდრს ვლაზოვსი (მეტალურგსი), ევგენის საზონოვსი (დაუგავა).**

მცველები: **ვიტალის სმირნოვსი, სერგეის კოჟანსი, ვადიმს გაიუსი (ყველა სკონტო), არტურს სილაგაილისი (ბლაზმა), ვლადისლავს გაბოვსი (დაუგავა), რიტუს კრიაუკლისი (დინაბურგი).**

ნახევარმცველები: **ოლეგს ლაიზანსი, იგორს კოზლოვსი (ორივე სკონტო), ალექსანდრს გრამოვიჩსი (ბლაზმა), არტის ლაგჟდინსი (ვენტსპილსი), ვადიმს ჟილევსი (დაუგავა), ალექსანდრს სოლოვიოვსი, დმიტრის ზოლოტაიოვსი (ორივე ოლიმპსი).**

თავდამსხმელები: **არტიომს რუდნევსი (დაუგავა), ვლადიმირს კამეშსი (მეტალურგსი), ივანს ლუკიანოვსი (სკონტო), ედგარს გაურაჩსი (ასკოლი, იტალია).**

როგორც ხედავთ, ლატვიელთა ოცეულში 6 ფეხბურთელია "სკონტოდან". მეტოქე, მხოლოდ ერთი ლეგიონერი ჰყავს იტალიური "ასკოლიდან". ჩამონათვალში არაერთია ლატვიაში მოასპარეზე ჩვენი ლეგიონერის თანაგუნდელი. ერთი კი "დინაბურგიდანაცაა", რომლის მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტიაა**.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მეტოქე 21 მარტს იწყებს შეკრებას და თბილისში 23-ში ჩამოფრინდება.

ლატვიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევრო-2009-ის შესარჩევ ციკლში ბოლოს შარშან ჩაატარეს მატჩი. 11 ნოემბერს ლატვიელებმა შინ უნგრეთი 1:0 დაამარცხეს. მას მერე გენადიუს შეტიკსმა კიდევ ერთხელ შეკრიბა შეგირდები. 21 და 20-წლამდელთა ნაკრებები 4-6 თებერვალს ერთად ავარჯიშა და ტესტმატჩიც გამართა.

**დავით ცაბაძე**


## დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

არგენტინაში ახლად შექმნილ ქართულ საფეხბურთო გუნდ "GE-H-ARG"-ში ედუარდო დელგადოსთან სტაჟირებაზე ვიწვევთ 17-18 წლის ასაკის ფეხბურთელებს არგენტინაში გასამგზავრებლად, 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. "GE-H-ARG"-ის მთავარი მწვრთნელია, ედუარდო დელგადო. სტაჟირების პერიოდში ფეხბურთელებს გამოცდიან არგენტინულ საფეხბურთო გუნდებში და შესაბამის დონეზე მომზადებული ფეხბურთელები ჩაირიცხებიან არგენტინულ კლუბებში, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. არგენტინის კლუბებს გარდა, პარალელურად, ქართული საფეხბურთო გუნდი "GE-H-ARG"-ი კვირაში ერთხელ მართავს ამხანაგურ თამაშებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი საფეხბურთო დონის ამაღლებას. 2009 წლის მაისში, საფეხბურთო გუნდი "GE-H-ARG"-ი ქართველი ქომაგების წინაშე წარდგება



თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სდაიონზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ამხანაგურ თამაშებს გამართავს ქართულ გუნდებთან.
მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.
დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).
მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 11 მარტიდან 24 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

# დევდარიანი ორწლიან კონტრაქტს აფორმებს

## მიხარია, ჩემი ბავშვები ფედერაციამ რომ შეარჩია



გიორგი დევდარიანი

გიორგი დევდარიანი საქმეს შეუდგა და 16-წლამდელთა ნაკრები ჩაიბარა. ფეხბურთის ფედერაციაში მიხვდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დაპირისპირებულ ბანაკთან კონფრონტაცია არ შეიძლებოდა და რაც მთავარია, ამით ქართული ფეხბურთის საქმე ფუჭდებოდა. ეს ქვეყანა ერთი მუჭა ხალხია და ომი და ჩვენიან-შენიანის გარჩევა დამღუპველია.

გიორგი დევდარიანი გია ნემსაძის უახლოესი მეგობარია, არჩევნების დროს, მის პოზიციას აქტიურად იცავდა და ნემსაძის სახელობის საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მთავარი მწვრთნელია.

ასეთებს ფედერაცია ადრე ერიდებოდა, მაგრამ ერთი მუჭა ხალხის ცალ-ცალკე დგომა არ გამოდიოდა იმ დროს, როდესაც ნიჭიერი, წარმატებული სპეციალისტები თითებზე ჩამოსათვლელია.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების დაკომპლექტება როდესაც დაიწყეს, აღმოჩნდა, რომ 11 კანდიდატი "საბურთალოდან" იყო, შედარებით გაფილტრულ სიაში 9 მათგანი მოხვდა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო - ამ ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელად საუკეთესო ვარიანტი დევდარიანი იქნებოდა, რადგან 16-წლამდელებში ყველაზე მეტად მისი გაზრდილები არიან წარმოდგენილები. სხვათა შორის, ბევრისთვის უცნობია, რომ დევდარიანის "საბურთალო" წლეულს, იანვარში, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში ემზადებოდა და იქაური ამბიციური გუნდები ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურა - 4:0, 14:1 და 5:2.

გუშინწინ ფეხბურთის ფედერაციის საწვრთნელ ბაზაზე 16-წლამდელთა ნაკრები შეიკრიბა, ჩვენ კი გიორგი დევდარიანს გავესაუბრეთ.

**- უპირველესად, დავაზუსტოთ, ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი როდის გააფორმეთ?**

- დღეს შევხვდი ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და ჩემი პირობები წამოვაყენე. სხვათა შორის, ძალიან გამიხარდა, ნოდარი ჩემს მოთხოვნებს გაგებით შეხვდა. შევთანხმდით, რომ კონტრაქტი 22 მარტს გაფორმდება და ორწლიანი იქნება. ეს მისაღები და ნორმალურია.

**- "საბურთალოს" ხელმძღვანელობას დიდი გეგმები გააჩნია, პირველ ლიგაში გუნდის ჩამოყალიბებას აპირებს და ამ გეგმების დიდი ნაწილი თქვენ გიკავშირდებათ. ნაკრებში მუშაობის გამო, კლუბს ხომ არ მიატოვებთ?**

- ჩემი სურვილია, სკოლაში დაწყებული საქმე გავაგრძელო და ეს თავად სკოლის ხელმძღვანელობასაც სურს. "საბურთალოსთან" დაკავშირებით მეც დიდი გეგმები გამაჩნია, რადგან ის პერსპექტიული კლუბია.

ნაკრებში "საბურთალოს" 9 ფეხბურთელი მანამდე მიიწვიეს, სანამ მთავარ მწვრთნელად დამნიშნავდნენ. ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს რომ შევხვდი, ამ დროისთვის, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებელ მოთამაშეთა გაფართოებული სია შედგენილი ჰქონდათ.

ახალკაცმა მოიბოდიშა, ნაკრების კანდიდატები თქვენს დანიშვნამდე რომ შევარჩიეთ, მაგრამ დრო არ ითმენდაო. პირიქით, ეს უფრო გამიხარდა, "საბურთალოს" მოთამაშეები ჩემს დანიშვნამდე რომ მოეწონათ. არ მინდა, ვინმემ წამომაძახოს, საკუთარი ბავშვები წაიყვანაო.

**- ნაკრების წევრების შერჩევა უკვე დასრულდა?**

- ჯერ რა დროს დასრულებაა. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე წელიწადნახევარია დარჩენილი. მანამდე იმის თქმა ნაადრევია, ბირთვი გამოიკვეთა თუ არა. შეიძლება, დღეს თანატოლებს რომ სჯობნიან, მათ ხვალ ვილაცამ აჯობოს. წელიწადნახევარი ამ ასაკში დიდი დროა.

მსურს, თავის გამოჩენის შანსი ყველას მივცე და რაც შეიძლება ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბოთ. საბედნიეროდ, წლიდან წლამდე ვილაც ნიჭიერი ბავშვი აუცილებლად "გამოხტება" ხოლმე. სელექცია ცოცხალი პროცესია და ჩემი შვილიც რომ იყოს, თუ იმსახურებს, ნაკრებში მაინც ავიყვან. ამ გუნდში საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ.

**- 16-წლამდელთა ნაკრები უკვე შეიკრიბა. პორტუგალიის ტურნირზე როდის გაემგზავრებით?**

- ამ ტურნირზე მე არ მივემგზავრები, რადგან დელეგაციის წევრების გვარები ჩემს დანიშვნამდე კარგა ხნით ადრე უნდა გაეგზავნათ. პორტუგალიაში კი გუნდი 18 მარტს მიფრინავს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვინ არის ესპანეთში მოთამაშე ზაზა ბერიძე?

## 16 წლის ქართველი მეკარე გოთუა ბარსელონამ აიყვანა



დაიცავს ქართველი მეკარე ბარსელონის კარს?

საქართველოს შვილი არ ჰყავს დასაკარგავი. ეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გელა შეყილაძემ** მშვენივრად იცის და მართლა შესაშური სელექცია წამოიწყო.

ორი დღის წინათ ვწერდით, რომ შეყილაძე ნაკრებში მოსკოვის "სპარტაკში" მოთამაშე ნახევარმცველის **ჯანო ანანიძისა** და "ემპოლის" თავდამსხმელ **ირაკლი შეყილაძის** მოწვევას აპირებს. ნაკრების ორი ფეხბურთელი, **ბაქარ მირცხულავა** და **ნიკა ძალამიძე** კი ლისაბონის "სპორტინგში" მიიწვიეს.

თუმცა უცხოეთში წასული თუ წასასვლელი ბავშვების სია ამით არ მთავრდება. როგორც შევიტყვეთ, "ბარსელონის" 17-წლამდელთა გუნდში მცირე ხნის წინათ ქართველი მეკარე **გოთუა** ჩაირიცხა. ეს ინფორმაცია დაზუსტებულია, მაგრამ ამ ბავშვზე სხვა ვერაფერი შევიტყვეთ.

გელა შეყილაძემ ესპანეთში კიდევ ერთი საინტერესო ფეხბურთელი აღმოაჩინა - **ზაზა ბერიძე**. დავინტერესდით და ამ ბავშვზე საინტერესო და სასიხარულო ინფორმაცია მოვიპოვეთ.

ზაზა თბილისის "ოლიმპში" ვარჯიშობდა, ორი წლის წინათ კი გერმანიაში, "ფრაიბურგის" საფეხბურთო სკოლაში ჩაირიცხა. ზაზა 15 წლისაა, პოზიციით შემტევი ნახევარმცველი, ანუ ფლეიმეიკერია.

ბერიძე შარშან ესპანეთში გადავიდა და ჯერ "ხეტაფეს" აკადემიაში ვარჯიშობდა, შემდეგ კი - მადრიდის "დეპორტივოს" აკადემიაში გადავიდა. დიახ, ამ სახელის საფეხბურთო კლუბი მადრიდშიც არის. ქართველი ტალანტი მადრიდში სექტემბრამდე ივარჯიშებს, შემდეგ კი მენეჯერი ოთხი ესპანური გრანდიდან ერთ-ერთში გასინჯვას შეპირდა. ის ზაზას ნიჭიერებაში დარწმუნებულია და მისი მიყვანა მადრიდის "რეალში" სურს.

იმედია, ასეც მოხდება და მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში ქართველი ფეხბურთელი მართლა მოხვდება.

18 მარტს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში მიემგზავრება, მაგრამ ნაკრებს ბერიძე ვერ დაეხმარება - ის დღეს გამთენიისას ესპანეთში გაემგზავრა. საქმე ისაა, რომ ნაკრების წევრების სია შედგენილი იყო, როდესაც მისი არსებობა გაიგეს. სიიდან რომელიმე ბავშვის ამოგდება უხერხულობას გამოიწვევდა და მისი საქმეში ნახვა სხვა დროისთვის გადაიდო.

ზაზა ბერიძეს მშობლები საქართველოსთვის ზრდიან და თავის გამოჩენის საშუალება კიდევ მიეცემა. იმედია, ჩვენი იმედები გამართლდება და ზაზას სახით მაღალი კლასის ფეხბურთელი გაგვეზრდება.

გელა შეყილაძე ინფორმაცია უცხოეთში მცხოვრებ სხვა ქარველ ბავშვებზეც მოგვაწოდა: პორტუგალიაშია **გიორგი დიასამიძე**, ბელგიურ "ბეერსხოტ ჟერმინალში" **გუგა მიქაძე**, იტალიაში, "რომას" აკადემიაში ვარჯიშობს **ანდრიაძე**, ესპანურ "ლევანტეშია" **ბინაძე**. ისრაელში **გიორგი დარასელიას** ვაჟი თამაშობს, რომელიც ასევე 16 წლისაა.

გელა შეყილაძემ 11 მარტს გორში საუკეთესო კანდიდატების ამოსარჩევად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაკრებები შეახვედრა. ზემოთ მოყვანილი ინფორმაციებიდან უნდა დავასკვნათ, რომ უახლოეს პერიოდში მას და 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმოფანტული ქართველების შესარჩევი შეხვედრის ორგანიზებაც მოუწევთ.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. წილისყრის გამოხმაურება

# ინგლისური დერბი და შურისძიების მოლოდინი

**გუშინ, შვეიცარიულ ნიონში ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის მეოთხედფინალური და ნახევარფინალური ეტაპების წილისყრა გაიმართა. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში საჩემპიონთალიგო წყვილები იყო. მოლოდინისამებრ, პროცედურამ საინტერესო გადანაწილება მოგვცა. ასე მაგალითად, "რომა" "მანჩესტერს" შეხვდება, ინგლისურ დერბიში კი "ლივერპული" "არსენალს" დაუპირისპირდება...**

"არსენალი", რომელმაც მერვედფინალში შარშანდელი ტრიუმფატორი "მილანი" გამოთიშა, 2006 წელს ფინალში თამაშობდა, მაგრამ "ბარსელონასთან" დამარცხდა. 2003/04 წლების სეზონში კი, ინგლისურ მეოთხედფინალში "ჩელსისთან" დათმო. ახლა, "მეთოფეები" ბრწყინვალე ფორმაში არიან და განწყობაც შესაბამისი აქვთ. ჩემპიონთა ლიგის მოგების დროა - ფიქრობენ "ემირითსზე", თუმცა ისიც კარგად ესმით, რომ **არსენ ვენგერს** ახალგაზრდული გუნდის ჰყავს. მხოლოდ ახალგაზრდული შემართება კი ლიგის მოგებისთვის საკმარისი არ არის.

მეორე მხარესაა უკვე ნაცადი მებრძოლი "ლივერპული", რომელსაც ბოლო სამი ფინალიდან ორი აქვს ნათამაშები. 2005 წელს, **რაფა ბენიტესის** კრებულმა სტამბოლის თრილერში "მილანს" მოუგო. თუ პრემიერლიგის ამჟამინდელი მონაცემებით ვიმსჯელებთ, ფავორიტად "არსენალი" უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ჩემპიონთა ლიგა სხვა განზომილებაა და აქ სხვა ტიპის მატჩები იქნება, ანუ, აქ ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი.

ვენგერი: *"ჩვენ უკვე დავამარცხეთ შარშანდელი გამარჯვებული და ახლა ფინალისტს ვეთამაშებით. ცხადია, ვერ ვიტყვი, რომ ფორტუნა "არსენალის" მხარესაა. თუმცა ჩვენ იმდენად ძლიერი გუნდი გვყავს, ამ ეტაპის გავლაც შეგვიძლია. იდეალური იქნებოდა, ინგლისური კლუბი არ შეგვხვედროდა, მაგრამ რაც არის, ეს არის. ჩვენ მზად ვიყავით და ვართ ნებისმიერ მეტოქესთან შესახვედრად, რადგან მეოთხედფინალში სუსტი გუნდები არ არიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ "ლივერპულს" საოცარი ქომაგები ჰყავს. "ენფილდზე" თამაში წარმოუდგენლად ძნელია, მაგრამ განა ადვილი იყო 80-ათასიანი "სან სიროს" წინაშე გამოსვლა? ჩვენ შევძელით და დავამარცხეთ დიდი გუნდი "მილანის" სახით. ასე რომ, მზად ვართ, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადავდგათ".*

"შალკემ" მერვედფინალში პენალტებით მოუგო "პორტუს" და პირველად მოხვდა ზეპრესტიჟული ევროტურნირის რვა საუკეთესოს შორის. მაგრამ **მირკო სლომკას** გუნდს ახლა გაცილებით მძიმე გამოცდა ელის: წინ "ბარსელონაა". გავბედავთ და ვიტყვით, რომ გერმანელებს, შესაძლოა, ერთგვარი უპირატესობაც ჰქონდეთ იმ მხრივ, რომ წნეხის გარეშე ითამაშებენ. მეოთხედფინალი მათთვის ისედაც წარმატებაა, "ბარსამ" კი ეს ბარიერი ყოველ მიზეზგარეშე უნდა გადალახოს. ამას ითხოვს კატალონიური გრანდის ავტორიტეტი, ხოლო ეს, თავისთავად, გულისხმობს გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევას. ესპანური კლუბების წინააღმდეგ "ხუმარებს" უეფას სხვადასხვა ტურნირში 14-ჯერ უთამაშიათ. ამ მხრივ, სრული ბალანსია: "შალკემ" 5 მატჩი მოიგო, ამდენივეში დამარცხდა და ოთხიც ფრედ ითამაშა. მიმდინარე ტურნირში გელზენკირხენელებს "ვალენსიასთან" ჰქონდათ საქმე. ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი, "ფელტინს არენაზე", ესპანელებმა 1:0 მოიგეს, "მესტალიური" შეხვედრა კი უგოლოდ მორჩა. რას ფიქრობს "შალკეს" მწვრთნელი მირკო სლომკა?

*"ეს არის სუპერწილისყრა როგორც კლუბისთვის, ისე გუნდისთვის. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებენ ჩვენი ფანები. "ბარსას" თითოეული მოთამაშე ხომ ვარსკვლავია და მათი ყურება ერთ რამედ ღირს. მაგრამ მე მჯერა ჩვენი გულშემატკივრების და მათი მხურვალე მხარდაჭერისა. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ დიდი გუნდის წინააღმდეგ ღირსეული თამაში ვაჩვენოთ და შედეგსაც მივაღწიოთ".*

"ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი**: *"შეიძლება ითქვას, გაგვიმართლა, რაკი "შალკე" იმ გუნდებს შორის იყო, ვისთან შეხვედრასაც, ამ ეტაპზე, ნამდვილად ვისურვებდით. ჩვენი უპირატესობა შეიძლება იყოს ისიც, რომ საპასუხო მატჩს "კამპ ნოუზე" გავმართავთ. მაგრამ მაინც უდიდესი ყურადღება და მობილიზება გვმართებს, რადგან მეოთხედფინალში მხოლოდ კარგი გუნდები გადიან".*

ცალკე საკითხია "რომა"-"მანჩესტერი" და მკითხველი უმალ მიხვდება, რატომაც. შარშან, "ოლდ ტრეფორდზე", ლიგის ყველაზე ხმაურიანი მატჩი შედგა: ამავე სტადიაზე, "წითელმა ეშმაკებმა" "ჯალოროსის" 7:1 მოუგეს. ვერ დავიჯერებთ, რომ იტალიელებს კვლავ ანალოგიური კოშმარი ელოდებათ, თუმცა "მანჩესტერის" შანსები მაინც მაღალია, ოდნავ მაინც. მაგრამ ისიცაა, "რომა" წლიდან წლამდე იზრდება და **ლუჩანო სპალეტი** ამიტომაც ფიქრობს რევანშზე. შარშან, "რომას" ჯავრი "მილანმა" იყარა, ახლა კი "რომა" ლიგაში სერია A-ს ერთადერთი წარმომადგენელია და ჭაპანიც მარტომ უნდა გასწიოს. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ. მანჩესტერში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს, "ოლიმპიკოს" დაპირისპირება კი 1:1 დასრულდა.

*"ძალიან მძიმე თამაშები გველის, -* თქვა სპალეტიმ წილისყრის შემდეგ, *- "მანჩესტერი" უძლიერესი ოპონენტია მათგან, ვისაც შეიძლებოდა შევხვედროდით. ჩვენთვის მთავარი იქნება გუნდური სულის შენარჩუნება. ეს არის სწორედ "რომას" კოზირი. შარშანდელმა მარცხმა მეტი სტიმული უნდა მოგვცეს. ესეც გარკვეული შანსია. იმის მერე ჩვენ დავბრძენდით. ჩემი აზრით, შანსები 50/50-ზეა".*

სერ **ალექს ფერგიუსონი**: *"დაუჯერებელია! ძლიერი განცდა მქონდა, რომ ინგლისურ კლუბს უნდა შევხვედროდით. საოცარია პირდაპირ, "რომას" ერთ წელიწადში ექვსჯერ უნდა ვეთამაშოთ? ეს დიდი ინტრიგაა. ჩვენ ბევრი ვიცი მათზე, მაგრამ მათაც იციან ჩვენი ძლიერი და სუსტი წერტილები. ამიტომაც მგონია, რომ ეს მატჩი ძველებისგან აბსოლუტურად განსხვავებული იქნება. გულშემატკივრები ჩვენი მონაწილეობით დიდ ევრომატჩებს უნდა ელოდონ".*

"ჩელსი"-"ფენერბაჰჩეზე" რაღა ვთქვათ? თურქული კლუბს "შალკეს" შევადარებდით. ისიც მეოთხედფინალის დებიუტანტია. სიურპრიზებიც არაა გამორიცხული. თუმცა "არისტოკრატები", უბრალოდ, ვალდებულნი არიან, ბედის საჩუქარი შეირგონ და ეს ბარიერი გაიარონ.



## წილისყრა ჩაწყობილი იყო?

გუშინ ნიონში გამართულ წილისყრას უცნაური გაგრძელება მოჰყვა. Liverpool Echo's ფორუმზე მავანმა "იუზერმა", პროცედურის დაწყებამდე საათნახევრით ადრე (ბრიტანული დროით 10 საათსა და 28 წუთზე), ზუსტად "გამოიცნო" ოთხივე წყვილი. "გამოიცნო" ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვით, რომ წილისყრის შედეგების გამჭვირვალობა ბევრმა საინფორმაციო სააგენტომ უკვე ეჭვქვეშ დააყენა. ლივერპულური ფორუმის "იუზერი" ირწმუნებოდა - გავიგე, რომ "ლივერპულს" "არსენალთან" დააწყვილებენო. ამას გარდა, მან საოცარი სიზუსტით დასვა დანარჩენი სამი წყვილიც.

ამ ამბავს იმხელა რეზონანსი მოჰყვა, უეფას პრესსპიკერი უილიამ გალიარდი იძულებული გახდა, ორგანიზაციის სახელით საგანგებო განცხადება გაეკეთებინა: "არანაირი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ წილისყრა ჩაწყობილი იყო. პროცედურას მილიონობით ადამიანმა ადევნა თვალი, მათ შორის იყვნენ ოფიციალური პირებიც. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ უნდა მომხდარიყო გაყალბება. ბურთები დანიშნული არ ყოფილა, ისინი ყველას თვალწინ იხსნებოდა და ვინც წილისყრას უყურა, 150 პროცენტით დარწმუნებული იქნება, რომ ყველაფერი სამართლიანად და გამჭვირვალედ მოხდა. არ მესმის, როგორ შეიძლება, წინასწარ ეს ვინმეს სცოდნოდა. ეტყობა, ის ადამიანი ზებუნებრივი ძალითაა დაჯილდოებული".

ერთი შეხედვით, ამას მარტივი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: უბრალოდ, საიდუმლო "იუზერმა" წყვილები გამოიცნო. არადა, "უილიამ ჰილის" ბუქმეიქერულ კანტორას ოთხივე წყვილის გამოცნობაზე კოეფიციენტი 119/1-ზე ჰქონდა. ასეა თუ ისე, არც ის არის გამორიცხული, "იუზერს" სკოტლანდ იარდმა მიაკითხოს და კითხვები დაუსვას...

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXVIII ტურის წინ

# ბარსელონა სისხლისგან იცლება

## რაიკაარდს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს

**დღეს**

დეპორტივო-რეალი
რეკრეატივო-მურსია
ბეტისი-ბილბაო
ვალენსია-სევილია

**ხვალ**

ვილიარეალი-სარაგოსა
ხეტაფე-რასინგი
ესპანიოლი-მალიორკა
ვალიადოლიდი-ოსასუნა
ალმერია-ბარსელონა
ატლეტიკო-ლევანტე

მადრიდის "რეალი" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ მთელ ძალისხმევას, რა თქმა უნდა, პრიმერა დივიზიონს ახმარს. **ბერნდ შუსტერის** გუნდს ერთადერთი ტიტულის მოპოვების შანსიღა დარჩა. "ბარსელონასთან" არსებულ რვაქულიან უპირატესობას თუ გავითვალისწინებთ, სამეფო კლუბი თამამად შეგვიძლია ფავორიტად მივიჩნიოთ. თუმცა, მიუხედავად ამისა, შუსტერი აცხადებს, რომ ესპანეთის ჩემპიონატში ჯერ არაფერი გარკვეულა. გერმანელი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ მთავარი ბრძოლები წინ გველის. ამიტომ, "რეალის" მთავარი მწვრთნელი შეგირდებს "დეპორტივოსთან" შესახვედრად მთელი სერიოზულობით ამზადებდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდია შანსი იმისა, რომ დედაქალაქელებს ტრავმამოშუშებული **ვესლი სნეიდერი** დაუბრუნდეს. ჰოლანდიელმა გარემარბმა ბოლო ვარჯიშები სრული დატვირთვით ჩაატარა. შეგახსენებთ, სნეიდერი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ერთი კვირის წინათ, "ესპანიოლთან" მატჩში დაბრუნდა, თუმცა მაშინ მხოლოდ შეცვლაზე შევიდა და მინდორზე საკმაოდ ცოტა დრო დაჰყო. სნეიდერს რამდენიმე დღის განმავლობაში ფიზმომზადების სპეციალისტები ინტენსიურად ამზადებდნენ. სამეფო კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, ჰოლანდიელმა, ფაქტობრივად, ჩვეულ კონდიციებს მიაღწია. რაც მთავარია, მან ის სისწრაფე დაიბრუნა, რომლის წყალობითაც მოწინააღმდეგეებს უდიდეს პრობლემებს უქმნის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სნეიდერის სრული გამოჯანმრთელება მადრიდელთათვის ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა...

თუმცა შუსტერს თავსატეხიც არ აკლია. "რეალის" დამრიგებელმა ძირითადი შემადგენლობა **სერხიო რამოსისა** და **რუუდ ვან ნისტელროის** გარეშე უნდა დააკომპლექტოს. საქმე ის ის არის, რომ ჰოლანდიელი ფორვარდი კვლავ ტრავმირებულია. რამოსს კი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. წამყვანი მცველის ნაცვლად სავარაუდოდ **მიგელ ტორესი** იასპარეზებს. **ვან ნისტელროის** პოზიციაზე კი, ალბათ, **ჟულიო ბაპტიშტა** ითამაშებს. "დიარიო მარკა" იმასაც გვამცნობს, რომ შუახაზში **დიარასა** და **გუტის** ტანდემს ვიხილავთ.

დედაქალაქური გრანდის სტუმრობამ ლა კორუნიაში არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია. "რიასორი" მიმდინარე სეზონში პირველად გაივსება. კლუბის პრესსამსახური აცხადებს, რომ ბოლო ბილეთი ჯერ კიდევ შუა კვირაში გაიყიდა. ხალხმრავლობა "დეპორს" წარმატების შანსს მატებს, მაგრამ სრული ანშლაგი პრობლემებთანაცაა დაკავშირებული. გალისიელებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დამატებითი ღონისძიებების გატარება მართებთ. ამ მიზნით, "დეპორტივოს" ხელმძღვანელობამ დაცვის კერძო ფირმების თანამშრომელთა მთელი არმია დაიქირავა. ისინი პირობას დებენ, რომ შეხვედრამდე, მისი მსვლელობისა და ხალხის დაშლისას უსიამოვნო ინციდენტებს ადგილი არ ექნება.

გუშინ **მიგელ ანხელ ლოტინამ** მოახლოებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ მის შეგირდებს "რეალის" დამარცხება შეუძლიათ: *"ბუნებრივია, ურთულესი მატჩი გველის. სამეფო კლუბი ყოველთვის საშიში გუნდი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეხვედრა მის დაწყებამდე უნდა წავაგოთ. მთელი კვირის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვმუშაობდით. ბიჭების მდგომარეობით კმაყოფილი გახლავართ. თუ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებთ, გავიმარჯვებთ. ეს ჩვენი დიდი ოცნებაა. გულშემატკივრები ენთუზიაზმით არიან გამსჭვალულები. ქუჩაში გვაჩერებენ და გვთხოვენ, სასწაული მოვახდინოთ. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ინჩასები გავახაროთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არცთუ სახარბიელო სატურნირო მდგომარეობის გამო სამი ქულა ჰაერივით გვჭირდება. მოკლედ, მოტივაცია ნამდვილად არ გვაკლია. იმედია, იღბალი არ გაგვწირავს. ცრუ- მორწმუნე არ ვარ, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ბევრი რამ ფორტუნაზე იქნება დამოკიდებული."*

პრესკონფერენციის მიწურულს, სენიორ ლოტინას, მისი ერთ-ერთი შეგირდის, **ჟულიენ დე გუსმანის** განცხადებაზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს. შეგახსენებთ, "დეპორტივოს" კანადელმა ლეგიონერმა მთელი ესპანეთის გასაგონად განაცხადა, "რეალის" კარში გოლის გატანისთვის მზად ვარ მსხვერპლი გავიღო და სექსზე ერთი წლით უარი ვთქვაო. ლოტინა შეგირდის სიტყვებს იუმორით გამოეხმაურა: *"პრიმერა დივიზიონში გამარჯვების სანაცვლოდაც ვერ ვიტყვი სექსზე უარს. მით უმეტეს, ერთი წლით. დე გუსმანმა ძალიან გამაოცა. როგორც ჩანს, "რეალთან" მოახლოებულმა დაპირისპირებამ თავგზა აურია."*

**ფრენკ რაიკაარდს** ბერნდ შუსტერზე ბევრად უფრო მწვავე და სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. "ბარსელონას" **დეკუ** ვერ დაეხმარება. პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კურიოზული ტრავმა მიიღო. ის გასულ უქმეებზე "ვილიარეალთან" მატჩის დაწყებამდე მოთელვისას დაშავდა. სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, ფეხბურთელს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. საეჭვოა **რონალდინიოს** თამაში. გაუჩომ ხუთშაბათისა და პარასკევის ვარჯიშები კოჭის ტკივილის გამო გამოტოვა. დეკუს მსგავსად **იაია ტურეს** ასპარეზობაც გამორიცხულია. რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ კოტდივუარელ ნახევარმცველს ხერხემლის მალა დაეწია და სულ მცირე ერთთვიან დასვენებას საჭიროებს. ლაზარეთში იმყოფებიან **რაფა მარკესი** და **ჯოვანი დოს სანტოსიც**. გარდა ამისა, "ბარსელონას" **ვიქტორ ვალდესის** დაკარგვის საფრთხეც ემუქრება. კატალონიური გრანდის ძირითად მეკარეს გუშინდელ ვარჯიშზე **ლილიან ტურამი** შეეჯახა და თავის არეში ძალიან მტკივნეული დარტყმა მიიღო. ექიმებმა ის უმალ კაბინეტში გააქანეს და ნევროპათოლოგს გამოუძახეს. გაირკვა, რომ ვალდესს ტვინის შერყევა არ აქვს, თუმცა ექიმები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ პაციენტმა რამდენიმე დღით უნდა დაისვენოს, თუმცა რაიკაარდს იმის ფუფუნება არ აქვს, რომ ექიმების ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინოს. პარასკევის დაწყევლილ ვარჯიშზე პრობლემები **სილვინიოსა** და **გაბრიელ მილიტოსაც** შეექმნათ. ორივე მათგანი იძულებული გახდა, ნაადრევად დაეტოვებინათ მოედანი. ბრაზილიელს მუცელი ასტკივდა, არგენტინელს კი კუნთი დაეჭიმა. საგულდაგულო და ოპერატიული სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ სილვინიოსა და მილიოტოს სერიოზული არაფერი ანუხებთ. ამიტომ რაიკაარდმა მათი განაცხადში შეყვანა გადაწყვიტა. სავარაუდოა, რომ სიაში **ოლეგერიც** მოხვდება. კატალონიელ მცველს ხელის ორი ფალანგა ჰქონდა მოტეხილი. ერთთვიანი მკურნალობის შედეგად ტრავმა მოშუშდა და პრესასმა სრული დატვირთვით ივარჯიშა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 27 | 20 | 2 | 5 | 59-24 | 62 |
| 2. ბარსელონა | 27 | 16 | 6 | 5 | 52-23 | 54 |
| 3. ვილიარეალი | 27 | 15 | 5 | 7 | 45-36 | 50 |
| 4. ატლეტიკო | 27 | 13 | 5 | 9 | 45-32 | 44 |
| 5. რასინგი | 27 | 12 | 8 | 7 | 28-25 | 44 |
| 6. სევილია | 27 | 13 | 3 | 11 | 54-36 | 42 |
| 7. ესპანიოლი | 27 | 12 | 6 | 9 | 38-34 | 42 |
| 8. ალმერია | 27 | 10 | 7 | 10 | 23-25 | 37 |
| 9. ხეტაფე | 27 | 10 | 6 | 11 | 35-35 | 36 |
| 10. ვალენსია | 27 | 10 | 6 | 11 | 30-39 | 36 |
| 11. მალიორკა | 27 | 7 | 13 | 7 | 44-40 | 34 |
| 12. ბილბაო | 27 | 8 | 9 | 10 | 26-27 | 33 |
| 13. ოსასუნა | 27 | 9 | 6 | 12 | 30-32 | 33 |
| 14. სარაგოსა | 27 | 8 | 8 | 11 | 39-46 | 32 |
| 15. ბეტისი | 27 | 8 | 8 | 11 | 31-39 | 32 |
| 16. დეპორტივო | 27 | 8 | 7 | 12 | 32-40 | 31 |
| 17. ვალიადოლ. | 27 | 8 | 7 | 12 | 32-45 | 31 |
| 18. რეკრეატივო | 27 | 7 | 8 | 12 | 27-44 | 29 |
| 19. მურსია | 27 | 5 | 8 | 14 | 20-41 | 23 |
| 20. ლევანტე | 27 | 5 | 4 | 18 | 23-50 | 19 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXVIII ტურის წინ

# თავაწეული რომა გაბრაზებული მილანის წინააღმდეგ

## დღეს ოლიმპიკოზე დიდი მატჩია. რა ხდება ინტერის ბანაკში?

**დღეს**

უდინეზე-ლაციო
რომა-მილანი

**ხვალ**

ინტერი-პალერმო
ფიორენტინა-ჯენოა
სამპდორია-კატანია
ატალანტა-ემპოლი
კალიარი-ტორინო
ლივორნო-პარმა
რეჯინა-სიენა
იუვენტუსი-ნაპოლი



იტალიური ტურისა და ზოგადად ევროუიქენდის მთავარი მატჩი "რომა"-"მილანია". გუნდები სხვადასხვა ამოცანებს წყვეტენ. ახლა, "ჯალოროსისთვის" თითოეული ნაფორხილება სკუდეტოზე ოცნების დასრულებას ნიშნავს. დაახლოებით ანალოგიურია "როსონერის" ყოფა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, "მილანის" ერთადერთი საზრუნავი ოთხეულში მოხვედრა და საგაისოდ ევროპაში დაბრუნებაა. კარლო ანჩელოტის გუნდს "იუვენტუსთან" და "ფიორენტინასთან" უწევს კონკურენცია. ამდენად, ამოცანა მეტისმეტად რთულია. რისკი იმისი, რომ "მილანი" სალიგო კვარტეტში ვერ მოხვდეს, საკმაოდ დიდია. ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ ანჩელოტის კრებული ევროპას გამოაკლდა, მთლიანად სერია A-ზე კონცენტრირებას ნიშნავს. სწორედ ეს არის "მილანის"

**სავარაუდო შემადგენლობები**

რომა: დონი, სისინიო, ჟუანი, მექსე, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ტოტი.

მილანი: კალაჩი, ბონერა, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, ზეედორფი, პატო.

უპირატესობა. საპირისპიროდ ამისა, "რომა" ჩემპიონთა ლიგასაც შემორჩა და ახლა, ყველა მატჩის დროს ცალი თვალი "მანჩესტერთან" მომავალ დაპირისპირებაზე ექნება. წინა ტურში "როსონერიმ" "ემპოლის" გასვლაზე ბოლო წუთებში გატანილი ორი გოლით მოუგო (3:1). სტუმრად იმარჯვა "ჯალოროსიმაც", თან "ემპოლიზე" უფრო ძლიერ "ნაპოლისთან". ტოსკანური გამარჯვება "მილანისთვის" პირველია იმ "12 ფინალიდან", რაშიც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დარჩენილ შეხვედრებს გულისხმობს. როგორ იქნება "რომასთან"? მაგალითად, ანჩელოტი პირობას დებს, რომ "ოლიმპიკოზე" ხალხი სულ სხვა "მილანს" იხილავს. ვნახოთ, შაბათიც აგერაა...

რაც შეეხება საკადრო ამბებს. დიდა, რონალდო, კაფუ, სერჟინიო და ფილიპო ინძაგი ის ხუთეულია, რომელიც "მილანს" აკლია. გაურკვეველია მასიმო ოდოს ბედი. მას ტრავმა აწუხებს და, შეიძლება, დანიელე ბონერამ შეცვალოს. გამოჯანმრთელდა კლარენს ზეედორფი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ანჩელოტი ერთი ფორვარდით, ალეშანდრე პატოთი ითამაშებს. ზეედორფის ფაქტორი კი გამოიწვევს იმას, რომ კაკა უფრო მეტად იქნება დაკავებული შეტევითი ოპერაციებით.

"რომაში" ყველა ჯანმრთელადაა. ასე რომ, ლუჩანო სპალეტის



არჩევანი გაცილებით სოლიდური აქვს. მას შეუძლია, როდრიგო ტადეი თადარიგში დასვას და თავდასხმაში ფრანჩესკო ტოტის ჩერნოგორიელი მირკო ვუჩინიჩი შეუწყვილოს. მაგრამ თამაშის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ალბათ, არც სპალეტის გარისკავს, ერთ ფორვარდს დააყენებს და ნახევარდაცვას გააძლიერებს. "მილანისთვის" ტოტი მაინც ყველაზე დიდ თავსატეხად რჩება. ამ მომენტისთვის კაპიტანი შესანიშნავ ფორმაშია და მეტოქისთვის უამრავი პრობლემის შექმნა შეუძლია. სპალეტის ამოცანაა ისიც, რომ ტოტის განეიტრალების შემთხვევაში, ალტერნატიული ვარიანტი გამზადებული ჰქონდეს. ამ მხრივ, მას უფრო სიმონე პეროტა და დანიელე დე როსი გამოადგებიან.

უიქენდი "უდინეზე"-"ლაციოს" მატჩით იწყება. რომაელებს ბოლო სამი ტურია არ წაუგიათ და **დელიო როსი** სეზონის დასკვნით ნაწილს გაცილებით იმედიანად უყურებს. თავის მხრივ, ფრიულელები უეფას ზონაში დამკვიდრებისთვის იბრძვიან. პრინციპში, წარმატებული სერიის შემთხვევაში, ამ ზონაში მოხვედრა არც "ლაციალესთვის" იქნება გადაუჭრელი ამოცანა. "უდინეზეს" კვლავ ძველი პრობლემები აქვს. დაცვაში არ იქნება **კრისტიან საპატა**, ნახევარდაცვაში **კრის ობოდო**, ხოლო შეტევის ხაზს **გიან ასამოა** ვერ დაეხმარება. არანაკლებ რთულია როსის მდგომარეობა. **ლუჩანო ძაური, მასიმო მუტარელი** და **ფაბიო ფირმანი** კვლავ ტრავმირებულები არიან.

"ინტერი", რომელიც სამშაბათს ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, "პალერმოს" მასპინძლობს. სიცილიელებს ჩემპიონის წინააღმდეგ ერთგვარი უპირატესობაც შეიძლება ჰქონდეთ. **რობერტო მანჩინისთან** დაკავშირებული აჟიოტაჟის გამო, გუნდში სიტუაცია მთლად ჯანსაღი ვერ არის. ფსიქოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად "მანჩოს" დიდი ძალისხმევა მართებს. ტრავმირებულები რჩებიან **ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, ივან კორდობა** და **მაქსველი**. ნახევარდაცვაში შეიძლება დაბრუნდეს **მანიშე**, თავდასხმაში კი **ერნან კრესპო**. "პალერმო" საბრძოლო შემადგენლობითაა. მეტიც, **ფრანჩესკო გვიდოლინი** ფიქრობს, რომ განკურნებული **ფაბრიციო მიკოლი** ეგრევე ძირითადში დააყენოს.

უეფას თასის მეოთხედფინალში გასვლით ფრთაშესხმული "ფიორენტინა" "ჯენოას" მიიღებს. "ევერტონთან" მძიმე ბრძოლის შემდეგ, "იებს" სულის მოთქმა სჭირდებათ, თუმცა ლიგურიული კრებული ამის საშუალებას არ მისცემს. ტრავმირებულები არიან **ადრიან მუტუ, ფაბიო ლივერანი** და ბოლოხანს თავგამოჩენილი სენეგალელი ფორვარდი **პაპა ვაიგო**. **ჩეზარე პრანდელი** ბოლო წამს გადაწყვეტს, დააყენოს თუ არა ძირითადში **კრისტიან ვიერი**, რომელმეც ლივერპულში უსახურად ითამაშა. პრანდელისთვის ალტერნატივა შეიძლება იყოს იტალო-არგენტინელი **პაბლო ოსვალდოც**. ამას გარდა, არაა გამორიცხული, თავდასხმაში ნასწიოს **მარტინ იორგენსენი**, რომელიც **ჯამპაოლო პაცინის** დაეხმარება. "ჯენოას" თავკაც **ჯამპიერო გასპერინის** კი საკადრო პრობლემები ნაკლებად აწუხებს. ის თავდასხმაში კვლავ **ჯუზეპე სკულისა და მარკო ბორიელოს** ტანდემზე გააკეთებს აქცენტს.

შავ დღეშია "იუვენტუსი", რომელსაც "ნაპოლისთან" საშინაო მატჩში დისკვალიფიცირებული **ნიკოლა ლეგროტალიე, ჯონათან ზებინა** და **მაურო კამორანეზი** ვერ დაეხმარებიან. ამას გარდა, ტრავმირებულია საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიანო ძანეტიც**. შესაბამისად, **კლაუდიო რანიერი** იძულებული იქნება, შუა ხაზში მისგან ათვალწუნებული **ტიაგო მენდეში** გაამწესოს. პრობლემები აქვს **ედოარდო რეიასაც**. მას არ ეყოლება ექსიუვენტუსელი ფორვარდი **მარსელო სალაიეტა**, რომლისთვისაც სეზონი დასრულებულია, ხოლო რაც შეეხება კიდევ ერთ ყოფილ "ქალბატონს", **მანუელე ბლაზის**, ის ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას მოიხდის.

ლივორნოში **ექტორ კუპერის** ახალი იტალიური დებიუტი შედგება. რამდენიმე დღის წინ ის "პარმის" მწვრთნელად დაინიშნა. არგენტინელი სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს, ამდენად, ექსპერტებს ჯერჯერობით, უჭირთ იმის თქმა, თუ რა შემადგენლობას დააყენებს ის იმ "ლივორნოს" წინააღმდეგ, ვისაც ასევე ჰაერივით სჭირდება გამარჯვება. დღეს მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ პარმელთა ცენტრალური მცველი **ჯუზეპე ფალკონე** მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გააცდენს. რაც შეეხება მარჯვენა მცველს, სენეგალელ **ფერდინანდ კოლის**, ის ტრავმირებულია. ვარაუდობენ, რომ თავდასხმაში კუპერის არჩევანი **იგორ ბუდანისა** და **კრისტიანო ლუკარელის** დუეტი იქნება. "ლივორნოს" დისკვალიფიცირებული ჰყავს მცველი **ალესანდრო გრანდონი** და საყრდენი ნახევარმცველი **დანიელე დე ვეცა**.

"კატანიასთან" საშინაო მატჩში "სამპდორიას" კვლავ **ანტონიო კასანოს** გარეშე მოუწევს წარმატებაზე ფიქრი. თავზეხელაღებული ფორვარდი, დისკვალიფიკაციის გამო, კიდევ 4 მატჩს გამოტოვებს. ტრავმირებულები რჩებიან სხვა ფორვარდებიც - **კლაუდიო ბელუჩი** და **ვინჩენცო მონტელა**. ამიტომ, **ვალტერ მაძარის** მოუწევს, **ემილიანო ბონაცოლის** ნახევარმცველი **ჯენარო დელვეკიო** მიახმაროს. "კატანია" ოპტიმალური შემადგენლობითაა.

"რეჯინის" ახალი მწვრთნელი **ნევიო ორლანდი** საშინაო დებიუტისთვის ემზადება. მის მეტოქე "სიენას", რომელმაც წინა ტურში "ფიორენტინა" დაამარცხა (1:0), ამ თამაშის გოლის ავტორი **მასიმო მაკარონე** (ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული) დააკლდება. "კალიარი" და "ტორინო" საბრძოლო შემადგენლობებით არიან, "ატალანტას" კი "ემპოლისთან" საშინაო მატჩში ორი ცენტრალური მცველი, **მორის კაროციერი** და **მაქსიმილიანო პელეგრინო** დააკლდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 27 | 19 | 7 | 1 | 52-16 | 64 |
| 2. რომა | 27 | 17 | 7 | 3 | 48-24 | 58 |
| 3. იუვენტუსი | 27 | 14 | 9 | 4 | 48-24 | 51 |
| 4. ფიორენტინა | 27 | 13 | 8 | 6 | 40-26 | 47 |
| 5. მილანი | 27 | 12 | 10 | 5 | 41-21 | 46 |
| 6. უდინეზე | 27 | 11 | 7 | 9 | 34-36 | 40 |
| 7. სამპდორია | 27 | 11 | 6 | 10 | 36-34 | 39 |
| 8. პალერმო | 27 | 9 | 9 | 9 | 35-41 | 36 |
| 9. ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 31-37 | 35 |
| 10. ატალანტა | 27 | 8 | 10 | 9 | 40-41 | 34 |
| 11. ლაციო | 27 | 8 | 9 | 10 | 31-33 | 33 |
| 12. ნაპოლი | 27 | 9 | 6 | 12 | 37-42 | 33 |
| 13. ტორინო | 27 | 5 | 16 | 6 | 30-32 | 31 |
| 14. სიენა | 27 | 7 | 10 | 10 | 31-34 | 31 |
| 15. კატანია | 27 | 6 | 9 | 12 | 23-33 | 27 |
| 16. ლივორნო | 27 | 6 | 8 | 13 | 27-41 | 26 |
| 17. პარმა | 27 | 5 | 10 | 12 | 32-43 | 25 |
| 18. ემპოლი | 27 | 6 | 7 | 14 | 22-37 | 25 |
| 19. რეჯინა | 27 | 4 | 10 | 13 | 21-41 | 22 |
| 20. კალიარი | 27 | 5 | 6 | 16 | 22-45 | 18* |

*- კალიარის დაკლებული აქვს 3 ქულა

ბაიერნი

# ნერლინგერი კლინსმანთან, მენეჯერად

### იურგენს რეკორდმაისტერში კიდევ ერთი ძმაკაცი მიჰყავს...

**იურგენ კლინსმანი** "ბაიერნში" მუშაობის დასაწყებად ემზადება. როგორც იცით, გერმანიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი მომავალი სეზონიდან მიუნხენურ კლუბს ჩაუდგება სათავეში, სადაც **ოტმარ ჰიტცფელდს** შეცვლის. კლინსი ახლა იმ გუნდის შეკრებითაა დაკავებული, რომელიც "ბაიერნს" მასთან ერთად გაწვრთნის. 44 წლის **მარტინ ვასკესის** შემდეგ, რომელიც კლინსიმ თავის ასისტენტად დანიშნა, იურგენმა "ბაიერნის" ხელმძღვანელებს კიდევ ერთი კანდიდატურა წარუდგინა: 34 წლის **კრისტიან ნერლინგერი**, რომელიც ახლო წარსულიდანაც გეხსომებათ. ეს უკანასკნელი კლინსის შტაბში შევა და გუნდის მენეჯერი იქნება. ბავარიელთა ბოსმა **ული ჰიონესმა** ნერლინგერის კანდიდატურა უკვე დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ გუნდის მენეჯერის შტატი "ბაიერნში" არ არსებობდა, მაგრამ უკვე შექმნილია.

ნერლინგერი "ბაიერნში" 1992-დან 1998 წლამდე თამაშობდა და ბუნდესლიგაში რეკორდმაისტერის მაისურით 156 მატჩს მოუყარა თავი (27 გოლი). ამის შემდეგ კი ჯერ დორტმუნდის "ბორუსიას", მერე კი გლაზგოს "რეინჯერსს" მიაშურა (2001-2004). ბოლოს "კაიზერსლაუტერნში" თამაშობდა, სადაც ხშირი ტრავმიანობის გამო იძულებული გახდა, აქტიური სპორტული კარიერა დაესრულებინა.



კლინსმანს მხარში კრისტიან ნერლინგერიც ამოუდგება

ნერლინგერი (6 მატჩი გერმანიის ნაკრებში) სერიოზული ადამიანია და მისი მშვიდი ხასიათი მიუნხენში ყველას აფიქრებინებს, რომ გუნდის მენეჯერის პოსტისთვის იდეალური კანდიდატურაა. თანაც, კრისტიანს სპორტული მენეჯმენტის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. იცის ინგლისური ენა და ახლა იტალიურსაც სწავლობს. 1 ივლისიდან ის გუნდის მენეჯერი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბაიერნის" გენერალურ მენეჯერ ჰიონესს საქმეს შეუმსუბუქებს. კლინსმანს "ბაიერნში" კიდევ ერთი მწვრთნელის მიყვანა სურდა, მაგრამ ამის ნება აღარ დართეს. სამაგიეროდ, კლინსი მიუნხენურ კლუბში **ოლივერ შმიდტლაინს** (42) დააბრუნებს, რომელიც ფიტნესს-ექსპერტი და ფიზიოთერაპევტი გახლავთ. ეს უკანასკნელი "ბაიერნში" 2002-დან 2007 წლამდე მუშაობდა და ამასთან, იურგენს გერმანიის ნაკრების სამედიცინო შტაბშიც ჰყავდა. *"როცა იურგენმა ეს პოსტი შემომთავაზა, ძალიან გამიხარდა და მაშინვე დავთანხმდი. ჩემი ამოცანა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება იქნება. ამასთან, მარკეტინგის კუთხითაც ვიმუშავებ. ვიქნები შუამავალი გუნდს, მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას შორის. მე ამ გუნდში გავიზარდე და "ბაიერნს" ჩემს გულში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მიხარია, რომ ვბრუნდები,"* – განუცხადა ნერლინგერმა "ბილდს".

**გოტფრიდ ლენცი**

ბარსელონა

# რონალდინიოს ფრენკთან ერთად თამაში სურს

უკვე მერამდენე წელია, **ფრენკ ლემპარდის** მომავალთან დაკავშირებით ჭორები არ წყდება. ხშირად გვსმენია, რომ ინგლისელი ვარსკვლავი "ჩელსიდან" აბარგებას აპირებს. სხვათა შორის, ყველაზე რეალურ ვარიანტად მის "ბარსელონაში" გადაბარგებას მიიჩნევენ. ტრადიცია წელსაც არ დარღვეულა. გუშინ ესპანურ გაზეთებში დაიწერა, რომ კატალონიური გრანდი ლემპარდს კონტრაქტს სთავაზობს. თითქოს, "ჩელსის" პრობლემებით თავმობეზრებული ფრენკი თანახმაა, დაუყოვნებლივ გააფორმოს ხელშეკრულება. ისიც დაიწერა, ინგლისელი საკუთარი კლუბის მესვეურებს ესპანელ კოლეგებთან მოლაპარაკების დაწყებისკენ მოუწოდებსო.

ინფორმაციას "ბარსას" დირექტორებზე ადრე **რონალდინიო** გამოეხმაურა. აი, რა განაცხადა გაუჩომ: *"უზომოდ ბედნიერი ვიქნები, თუ ჩიკი ბეგირისტაინი "ჩელსისთან" მოლაპარაკებას წამოიწყებს და ფრენკ ლემპარდს "ბარსელონაში" გადმოიყვანს. ამაზე უკეთესი ტრანსფერის გაჩარხვა შეუძლებელია. ლემპარდი გენიალური ნახევარმცველია. ძალიან მინდა, მასთან ერთად ვითამაშო. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობა სწორად შეაფასებს ვითარებას და ამ მიმართულებით ინტენსიურად იმუშავებს. წარმოიდგინეთ, როგორ გაძლიერდება ჩვენი ნახევარდაცვა, თუ ლემპარდი ჩვენთვის გაირჯება. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მჯერა, ინგლისელი წელს მაინც გადმოვა "კამპ ნოუზე"*.




ფრენკ ლემპარდი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის წინ

# ბაიერნი: იოლი გასეირნება კოტბუსში?

## ვერდერს მაგათის მგლები გამოცდიან

| გუშინ | |
|---|---|
| შალკე-დუისბურგი | 2:1 |
| **დღეს** | |
| ბოხუმი-შტუტგარტი | |
| კოტბუსი-ბაიერნი | |
| ჰამბურგი-ბორუსია (დ) | |
| ჰანზა-ჰერტა | |
| ჰანოვერი-არმინია | |
| კარლსრუე-აინტრახტი | |
| **ხვალ** | |
| ლევერკუზენი-ნიურნბერგი | |
| ვერდერი-ვოლფსბურგი | |

გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა შტუტგარტმა, რომელსაც ამ სეზონში საქმეები ძალიან ცუდად წაუვიდა, შუა კვირაში გამოტოვებული მატჩი ჩაატარა და მოიგო, რითაც "კარლსრუეს" გადაასწრო და "შალკეს" მიუახლოვდა. ეს გახლდათ შვაბთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება და ჩვენც ვწერდით, რომ "შტუტგარტი" დაბრუნდა. ამჯერად **არმინ ფეეს** გუნდი "ბოხუმს" სტუმრობს. გუნდის კაპიტანი **ფერნანდო მეირა**, რომელმაც "კოტბუსთან" ერთადერთი გოლი გაიტანა, ტრავმირებულია და მისი თამაში საეჭვოა. რაც შეეხება "ბოხუმს": ბოლო დროს რურელებიც გამოსწორდნენ და ცხრილის შუაში დაიდეს ბინა, ზედიზედ სამი თამაშია არ წაუგიათ და ბოლო 6 საშინაო მატჩიდან ხელცარიელები არცერთში არ დარჩენილან.

"ბოხუმს" კუდში მისდევს დორტმუნდის "ბორუსია", რომლის მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** შეუძლია, კვლავ გამოიყენოს **რობერტ კოვაჩი** და **დედე**, სამაგიეროდ, ველარ დაიხმარს **დიეგო კლიმოვიჩსა** და **ფლორიან კრინგეს** (ორივე ტრავმირებულია). დღეს ვესტფალიელები "ჰამბურგს" სტუმრობენ, რომელიც უეფას თასს დაემშვიდობა და ახლა მთლიანად იმაზეა კონცენტრირებული, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვოს.

როგორც შევთანხმდით, ამ დღევანდელი გადასახედიდან "ბაიერნს" არაფერი ემუქრება. 7-ქულიანი უპირატესობა ბუნდესლიგაში ძალიან ბევრს ნიშნავს. უეფას თასზე ჩატარებულმა შეხვედრამ (ანდერლეხტთან 1:2) ბავარიული გიგანტიც არ დალალა, რადგან **ჰიტცფელდმა** ძირითადი შემადგენლობა 9 პოზიციაზე (!) შეცვალა. დღეს კი, ოტმარის ბიჭებს სავარაუდოდ, იოლი გასეირნება ელით "კოტბუსში" – წარმოუდგენელია, რომ "ენერგიმ" "ბაიერნს" პრობლემები შეუქმნას. ასე რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი, ჰიტცფელდის ბიჭები მორიგ სამ ქულას მოიპოვებენ. შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შეხვედრა მიუნხენელებმა 5:0 მოიგეს და მაშინ **მიროსლავ კლოზემ** ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ბოლოადგილოსან "კოტბუსს" ბილეფელდის "არმინია" მხოლოდ 2 ქულით უსწრებს. მართალია, "არმინია" გასავარდნ ზონაში ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ თუ **მიხაელ ფრონტცეკის** შეგირდები დღეს ან უახლოეს მომავალში არ მოიგებენ, შავ სიაში მოხვდებიან. შეგახსენებთ, რომ ბილეფელდურ კლუბს 2008 წელს არცერთი შეხვედრა არ მოუგია. დღეს "არმინია" "ჰანოვერს" სტუმრობს. "წითლებს" **ტარნატი** ჰყავთ ტრავმირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვის მარცხენა ფლანგზე **კრისტიან შულცი** ითამაშებს, რომელსაც **დიტერ ჰეკინგი** ბოლო დროს ფლეიმეიქერად (!) ამწესებდა ხოლმე. ტრავმირებულია მარჯვენა მცველი **ჩერუნდოლოც** და მას სავარაუდოდ, საყრდენი **ბალიტში** შეცვლის. და ვინ ითამაშებს ნახევარდაცვის ცენტრში? **ლალა**? ამ უკანასკნელს გრიპი აქვს! **ვინიციუსი**? ტრავმირებულია! შესაბამისად, შანსი **ჟურავს** უჩნდება.

კარლსრუეს "ვილდპარკშტადიონზე" **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი "აინტრახტს" უმასპინძლებს – ეს გახლავთ ბრძოლა უეფას თასის საგზურისთვის. ბადენელთა რიგებში კვლავ გამოჩნდება კაპიტანი **მარიო ეგიმანი**, რომელმაც უკვე გააფორმა წინასწარი კონტრაქტი "ჰანოვერთან" და მომავალი სეზონიდან "კარლსრუეს" დატოვებს. წინა კვირას შვეიცარიელი მცველი ტრავმირებული იყო და ის **შტოლმა** შეცვალა. დღეს ეს უკანასკნელი კვლავ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს. ერთადერთი ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი ან **ფრაისს** ვიხილავთ, ანაც **კაპლანის**, რომელსაც ამ სეზონში გოლი ჯერ არ გაუტანია - **კენედი** ტრავმირებულია! ფრანკფურტელებს კი **კირიაკოსი** (ტრავმა) არ ეყოლებათ. მის ნაცვლად დაცვის ცენტრს ალბათ, **რუსი** გაამაგრებს, რომელიც საყრდენის პოზიციაზე თამაშობდა. თავის მხრივ, ამ უკანასკნელს **კიოლერი** შეცვლის.

როსტოკში ერთმანეთს ძველი "მეგობრები", "ჰანზა" და "ჰერტა" დაუპირისპირდებიან – ეს მატჩი ჩრდილო-აღმოსავლური დერბია. მეკლენბურგელთათვის თითოეული ქულა ძალიან მნიშვნელოვანია. "ჰანზას" მარცხენა მცველი **მარკ შტაინი** თავისი მომავალი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს – მან "ჰერტასთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. ბერლინელებმა სამშაბათს **მალიკ ფათი** დაკარგეს, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად, 4 მილიონ ევროდ მოსკოვის "სპარტაკში" გაიყიდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ ბერლინელთა დამრიგებელ **ლუსიენ ფავრს** დღეს ფეხბურთელებთან კონტაქტი აუკრძალა, მაგრამ "ჰერტამ" ეს გადაწყვეტილება განგებ გაასაჩივრა, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ძალაში ჯერ არ შესულა. შესაბამისად, ფავრი "ჰერტას" სათადარიგოთა სკამზე იქნება. დედაქალაქელებს ლაზარეთიდან **არნე ფრიდრიხი** უბრუნდებათ.

ხვალ, "ლევერკუზენი" მძიმე მდგომარეობაში მყოფ "ნიურნბერგს" უმასპინძლებს – "ბაიერი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, ფრანკებს კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. მეორეადგილოსანი "ვერდერი", რომელიც უეფას თასიდან გავარდა, "ლევერკუზენს" 2 ქულით უსწრებს. ასე რომ, ბრემენელებს მოდუნების უფლება არა აქვთ. ხვალ **თომას შააფის** გუნდს მორიგ გამოცდას **ფელიქს მაგათის** "მგლები" მოუწყობენ. "დესპოტი ფელიქსი" სავარაუდოდ, ისევ დაცვით ტაქტიკას აირჩევს და მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშებს. გოლის გამტანის როლი ან **გრაფიტეს** დაეკისრება, ანაც **ლიუბოჟას**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 23 | 14 | 8 | 1 | 41-11 | 50 |
| 2. ვერდერი | 23 | 13 | 4 | 6 | 51-34 | 43 |
| 3. ჰამბურგი | 23 | 11 | 9 | 3 | 34-17 | 42 |
| 4. ლევერკუზენი | 23 | 12 | 5 | 6 | 41-23 | 41 |
| 5. შალკე | 24 | 11 | 8 | 5 | 38-25 | 41 |
| 6. შტუტგარტი | 23 | 12 | 1 | 10 | 39-38 | 37 |
| 7. კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 29-31 | 36 |
| 8. ვოლფსბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 39-35 | 33 |
| 9. აინტრახტი | 23 | 8 | 9 | 6 | 27-30 | 33 |
| 10. ჰანოვერი | 23 | 9 | 5 | 9 | 33-39 | 32 |
| 11. ჰერტა | 23 | 9 | 4 | 10 | 26-29 | 31 |
| 12. ბოხუმი | 23 | 8 | 6 | 9 | 35-36 | 30 |
| 13. ბორუსია (დ) | 23 | 8 | 5 | 10 | 35-39 | 29 |
| 14. ჰანზა | 23 | 6 | 5 | 12 | 21-32 | 23 |
| 15. არმინია | 23 | 5 | 4 | 14 | 21-47 | 19 |
| 16. ნიურნბერგი | 23 | 4 | 6 | 13 | 24-36 | 18 |
| 17. დუისბურგი | 24 | 5 | 3 | 16 | 24-39 | 18 |
| 18. კოტბუსი | 23 | 3 | 8 | 12 | 23-40 | 17 |




არათანაბარი დუელი: კოტბუსი-ბაიერნი. რეკორდმაისტერმა პირველი წრის მატჩი 5:0 მოიგო, მიროსლავ კლოზემ კი (მარჯვნივ) ჰეთ-თრიკი შეასრულა

ინტერვიუ პერ მერტეზაკერთან

# ბაიერნი? მხოლოდ ვერდერზე ვფიქრობ!

## ბრემენული გუნდისა და გერმანიის ნაკრების მცველს კატასტროფული კვირა ჰქონდა

არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ იურგენ კლინსმანი "ვერდერისა" და გერმანიის ნაკრების მცველ პერ მერტეზაკერს ზაფხულში "ბაიერნში" წაიყვანს, მაგრამ რეკორდმაისტერის ქომაგები მოსალოდნელ ტრანსფერს პესიმისტურად უყურებენ, რადგან 23 წლის მცველი ბოლო დროს ძალიან ცუდად გამოიყურება. "კიკერი" მერტეს ბრემენულ კლუბში შექმნილ ვითარებაზე, სამომავლო პერსპექტივასა და "შტუტგარტთან" მატჩზე ესაუბრა, სადაც პერმა საშინლად ითამაშა...



პერ მერტეზაკერი

**- პერ მერტეზაკერ, "ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესს უკვე გადაუხადეთ მადლობა?**

- რისთვის, რა გამიკეთა?

**- ბუნდესლიგის წინა ტურში, "შტუტგარტთან" ამაზრზენად ითამაშეთ და ყველაზე უარესი შეფასება, 6 ბალი დაიმსახურეთ. მიუხედავად ამისა, ჰიონესმა ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში დაგიცვათ...**

- ღმერთო ჩემო, აი, თურმე რას გულისხმობთ...

**- და ცხადია, მაშინვე დაიწყო სპეკულაციები იმის შესახებ, რომ თქვენ ზაფხულში "ბაიერნში" გადახვალთ. ისე, დიდი ხანია ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იურგენ კლინსმანს თქვენი მიუნხენში წაყვანა უნდა...**

- მე მხოლოდ "ვერდერზე" ვარ კონცენტრირებული და თანაც მთელი გულით. ვინც სხვა რამეს ამბობს, სასტიკად ცრუობს.

**- არც ის იყო გასაკვირი, რომ თქვენი მდგომარეობა მიროსლავ კლოზეს შარშანდელ მდგომარეობას შეადარებს. როცა დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ "ბაიერნს" კლოზეს გადაბირება უნდოდა, მირომ გოლების გატანა შეწყვიტა და ძალიან ცუდად თამაშობდა. ბოლო თამაშებში თქვენც არ გავხართ საკუთარ თავს...**

- მშვენიერია. ხვალ ციდან ვარსკვლავებს მოვწყვეტ!

**- სპეკულაციები მაშინ დაიწყო, როდესაც თქვენი მრჩეველი მიუნხენში, ნახეს და გაირკვა, რომ ის ბავარიის მთავარ ქალაქში გადასახლდა.**

- ვისი რა საქმეა, სად იცხოვრებს ჩემი მრჩეველი? ეს მისი პირადი საკითხია და ჩემთან ან ჩემს მომავალთან არანაირი კავშირი არა აქვს.

**- "შტუტგარტთან" მატჩი და საერთოდ, ის საშინელი დღე უკვე დაივიწყეთ?**

- შეიძლება ითქვას, რომ დავივიწყე. საერთოდ, მთელმა გუნდმა ცუდად ითამაშა. შევეცდები, შეცდომებზე ვისწავლო.

**- როგორ შეაფასებდით იმ სცენას, როცა მოედნიდან გაგაძევეს?**

- ეს იყო მომენტი, როცა მცველი უბრალოდ ვალდებულია, რისკზე წავიდეს. გომესისთვის ბურთი აუცილებლად უნდა წამერთმია. რეაქცია დავაგვიანე და მარიოს ფეხში მოვარტყი. საბოლოოდ ჩემი ქმედება ვინანე, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

**- წითელი ბარათი კი იმას ნიშნავს, რომ ორ მატჩს გამოტოვებთ...**

- ეს სავსებით ნორმალურია, შენდობას არც ველოდი.

**- როგორ მოახერხეთ ამ რთული მატჩის დავიწყება?**

- ახლობლებმა შემაძლებინეს – ოჯახმა, მეგობრებმა, მრჩეველმა, ყოფილმა მწვრთნელმა. ყველა მხარში ამომიდგა. ჩემმა ახლობლებმა იციან, როგორ დამეხმარონ რთულ მომენტებში.

**- ანუ, თერაპია ჩაგიტარეს?**

- დიახ. საერთოდ, სპორტსმენი შეცდომებს ხშირად უშვებს და ამაში გასაოცარი არაფერია. სამაგიეროდ, ყველა ვერ ახერხებს იმას, რომ შეცდომებზე ისწავლოს და აღარ გაიმეოროს. მე ეს შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ვახერხებდი.

**- მწვრთნელ თომას შააფთან არ გისაუბრიათ?**

- არა და ვფიქრობ, ეს არც იყო საჭირო.

**- თქვენმა თანაგუნდელმა და მეწყვილემ, ნალდომ განაცხადა, "ვერდერი" ძალიან რისკიან ფეხბურთს თამაშობს და ასე აღარ უნდა გაგრძელდესო...**

- ნალდოს ვეთანხმები იმაში, რომ "შტუტგარტთან" ასეთ ცუდ დღეში თავი თვითონ ჩავიგდეთ და ასეთი რამ მართლაც აღარ უნდა განმეორდეს. არც ის მიკვირს, რომ "ვერდერის" სტილს კრიტიკოსები გამოუჩნდნენ. მაგრამ ჩვენი სიძლიერე და სავიზიტო ბარათი ყოველთვის შემტევი და თავბრუდამხვევი ფეხბურთის ჩვენება იყო და სტილის შეცვლას არ ვაპირებთ. 3:6 "შტუტგარტში" – ეს ჩემთვის, არც მეტი, არც ნაკლები, უბრალოდ, ფეხის დაცდენა იყო.

**- "ვერდერმა" კონტრშეტევებზე უკვე 12 გოლის გაშვება მოასწრო და ამ მხრივ ბუნდესლიგაში პირველ ადგილზეა, რაც საამაყო ნამდვილად არ არის...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით, "შტუტგარტმა" კონტრიერიშებით გაგვანადგურა. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ზედმეტად შემტევი ტაქტიკა ავირჩიეთ. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი გუნდი ძალიან ახალგაზრდაა და გამოუცდელიც.

**- "შტუტგარტთან" წაგებას უეფას თასიდან გამოვარდნა მოჰყვა. თქვენც ფიქრობთ, რომ "ვერდერს" სადავეები ხელიდან გაექცა?**

- დარწმუნებული ვიყავი, რომ "რეინჯერსის" გაგდება შეგვეძლო. 0:2 არაერთხელ შემოგვიტრიალებია. გლაზგოელებს ვაგრძნობინეთ, ვინც არის "ვეზერშტადიონის" ბატონ-პატრონი, მაგრამ სამწუხაროდ, ერთ გოლზე მეტი ვერ გავუტანეთ...

**- ახლა კი მხოლოდ ბუნდესლიგის იმედად დარჩით. მენეჯერი კლაუს ალოფსი ამბობს, ამ სეზონში ტიტულს ველარ მოვიგებთო...**

- 3:6-ის შემდეგ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ გერმანიის ჩემპიონატში ჯერაც მეორე ადგილზე ვართ.

**- დაბოლოს, გერმანიის ნაკრები: ბუნდესგუნდის დაცვის ცენტრში თქვენი მეწყვილე კრისტოფ მეტცელდერია და დიდი შანსია, რომ მან ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზოს.**

- ჰო? ამას წინათ ვესაუბრე და მითხრა, მგონი მოვასწრებ გამოჯანმრთელებასო...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტურის წინ

# ფოსტერი: დებიუტი ორწლინახევრის შემდეგ

## ფერნანდო ტორესმა იან რაშის რეკორდს დაუმიზნა...

**დღეს**

დერბი-მანჩესტერ იუნ.
ლივერპული-რედინგი
პორტსმუთი-ასტონ ვილა
სანდერლენდი-ჩელსი
ვესტ ჰემი-ბლეკბერნი
არსენალი-მიდლსბრო

**ხვალ**

ფულჰემი-ევერტონი
ვიგანი-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი

**ზეგ**

ბირმინგემი-ნიუკასლი

"არსენალმა" ზედიზედ სამი მატჩი დაასრულა ფრედ ("ბირმინგემთან", "ასტონ ვილასა" და "ვიგანთან"). "მანჩესტერ იუნაიტედმა" ამით ისარგებლა და სხვაობა შეამცირა. "ეშმაკებს" ერთი მატჩი თადარიგში აქვთ. დაკარგული ქულებით ისინი ჩემპიონატის ლიდერები არიან. "არსენალს" მეტი ქულის განიავების უფლება აღარ აქვს.

დღეს "მეთოფეები" "მიდლსბროს" უმასპინძლებენ. საეჭვოა **თეო უოლკოტის** თამაში. მას ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ფეხბურთელმა ტრავმა "კოლორადო რეპიდსთან" ამხანაგურ მატჩში მიიღო. შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ "არსენალის" სანვრთნელ ბაზაზე შედგა. 18 წლის ფეხბურთელმა ერთი კვირის წინ "ვიგანთან" შეხვედრაც გამოტოვა.

იმ შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა **რობინ ვან პერსი**. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ქრონიკული ტრავმები მოიშუშა. ტრავმების გამო მან ოქტომბრის შემდეგ მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა. რობინი განაცხადშია. **ემანუელ ებუემ** სასჯელი მოიხადა. **ტომაშ როსიცკის** დაშავებული მუხლი ჯერ არ მოურჩენია. მკურნალობას აგრძელებს **აბუ დიაბიც**.

"მიდლსბროს" ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი უბრუნდება: **აფონსო ალვეში** გამოჯანმრთელდა, ხოლო **ჟერემი ალიადიერს** დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურა. **ენდრიუ ტეილორმა** ტერფის მძიმე ტრავმის შემდეგ სარეზერვო გუნდში ერთი საათი ითამაშა...

"მანჩესტერ იუნაიტედს" იოლი გასეირნება ელის. მისი მეტოქე გასავარდნად განწირული "დერბია". სამი დღის წინათ "დერბიმ" "ჩელსისთან" გამოტოვებული მატჩი ჩაატარა და 1:6 წააგო. "მენიუს" კარს **ბენ ფოსტერი** დაიცავს. მას პრემიერლიგაში "იუნაიტედის" მაისურით არასოდეს უთამაშია. ფოსტერი "სტოკ სიტიდან" 2005 წლის ზაფხულში, 1 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მეკარემ მომდევნო ორი წელიწადი იჯარით "უოტფორდში" გაატარა. გასულ სეზონში ბენმა პრემიერლიგაში 29 მატჩი ჩაატარა (ინგლისის ნაკრებში ერთი მატჩი). დღეს მას მანჩესტერული დებიუტი ექნება. **ედვინ ვან დერ სარი** დაშავებულია, **ტომაშ კუშჩაკი** - დისკვალიფიცირებული (გასულ უქმეებზე "პორტსმუთთან" სათასო შეხვედრისას გააძევეს). 24 წლის ფოსტერს თავის გამოჩენის შანსი მიეცა.

"დერბისთან" სამი ქულა უბრალო ფორმალობად მიიჩნევა. გუნდმა ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა (სექტემბერში "ნიუკასლთან"). ის ცხრილში ბოლო ადგილზეა და უსაფრთხო ზონისაგან 16 ქულა აშორებს. **პოლ ჯუელის** შეგირდებს კიდევ ერთი განადგურება ემუქრებათ. "იუნაიტედთან" მათი საუკეთესო მცველი **ალან სტაბსი** ვერ ითამაშებს. "მანჩესტერს" **ლუის საა** და **რაიან გიგზი** ვერ დაეხმარებიან...

„ლივერპული" „რედინგს" მასპინძლობს. **ფერნანდო ტორესი** მწყობრშია. ესპანელმა პრემიერლიგაში 19 გოლი შეაგდო, აქედან 17 გოლი - 15 საშინაო შეხვედრაში. ტორესმა ორი ჰეთ თრიკი შეასრულა ("მიდლსბროსა" და "ვესტ ჰემთან"). თუ ის კიდევ ერთხელ გაიტანს სამ გოლს, **იან რაშის** რეკორდს გაიმეორებს. ლეგენდარულმა უელსელმა "ლივერპულის" მაისურით ერთ სეზონში სამი ჰეთ თრიკი 1983-84 წლებში გაიტანა.

მერსისაიდელებს **დანიელ აგერი** ვერ დაეხმარება. ის სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. განაცხადშია **ჩაბი ალონსო**. ის მილანში შვილის დაბადების გამო არ გაემგზავრა. "რედინგს" წამყვანი მცველი **გრემ მერტი** აკლია. დაშავებულია **ბრინიარ გუნარსონი**. **ემერსე ფაეს** კი მალარია შეეყარა. ერთწლიანი პაუზის შემდეგ მინდორზე დაბრუნებას აპირებს გარემარბი **გლენ ლიტლი**...

მართალია, **ავრამ გრანტს** აკრიტიკებენ, მაგრამ მის გუნდს ჩემპიონობის ჩინებული შანსი აქვს. "ჩელსი" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება "მანჩესტერ იუნაიტედს" და ხუთით - "არსენალს". მას "არსენალზე" ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და ორივე მეტოქეს "სტემფორდ ბრიჯზე" ელოდება. "სანდერლენდში" დღევანდელი სტუმრობა მეტ-ნაკლებად იოლ გასეირნებად უნდა მივიჩნიოთ. "არისტოკრატებს" მხოლოდ **პეტრ ჩეხი** აკლიათ. ამიტომ კარს ისევ **კარლო კუდიჩინი** დაიცავს...

"პორტსმუთი" "ასტონ ვილას" მასპინძლობს. **სოლ კემპბელის** თამაშის საკითხი ბოლო წუთს გადაწყდება. ვეტერან მცველს მუხლი აწუხებს. **ჰარი რედნაპს** დაცვაში პრობლემები აქვს. ცენტრალური მცველი **ნოე პამარო** დაშავებულია. **ჰერმან ჰრეიდარსონს** მარცხენა ფლანგიდან მის ადგილზე გადმოიყვანენ. "ვილას", შეიძლება, **გაბრიელ აგბონლაორი** და **კრეიგ გარდნერი** ვერ დაეხმარონ. **ოლოფ მელბერგმა** ტრავმა მოიშუშა და განაცხადში იქნება.



ფერნანდო ტორესმა 15 საშინაო მატჩში 17 გოლი შეაგდო

"მანჩესტერ სიტი" მოგვიანებით გადაწყვეტს, ათამაშოს თუ არა კაპიტანი **რიჩარდ დანი**. **მაიკლ ბოლისა** და **მიკა რიჩარდსის** ასპარეზობა გამორიცხულია. **მარტინ პეტროვი** დასჯილია, ხოლო **ნედუმ ონუოა**, ეს-ესაა, გამოჯანმრთელდა. "ტოტენჰემს" **ალან ჰატონი** უბრუნდება. მან ოთხშაბათს "ეინდჰოვენთან" უეფას თასის მატჩი გამოტოვა. საეჭვოა **იუნეს კაბულისა** და **რიკარდო როჩას** თამაში.

"ვესტ ჰემმა" ზედიზედ სამი მატჩი წააგო - სამივე 0:4 ("ჩელსისთან", "ლივერპულსა" და "ტოტენჰემთან"). დღეს ის "ბლექბერნს" უმასპინძლებს. "ჩაქუჩებს" წამყვანი მცველი **მეტიუ აპსონი** უბრუნდებათ. ის "ლივერპულთან" შეხვედრისას დაშავდა და გასულ უქმეებზე, "ტოტენჰემთან" ვერ ითამაშა.

"ვიგანს" "ბოლტონთან" მატჩში **ემილ ჰესკი** ვერ დაეხმარება. მან "არსენალთან" ბოლო ტურის შეხვედრა ვერ ჩაამთავრა. "ბოლტონმა" ზედიზედ სამი თამაში წააგო და გასავარდნ ზონაში იმყოფება. ხუთშაბათს, "სპორტინგთან" უეფას თასის მატჩში (0:1) მთავარმა მწვრთნელმა **გარი მეგსონმა** ნახევარი შემადგენლობა დაასვენა. "ბოლტონი" ტურნირს გამოეთიშა.

და კიდევ, ორშაბათს "ნიუკასლი" "ბირმინგემს" ესტუმრება. ჯორდებს **მარკ ვიდუკა** უბრუნდებათ. **კევინ კიგანი** მასზე დიდ იმედებს ამყარებს. მისი დანიშვნის შემდეგ ავსტრალიელმა მხოლოდ 24 წუთი ითამაშა. დანარჩენი დრო კი ტრავმის გამო გაუცდა. თუ "ნიუკასლი" ისევ დამარცხდება, შეიძლება გასავარდნ ზონაში აღმოჩნდეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 29 | 19 | 9 | 1 | 57-21 | 66 |
| 2. მანჩ. იუნ. | 28 | 20 | 4 | 4 | 58-15 | 64 |
| 3. ჩელსი | 28 | 18 | 7 | 3 | 48-18 | 61 |
| 4. ლივერპული | 29 | 15 | 11 | 3 | 53-20 | 56 |
| 5. ევერტონი | 29 | 17 | 5 | 7 | 47-24 | 56 |
| 6. ასტონ ვილა | 29 | 13 | 10 | 6 | 52-37 | 49 |
| 7. პორტსმუთი | 29 | 13 | 8 | 8 | 42-31 | 47 |
| 8. ბლეკბერნი | 29 | 12 | 10 | 7 | 38-35 | 46 |
| 9. მანჩ. სიტი | 29 | 12 | 9 | 8 | 34-33 | 45 |
| 10. ვესტ ჰემი | 29 | 11 | 7 | 11 | 31-35 | 40 |
| 11. ტოტენჰემი | 28 | 9 | 8 | 11 | 53-45 | 35 |
| 12. მიდლსბრო | 29 | 7 | 9 | 13 | 26-43 | 30 |
| 13. ვიგანი | 29 | 7 | 7 | 15 | 26-42 | 28 |
| 14. რედინგი | 29 | 8 | 4 | 17 | 34-55 | 28 |
| 15. ნიუკასლი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-56 | 28 |
| 16. სანდერლ. | 29 | 7 | 6 | 16 | 26-47 | 27 |
| 17. ბირმინგემი | 29 | 6 | 8 | 15 | 33-45 | 26 |
| 18. ბოლტონი | 28 | 6 | 7 | 15 | 28-42 | 25 |
| 19. ფულჰემი | 29 | 3 | 11 | 15 | 26-49 | 20 |
| 20. დერბი | 29 | 1 | 7 | 21 | 14-63 | 10 |



ჰარი კიუელის ახალი კონტრაქტის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას

ლივერპული

# აგერი ოპერაციას გაიკეთებს

## კიუელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ლივერპულში თამაშს იმსახურებს

**დანიელ აგერისთვის** სეზონი ნაადრევად დასრულდა. გასული წლის სექტემბერში მიღებული ფეხის ტრვმის გამო მას ძალიან დიდი დრო გაუცდა. ფეხბურთელის გამოჯანმრთელების იმედი ამაო გამოდგა. გადაწყდა, რომ მომავალ კვირაში აგერს ოპერაციას გაუკეთებენ. საქმეში უკეთ გარკვევს მიზნით, "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის განცხადებას გაგაცნობთ: *"სამწუხაროა, რომ დანიელს ოპერაცია სჭირდება, თუმცა ვალდებულები ვართ, მის ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ. "ლივერპულს" კარგი შემადგენლობა ჰყავს და ვფიქრობ, ღირსეული შემცვლელის მოძებნა არ გაგვიჭირდება. მარტინ შკრტელი ჩინებულად თამაშობს. მომავალშიც მისი იმედი გვექნება. აგერი კი, მომავალ სეზონში დაგვიბრუნდება."*

სლოვაკი **მარტინ შკრტელი** ვალდებულია, გაცემული ავანსები გაამართლოს და "ლივერპულს" რთულ დროს მაქსიმალურად დაეხმაროს. ის ხომ ბრიტანული კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მცველია. შეგახსენებთ, შკრტელი იანვარში სანკტ პეტერბურგის "ზენიტიდან" ექვს მილიონ გირვანქად გადაიბირეს. ასე რომ, სლოვაკმა გუნდს არ უნდა უღალატოს და დანიელი მცველის არყოფნა არავის აგრძნობინოს.

ამასობაში, რაფა ბენიტესი **ჰარი კიუელსაც** გადასწვდა და განაცხადა, რომ ავსტრალიელ ფორვარდს ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად დიდი შრომა დასჭირდება. მან უნდა დაამტკიცოს, რომ "ლივერპულის" ფეხბურთელობას იმსახურებს. საქმე ის არის, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კიუელს კონტრაქტის ვადა ეწურება. ხშირი ტრავმების გამო ჰარიმ "წითელი ეშმაკების" ღირსება პრემიერლიგაში მხოლოდ 93 მატჩში დაიცვა. არადა, ის უკვე ხუთი წელიწადია გუნდში ირიცხება. 2003 წელს ავსტრალიელის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. წლეულს ყველა ტურნირის ჯამში კიუელს მხოლოდ 15 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ნუ იფიქრებთ, რომ ბენიტესს ცუდ ფორმაში მყოფი შეგირდის ბედი არ აღელვებს. პირიქით, ესპანელი სპეციალისტი ფეხბურთელს მწვანე შუქს უნთებს, რათა ის ავსტრალიის ნაკრებში წავიდეს, შეკრება გაიაროს და 26 მარტს ჩინეთის წინააღმდეგ გასამართი მატჩისთვის მოემზადოს. აი, რას ამბობს ბენიტესი: *"კიუელს ნება დავრთე, ეროვნულ გუნდში გამოცხადდეს. მოგეხსენებათ, "ლივერპულში" ის ვერ თამაშობს. მის პოზიციაზე მძაფრი კონკურენციაა. ვფიქრობ, უმჯობესია, ნაკრებში წავიდეს და სათამაშო პრაქტიკა შეიძინოს. ზოგადად, ეროვნულ გუნდში ფეხბურთელების წასვლა პრობლემებს გვიქმნის, მაგრამ ეს განსხვავებული შემთხვევაა. ვიმეორებ, ავსტრალიელი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და სჯობს, წავიდეს. გულწრფელად ვიტყვი, ჰარის კლუბთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება გაუჭირდება, თუმცა ვინ იცის, იქნებ გაძლიერებული დაგვიბრუნდეს და სიტუაცია შეიცვალოს. გადაწყვეტილებას სეზონის ბოლოს მივიღებთ."*

ახალი კონტრაქტი

# ბენზემა ლიონში 2013 წლამდე

**ქარიმ ბენზემამ** "ლიონთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდში 2013 წლამდე დარჩება. ინფორმაცია ლიონელთა პრესსამსახურმა გაავრცელა. 20 წლის თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონში 27 გოლი შეაგდო, მათ შორის, 17 - საფრანგეთის ჩემპიონატში. მას რამდენიმე ევროპული გრანდი ეპატიჟებოდა, მაგრამ შინ დარჩენა არჩია. ბენზემა ყველა კომენტარში ერთსა და იმავეს იმეორებდა, "ლიონში" მინიმუმ კიდევ ერთ სეზონს გავატარებო. კონტრაქტი 2013 წლამდე იმის მაუწყებელია, რომ დაინტერესებულ კლუბს ფეხბურთელის სანაცვლოდ სოლიდური თანხის გადახდა დასჭირდება.

მიმომხილველთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბენზემას "ლიონში" ოთხი წელი ნადი არავინ გააჩერებს. ამის მიუხედავად, კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის თანახმად, თანამშრომლობა შეიძლება ავტომატურად კიდევ ერთი წლით გაგრძელდეს. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. "ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** მხოლოდ გაკვრით აღნიშნა, რომ ფეხბურთელს სოლიდურ ჯამაგირს გადაუხდიან: *"მას ისეთი პირობები შევთავაზეთ, როგორსაც იმსახურებდა. ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ ქარიმი ჩვენთან დარჩენილიყო."*

ბენზემამ საფრანგეთის ნაკრებში ცხრა მატჩი ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა. მისი დებიუტი ერთი წლის წინათ, ავსტრიასთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა. ის ფრანგული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია. ფორვარდმა "ლიონთან" პირველი პროფესიული კონტრაქტი 2004 წელს დადო. აი, მისი კომენტარი:



ქარიმ ბენზემა ლიონში რჩება

*"სიმართლე გითხრათ, აქედან აბარგება არცკი მიფიქრია. ეს საკითხი საერთოდ არ დასმულა დღის წესრიგში. მე აქაური ვარ, ამიტომ უფრო ბუნებრივია, შინ დავრჩე და ოსტატობა დავხვეწო, ვიდრე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ესპანეთს, იტალიას, ან ინგლისს მივაშურო. ამიტომაც როცა ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს, დაუფიქრებლად დავთანხმდი."*

### ტრაპატონის ადრიაანსე შეცვლის

ავსტრიის ჩემპიონმა, ზალცბურგის "რედ ბულმა" მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი სპეციალისტი **კო ადრიაანსე** მიიწვია. ის ჯოვანი **ტრაპატონის** შეცვლის. იტალიელი მაესტრო კი, მოგეხსენებათ, ირლანდიაში გაემგზავრება. ადრიაანსე 60 წლისაა. მას სხვა და სხვა დროს "აიაქსში", "პორტუში", "ცვოლეში", "დენ ჰააგში", "ტილბურგში", დონეცკის "მეტალურგსა" და კატარის "ალ სადში" უმუშავია. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. ადრიაანსე მუშაობას ზაფხულის არდადეგების შემდეგ შეუდგება.

### გერმანული ფეხბურთი მდიდრდება

გერმანულ ფეხბურთში არნახული შემოსავალი გაჩნდა. ბუნდესლიგისა და მეორე ბუნდესლიგის 36-მა კლუბმა გასული, 2006-07 წლების სეზონში 2.7 მილიარდი დოლარი გააკეთა. შემოსავლის ერთი ნაწილი, დაახლოებით 50 მილიონი დოლარი, მსოფლიოს ჩემპიონატს უკავშირდება, რომელიც გერმანიაში 2006 წლის ზაფხულში გაიმართა. ამას გარდა, ზედიზედ მეექვსე სეზონია, გერმანიის ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება განუხრელად იზრდება. 2006-07 წლების სეზონში ორი დივიზიონის თამაშებს, საერთო ჯამში, სარეკორდოდ ბევრი, 16.3 მილიონი მაყურებელი დაესწრო. სტატისტიკის თანახმად, 21-დან 23 პროცენტამდე გაიზარდა ქალი გულშემატკივრების რაოდენობა.

# კოტეს თასს აქ დავტოვებთ!

-ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულ საქმეზე და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ "ლოჯიკ ჯგუფის" ხელმძღვანელმა სპორტის სასახლეში სპორტული კორესპონდენტები მიგვიწვიეს. შეხვედრა კომპანიის დირექტორმა **თამუნა სეფერთელაძემ** გახსნა:

*"მას შემდეგ, რაც "ლოჯიკ ჯგუფმა" არენის რესტავრაცია იკისრა, შესრულდა დიდძალი სამუშაო. დაიგო საერთაშორისო სტანდარტის იატაკი, შემდეგ შევიძინეთ ხელბურთელთათვის საჭირო მოედანი. დავამონტაჟეთ თანამედროვე ხარისხის განათება, ტაბლო, ხმის დანადგარი. მოხარული ვარ, რომ ღონისძიებათა უმეტესობა, რომელიც აგვისტოს შემდეგ სპორტის სასახლეში ჩატარდა, ქართველი სპორტსმენების გამარჯვებით დასრულდა. ასევე, იმედი მაქვს, რომ ჩვენ მიერ ორგანიზებულ კოტე მახარაძის სახელობის თასსაც თბილისში დავტოვებთ".*

ამ ტურნირზე უფრო კონკრეტულად **ჯამლეტ ხუხაშვილმა** ისაუბრა: *"უკრაინის "ბუდიველნიკს" საქართველოში ჩამოჰყავს ორი ამერიკელი, ამდენივე ექსიუგი და პოლონელი ლეგიონერები. თელ-ავივის "ჰაპოელმა" შარშანწინ თასზე "მაკაბის" მოუგო. მას მერე ქვედა ლიგაში დაქვეითდა და წელს სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს. ნუგზარ კანდელაკმა ბაქოს "ნტდ-დევონი" კარგად დაგვიხასიათა. ასე რომ, ქომაგის აქტიური მხარდაჭერა დაგვჭირდება იმისთვის, რომ კოტე მახარაძის სახელობის თასი მეტოქეებს არ დავუთმოთ. "მაკაბიში" ითამაშებენ გიორგი შერმადინი, ვიქტორ სანიკიძე, კოტე ტულუში, გიორგი ნიკოლაძე და დავით ბარბაქაძე..."*

2007 წლის 7 მარტს სპორტის სასახლეზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა "ლოჯიკ ჯგუფმა", რომელმაც 22 აგვისტოს სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი დაასრულა. ახლადგარემონტებულ დარბაზში პირველი ღონისძიება საქართველო-ავსტრიის საკალათბურთო მატჩი იყო. ამას მოჰყვა დაპირისპირება ფინელ კალათბურთელებთან, ევროთასის შეხვედრა "ენერჯი"-"ამსტერდამი", ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი, ბრძოლა წესებგარეშე...

მოკლედ, აგვისტოს შემდეგ აღარ გვერიდება ევროსტანდარტების მოედანზე ევროპის ელიტური გუნდების მასპინძლობა. აგერ ბატონო, უკვე დაგეგმილია სპორტის სასახლეში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარება, ხოლო 18-19 მარტს ოთხგუნდიანი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც ქართული "მაკაბის" გვერდით ისრაელის, აზერბაიჯანისა და უკრაინის კლუბები მიიღებენ მონაწილეობას.

**ვაჟა სიმონიშვილი**








ინტერვიუ გია ლაბაძესთან

# ვისთანაც მიმუშავია, ლეინი საუკეთესოა



ბურთით გია ლაბაძე

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი გია ლაბაძე საფრანგეთის კლუბებს შორის ყველაზე მდიდარი და სახელოვანი მოთამაშეებით გადაჭედილი გუნდის კაპიტანია. "ტულონი" ამჟამად მეორე დივიზიონში ასპარეზობს, თუმცა ეს მის პრეზიდენტს მურად ბურჯელალს ხელს არ უშლის, მისთვის სასურველი, ნებისმიერი ვარსკვლავი შეიძინოს. ლაბოს და მისი კლუბის საქმეები ჯერჯერობით კარგად აეწყო, რაც იმედს გვაძლევს, რომ 12 აპრილს, რუსების წინააღმდეგ მატჩში ნაკრებში ის თამაშს შეძლებს.**

- ჩვენი კლუბის თამაში თავიდანვე კარგად აეწყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ცოტა მოვუკელით. სულ ბოლოს, აგერ სტუმრად, "ოიონაქსთან" წავაგეთ. ეტყობა, ცოტა გადავილალეთ. სხვა მხრივ ვერაფრით ამიხსნია გუნდის ასეთი რადიკალური ტრანსფორმაცია.

**- "ოიონაქსთან" თქვენს მიერ გატანილი ლელო ინტერნეტით ვნახეთ. საკმაოდ ემოციური რეაქცია გქონდათ და მგონი იგინებოდით კიდეც.**

- დიახ, ასეა. ნერვები მქონდა საშინლად დაძაბული. გუნდმა ძალიან ცუდად ითამაშა. ლელო რომ გავიტანე, მთელი ბოლმა ამოვანთხიე. "ოიონაქსის" დარ გუნდებთან აბა როგორ უნდა ვაგებდეთ? არადა, მათმა შერკინებამ გადაგვიარა. ისე, ოიონაქსელები სახლის მოთამაშეებად ითვლებიან და შინაურ კედლებში მათი დამარცხება ძალიან ძნელია.

**- კლუბის მწვრთნელი ტანა უმაგა რითი ხსნის ამ ჩავარდნას?**

- განბილებული იყო. თამაში საერთოდ არ გამოგვივიდაო. ამასთან ერთად ჩვენს გუნდს სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც აქვს. მაგალითად ის, რომ "ტულონის" წინააღმდეგ ყველა გაათკეცებული ენერგიითა და მონდომებით თამაშობს, გულდაგულ ემზადებიან. ბევრისთვის ისეთი მოთამაშეების წინააღმდეგ თამაში, ჩვენს გუნდში რომ არიან, ერთადერთი შანსია. ასე რომ, ყველა - მორაგბეებით დაწყებული, მსაჯებით დამთავრებული, ჩვენს წინააღმდეგაა შემართული.

**- მსაჯებს რაღა უნდათ?**

- "ტულონი" ყოველთვის მოჩხუბარი გუნდი იყო. მსაჯების უმრავლესობა ყოფილი მორაგბეები არიან, რომლებსაც "ტულონის" წინააღმდეგ თამაშისას არაერთხელ მოხვედრიათ ცხვირში. მორაგბეობისას რომ ვერაფერი დაგვაკლეს, ახლა გულს ჩვენ წინააღმდეგ მსაჯობით იყრიან.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, "ტულონთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ.**

- დიახ ერთი წელი კიდევ ვითამაშებ. მერე ვნახოთ. თუ შევძელი, ალბათ ისევ აქ გავაგრძელებ კარიერას. სხვა გუნდში გადასვლას არც ვაპირებ და ჩემს ასაკში აზრიც არ აქვს.

**- მოდი, ეროვნულ ნაკრებზეც ვისაუბროთ. წლეულს ბორჯღალოსნების მიერ გამართულ არცერთ შეხვედრაში მიგიღიათ მონაწილეობა. აღარ აპირებთ დაბრუნებას?**

- როგორ არა, ნაკრებში თამაში მინდა. რაგბის კავშირიდან დამიკავშირდნენ, სარუსეთოდ უნდათ ჩემი გამოძახება. უარი არ მითქვამს. აუცილებლად ჩამოვალ თუ ჯანმრთელობამ შემიწყო ხელი. ცოტა გადაღლილი ვარ. გუშინაც საავადმყოფოში ვიყავი, გავესინჯე. ერთი კვირაა არ მივარჯიშია. დასვენება მირჩიეს. ვნახოთ, რუსეთთან თამაშამდე კიდევ ერთი თვეა და ვფიქრობ, იმ დროისთვის მწყობრში ვიქნები.

**- საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი "ტულონში" თქვენი დამრიგებელი იყო. როგორ დაახასიათებდით მას?**

- ტიმი ძალიან მაგარი კაცია. რაგბიც კარგად იცის. ჩვენთან ოთხი თვე იმუშავა და გუნდში ბრწყინვალე ატმოსფერო შექმნა, თავისი კვალი აქ აშკარად დატოვა. პირადად მე, მისით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია მსოფლიოში და ვფიქრობ, ჩვენ ნაკრებს მისი კვალიფიკაცია დიდად წაადგება.

**- ნაკრებში ბოლო შეხვედრებში ბევრი ახალი მორაგბე გამოჩნდა, თუმცა ამით გუნდის ძალა ოდნავადაც არ შესუსტებულა.**

- მაგას რა სჯობს? ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენი თაობა მაქსიმუმს აკეთებდა ნაკრებში. ასევე იქცევიან ახალგაზრდებიც. ჰოდა თუ საქმეში მთელ გულს, ენერგიას და თავდაუზოგავ შრომას ჩადებ, შედეგსაც მიიღებ. პერსპექტიული მორაგბეები ჩვენ ყოველთვის გვყავდა. საჭიროა უბრალოდ მათ შეცდომები შეუსწორო, სწორი მიმართულება მისცე. ვფიქრობ ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელებს ლევან ცაბაძეს და ვიქტორ დიდებულიძეს ეს რეალურად შეუძლიათ. აღარაფერს ვამბობ ტიმ ლეინზე, რომელიც საუკეთესოა იმათ შორის, ვისთანაც მე მიმუშავია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ერთა თასი

# დღეს, კრასნოდარში

დღეს, თბილისის დროით 14 საათზე, რუსეთის სამხრეთ სარაგბო დედაქალაქ კრასნოდარში "დათვები" რუმინეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. **კლოდ სორელმა** "მუხის ფოთლებთან" მატჩში თითქმის ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარა თავი. ერთადერთი, ვინც რუსთა გუნდს აკლია, "ბაიონის" მესამეხაზელი **ვიაჩესლავ გრაჩოვია**. სორელის კრებულში პირველად ითამაშებს "აჟენის" მეორეხაზელი **კირილ კულემინი.**

რუმინელთა რიგებში აქამდე გაცხადებულ შემადგენლობაში რაიმე ცვლილება არ მომხდარა. ვლახების 22 კაციან განაცხადში ორი ლეგიონერია - **იონ პაულიცა და ქრისტიან პეტრე.**

**რუსეთი:** 15. იგორ კლუჩნიკოვი, 14.ანდრეი კუზინი (კ), 13. იგორ გალინოვსკი, 12. სერგეი ტრიშინი, 11.ალექსანდრ გვოზდოვსკი, 10. იური კუშნარიოვი, 9. ალექსანდრ შაკიროვი; 1. ალექსანდრ ხროკინი, 2. ვლადისლავ კორშუნოვი, 3. ივან პროპეშენკო, 4. ვალერი ფედჩენკო, 5. კირილ კულემინი, 6. კირილ კუშნარიოვი, 7. ანდრეი ოსტრიკოვი, 8. ანდრეი გარბუზოვი / 16. ალექსანდრ მარჩენკო, 17. ვლადიმირ ბოტვინიკოვი, 18. ივან პოვესმა, 19. ევგენი მატვეევი, 20. ალექსანდრ იანუშკინი, 21. ვიქტორ მოტორინი, 22. მიხაილ ბაბაევი.

**რუმინეთი:** 15.ფლორინ ვლაიკუ, 14.კატალინ ფერკუ, 13.ჩაბა გალი, 12.კატალინ დესკალუ, 11.სტეფან ჩუნტუ, 10.იონუც დიმოფტე, 9.იულიან ანდრეი; 1.რადუ ბასალაუ, 2.ბოგდან ზებეგა, 3.იონ პაულიცა, 4.ქრისტიან პეტრე, 5.ალინ კოსტე, 6.მიჰალ მაკოვეი, 7.დანიელ კარპო, 8.კოსტიკა მერსოიუ(კ) / 16.მარსელ მიჰალაკე, 17.ნიკოლაე ნერე, 18.ვალენტინ ურსაკე, 19.ვასილე რუსი, 20.დანუც დუმბრავა, 22.გეორგიტა ბიჯუ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 2.რუსეთი | 7 | 6 | 0 | 1 | +121 | 12 |
| 3.რუმინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | +68 | 10 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |

სპეციალისტის თვალსაზრისი

# უნდა შეიქმნას მეორე ნაკრები!

**საქართველოს ნაკრები ზედიზედ ორი ციკლია, B დივიზიონიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებს. გუნდმა 2004 წლის შემდეგ სამი მწვრთნელი გამოიცვალა და ახლა მეოთხის დანიშვნას ელის. ეროვნულის პარალელურად, საკითხავია, რა მდგომარეობაა საშინაო სამზარეულოში. ამ საკითხებზე სასაუბროდ გამოცდილ სპეციალისტს თამაზ ოქრუაშვილს ვესტუმრეთ. იგი ამჟამად ნუგზარ კანდელაკთან ერთად ახალგაზრდული ლიგის მონაწილე "თბილისს" წვრთნის. ინტერვიუ სწორედ წლეულს შექმნილი გუნდით დავიწყეთ.**



თამაზ ოქრუაშვილი

- მე და ნუგზარ კანდელაკს გვაქვს სერიოზული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს "თბილისის" ძლიერ კლუბად ჩამოყალიბებას. გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშს ვაპირებთ.

**- ამისთვის სპონსორისგან ხელშეწყობა დაგჭირდებათ...**

- ჩვენი პარტნიორი გვერდში გვიდგას და გვინდა დავანახვოთ, რომ იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, პერსპექტივა გააჩნია. სპორტულ ბიზნესში ფულის ჩამდები ხშირ შემთხვევაში მოტყუებული რჩება. სწორედ ეს გვინდა გამოვრიცხოთ და ერთ-ორ წელიწადში სასურველ დონეს მივაღწიოთ. ამისთვის სწორი მუშაობაა საჭირო. სადღეისოდ ქართულ კალათბურთში არანაირი მოტივაცია არ არსებობს. არადა, წინსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა კარისკაციდან დაწყებული კალათბურთელით დამთავრებული ყველას სათანადო დაინტერესება ექნება. მაგრამ რა მოტივაციაზეა საუბარი, როცა საქართველოში მთავარი პრობლემა თბილი საკალათბურთო დარბაზის არარსებობაა. მაშინ, როცა უცხოეთში ბავშვებს ტრენაჟორებზეც ამუშავებენ და შესაბამისი სამედიცინო ყურადღებაც გააჩნიათ, ჩვენთან საოცნებოდ გვაქვს ვარჯიშის შემდეგ შხაპის მიღება. არც ბავშვთა მწვრთნელებს აქვთ ყურადღება. მხოლოდ კალათბურთის ფედერაცია ყველა მწვრთნელს ვერ გასწვდება. ამისთვის საკლუბო კალათბურთის განვითარებაა აუცილებელი.

**- ამ საკითხზე კიდევ ვინ უნდა იზრუნოს?**

- მქონდა ბედნიერება, 1990 წელს ბოლო სპარტაკიადაზე გამეყვანა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. მაშინ რუსებს 55 ქულის სხვაობით მოვუგეთ. მას მერე ჩვენთან ყოველგვარი საკალათბურთო მეურნეობა მოიშალა, რუსეთში - კიდევ უფრო განვითარდა. შედეგიც აშკარაა. კალათბურთის ფედერაციას ყველა გვერდში უნდა ამოუდგეს და იზრუნოს სპორტული მეურნეობის აღდგენაზე. დღეს რეგიონებში კალათბურთი ჩამკვდარია, რაც დაუშვებელია. თეთრი შურით მშურს მორაგბეების, რომლებსაც არანაკლებ ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა, მაგრამ მთავრობა მათ ინფრასტრუქტურის მაღალ დონეზე მოწყობას დაჰპირდა. მაშინ, როცა გვაქვს სპეციალურად კალათბურთისთვის აგებული ვერის ბაღის არენა, სუპერლიგის მატჩები მხოლოდ სპორტის სასახლეში რატომ უნდა ტარდებოდეს? ვფიქრობ, სპორტისადმი მიდგომა უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ისეთივე სურათი, რაც ამჟამადაა...

**- კერძოდ?**

- ყველა ახალგაზრდა კალათბურთელს ერთი საფიქრალი აქვს - როგორმე უცხოურ კლუბს მიეკედლოს. ოღონდ წავიდეს და არ ფიქრობს, - ახალ გუნდში რა როლი ექნება. ყოველთვის ვამბობდი, რომ მოთამაშემ ჯერ საქართველოში უნდა დაამტკიცოს შესაძლებლობები და ამით უნდა გაუჩინოს ინტერესი საზღვარგარეთის კლუბებს. ამის კარგი მაგალითია გიორგი შერმადინი, რომელიც ძალიან ნიჭიერია, საქართველოში სათანადო პროგრესი განიცადა და ქვეყანას დროულად ტოვებს. თან არა რომელიმე რიგით გუნდში, არამედ NBA-ს დრაფტზე მიდის.

**- როგორ ფიქრობთ, რა აკლია ეროვნულ ნაკრებს?**

- გვყავს მაღალი კლასის ლეგიონერები ფაჩულია, ცქიტიშვილი, ბოისა, მარკოიშვილი, ცინცაძე და უგრეხელიძე, მაგრამ მხოლოდ 6 კაცზე ნაკრები დამოკიდებული არ უნდა იყოს. მათ სათანადოდ უნდა დაეხმარნონ საქართველოს ჩემპიონატის კალათბურთელები. ლაშა გამყრელიძე, ანატოლი ბოისა და სხვები ეროვნული გუნდის ღირსეული წევრები რომ არიან, უკვე დაამტკიცეს. მაგრამ არც ორი კაცია საკმარისი, უნდა შეიქმნას სუპერლიგის მონაწილეთა ნაკრები, რომელიც ხშირად შეიკრიბება და რაც მთავარია, საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. ამაზე სახსრები არ უნდა დავიშუროთ. სათანადოდ მომზადებულ ადგილობრივებს ლეგიონერები რომ შეერწყმებიან, შედარებით სრულყოფილ ნაკრებს მივილებთ და შედეგებიც უკეთესი იქნება.

**- ეს სხვებთან ერთად მწვრთნელის პრეროგატივაცაა. როგორ ფიქრობთ, ეროვნულ გუნდს ქართველი უნდა წვრთნიდეს თუ უცხოელი?**

- სასურველია, ქართველი იყოს, მაგრამ ფრანგი იქნება იგი თუ ეტრუსკი, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია სწორი მიმართულებით მუშაობდეს. აგერ ბატონო, ჩვენი გორდონ ჰერბერტი საბერძნეთში წაიყვანეს, თუმცა იქაურ ეროვნულ ნაკრებს ლეგენდარული კალათბურთელი იანაკისი წვრთნის. საერთოდ, მწვრთნელის პროფესია არარაობაა, არანაირი დაფასება არა აქვს. როგორ დავიჯერო, რომ ფეხბურთში ჩივაძეზე მეტი იცის საქართველოს ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა, რომელსაც ასჯერ მეტი ხელფასი აქვს. ეს ხომ მწვრთნელის პროფესიის გაბაიბურებაა. ზოგჯერ შინაურ მღვდელსაც უნდა ჰქონდეს შენდობა. რაც შეეხება საკალათბურთო სპეციალისტების საკითხს, ჩემი აზრით, ბოლო დროს ნაკრების არცერთ მწვთნელს არ მისცემია შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ამას თავისი მიზეზები გააჩნია, მაგრამ ერთი რამ არასოდეს უნდა დავივიწყოთ: როცა კაცს ამა თუ იმ გუნდის ბედს ანდობ, ბოლომდე უნდა ენდო. მნიშვნელობა არა აქვს, ქართველი იქნება ის, თუ უცხოელი.

ვაჟა სიმონიშვილი




საქართველოს ჩემპიონატი

# მესამედი შემადგენლობით და დიდი გულით

გუშინ, კლუბ "12 მაგიდაში" გაიმართა "ვითა"-"ენერჯის" 16 მარტის დაპირისპირებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. მკითხველს შევახსენებთ, რომ მე-15 ტურში რუსთავიდან "ვითამ" 2 ქულა წამოიღო, ამიტომ მომავალი მატჩის პარალელურად, საუბარი იყო რუსთავულ დაპირისპირებაზეც.

**დავით უსტიაშვილი** ("ენერჯის" მწვრთნელი): - ლაშა გამყრელიძე გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ფორმას ილდგენს. მცირე ტრავმა აქვს იოვან სტეფანოვს. სხვა ყველა მწყობრშია და რევანშისთვის ვემზადებით.

**ბესიკ ლეჟავა** ("ენერჯის" უკანახაზელი): - გუნდთან ერთად მეც ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში. ვემზადებით კვირის მატჩისთვის, თუმცა ჩვენთვის მთავარი პლეი ოფია.

**თემურ აბულაძე** ("ვითას" მწვრთნელი): - რუსთავში შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშეთ და წარმატებას მივაღწიეთ. კვირის მატჩისთვის კვლავ ბევრი დაგვაკლდება: დავით ბერძენიშვილი და ლუკა ნოზაძე, ხოლო ბექა წივწივაძემ და ბუბა ბერიშვილმა ოპერაციები ახლახან გაიკეთეს. კითხვის ნიშნის ქვეშაა გიორგი მარხვაშვილის, ვაკო ბეჟანიშვილისა და გიორგი მარკოიშვილის მოედანზე გამოჩენის საკითხი.

**დავით გვიმრაძე** ("ვითას" ფორვარდი): - მე-15 ტურშიც შესუსტებული შემადგენლობით ვიყავით, მაგრამ "ენერჯის" ძლევა მოვახერხეთ. ახლა საქმე ერთი-ორად რთულადაა, თუმცა ჩვენსას ვეცდებით. პლეი ოფში მოხვედრისთვის ყველა მატჩის მოგებას ოქროს ფასი აქვს.

ვაჟა სიმონიშვილი

იუბილარი

# ლეგენდარული ლევან თედიაშვილი 60 წლისაა



## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს მსოფლიო საფალავნო სამყაროს ღირსეულ წარმომადგენელს, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონსა და თასის მფლობელს, ევროპის სამგზის ჩემპიონს, სსრკ ორგზის და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, საქართველოს XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკისა და ფილას ორდენების კავალერს ლევან თედიაშვილს.

## დაჯილდოება

ჭიდაობის განვითარებისა და ფალავანთა თაობების აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი თვალსაჩინო წვლილისთვის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარილთან დაკავშირებით, საპატიო სიგელით და ფულადი პრემიით დააჯილდოვა ქართული სპორტის სიამაყე ლევან თედიაშვილი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 60 წელს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ორგზის (1972, 1976) ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მამულიშვილს ლევან თედიაშვილს.

* * *

ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარილს ულოცავს ლეგენდარულ ფალავანს, ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიო ხუთგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს (ბრინჯაოს პრიზი), ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, სოკისა და ფილას ოდენების კავალერს ლევან თედიაშვილს.

* * *

"ლელო" უერთდება ლევან თედიაშვილისადმი საიუბილეო მილოცვებს.

# სამი ნაგება სუპერსტარტის მერე

გუშინ, სუმოს ელიტის ორივე დივიზიონში, შვიდი დაუმარცხებელი სუმოისტიდან, სამწუხაროდ, ორივე ქართველმა წააგო. კოკაის მეტოქე ოსი სოსლან გაგლოევი (ვაკანოჰო) იყო. ლევანმა შეტევისას თავი ვერ შეიმაგრა და დოჰიოზე დაეცა. ქართველს 5-1 ბალანსი აქვს. დაუმარცხებლად კი იოკოძუნა ასაშორიუ და სამი მაეგაშირა (ჰოკუტორიკი, ტოჩიოძანი და ჰომაშო) ლიდერობს. დღეს კოკაი კიდევ ერთ ოს ფალავანს შეხვდება, როჰოს. როჰო მეექვსე მაეგაშირაა. ბოლოს კოკაიმ მეგობარს ორიდან ორივე ორთაბრძოლა მოუგო. სულ კოკაი და როჰო 11-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ქართველი ოსს 6:5-ს უგებს.

ძურიოს დივიზიონის ქართველმა ჩემპიონმა **ლევან გორგაძემ** (ტოჩინოშინი) ბაშოზე პირველი, დივიზიონში კი მეოთხე მარცხი იწვნია. **ტოჩინოშინი** ერთ დროს სეკივაკე **ტამანოშიმას** შეხვდა. ჩვენებურმა სცადა მეტოქის მავაშის დაჭერა, თუმცა ეს ვერ შეძლო და ტამანოშიმას შეტევისგან თავის დაცვა ველარ გამოუვიდა – ტოჩინოშინმა იორიკირით წააგო. ძურიოს დივიზიონს ერთპიროვნულად ვეტერანი **ტოსანოუმი** ლიდერობს (6-0), რომელიც ძურიოს პირველი ნომერია.

მაკუშიტას დივიზიონის 27-ე ნომერი **თეიმურაზ ჯუღელი** (გაგამარუ) **სარუგაცუკასასთან** იორიკირით დამარცხდა. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**მაკუუჩი**

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-ვაკანოჰო 0:1 (ჰიკიოტოში), ასაშორიუ-ტოკიტენკუ 1:0, ჰაკუჰო-ტოიონოშიმა 1:0, ტაკეკაძე-კოტომიცუკი 1:0, კაკურიუ-კაიო 1:0, ჩიოტაიკაი-ასასეკირიუ 1:0, კისენოსატო-კოტოოშუ 1:0, კოტოშოგიკუ-ამა 1:0, მიაბიამა-ამინიშიკი 1:0, კიოკუტენჰო-დეჯიმა 1:0, ვაკანოსატო-როჰო 1:0, ჰოკუტორიკი-ივაკიამა 1:0, ბარუტო-გოეიდო 1:0.**

მდგომარეობა. 6-0: **ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰოკუტორიკი (მაეგაშირა 7), ტოჩიოძანი (მ 12), ჰომაშო (მ 13). 5-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოკაი (მ 5), ბარუტო (მ 7), ტაკამისაკარი (მ 11).**

VII დღე: **კოკაი-როჰო, ჰაკუჰო-კისენოსატო, ასაშორიუ-ტაკეკაძე, ამა-კაიო, ჩიოტაიკაი-კაკურიუ, კოტოოშუ-ტოკიტენკუ, კოტომიცუკი-ამინიშიკი, კოტოშოგიკუ-ასასეკირიუ, მიაბიამა-ტოიონოშიმა, ჰოკუტორიკი-ვაკანოჰო, დეჯიმა-ვაკანოსატო, გოეიდო-ტამაკასუგა.**

**ძურიო**

VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **ტოჩინოშინი-ტამანოშიმა 0:1 (იორიკირი), ჰაკუბა-ჰოშიჰიკარი 1:0, ტოსანოუმი-კორიუ 1:0, კოტოკასუგა-კიტაძაკურა 1:0, კიტატაიკი-შუნკეცუ 1:0.**

მდგომარეობა: 6-0: **ტოსანოუმი (ძურიო 1); 5-1: ტოჩინოშინი (ძ 4), კიტატაიკი (ძ 10), კიმურაიამა (ძ 14).**

VII დღე: **ტოჩინოშინი-ჰოშიჰიკარი, ტოსანოუმი-კიტაძაკურა, ჰაკუროძანი-კოტოკასუგა, ტამანოშიმა-ჰაკუბა, შირონონამი-მოკონამი.** %



ასაშორიუ ტოკიტენკუს ამარცხებს



ტოჩინოშინი და კაკაი

### მილოცვა

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი ფრენბურთელები დაბადებიდან 70 წლის იუბილეს ულოცავენ ვეტერან ფრენბურთელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სსრკ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტანს, ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალოსანს, სპორტის ოსტატ თამაზ კუჭავას.



საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# ჯახირ-ჯახირით აღებული სტარტი

ქალთა ჩემპიონატი გუშინ დასრულდა დღეს დაფებს ვაჟები მიუსხდნენ და ქვეყანაში უძლიერესის ვინაობას გაარკვევენ. ზოგადად ქართულ ჭადრაკს სკანდალი რომ არ აკლია, საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ისე გამოდის, რომ თითქოს ნებისმიერი ტურნირი, მით უფრო, ქვეყნის უმთავრესი შეჯიბრება ამ ნიშნით უნდა დაიწყოს და დამთავრდეს. ქალთა ჩემპიონატის მსგავსად, გუშინ, ხმაურით ჩაიარა ვაჟთა ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალმა: ისევ "რუხი ფერები", დადგენილი ცხრილის შესწორება და ხელახლა გადაწერა მოიტანა...

როგორც იცით, წლევანდელი ვაჟთა ჩემპიონატის ფინალის ნოკაუტ-სისტემით გამართვა გადაწყდა, რაც ქართველ მოჭადრაკეთა უმრავლესობის უკმაყოფილებას იწვევდა. რატომღაც, მათი პრეტენზიები საქართველოს ჭადრაკის ფედარაციის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა და თავის პირვანდელ აზრზე დარჩა. თავისთავად, შესაძლოა, ამ სისტემას ბევრიც არაფერი სჭირდეს დასაწუნი, მაგრამ ახალი თაობა ითხოვს - მეტი შანსი მოგვეცით, მაღალი დონის ტურნირებში ვითამაშოთ და თუკი ჩემპიონატის გარდა ასეთი ტურნირების მოწყობას მთელი წლის განმავლობაში ვერ ახერხებთ, საქართველოს ჩემპიონატი მაინც გახადეთ მიმზიდველიო.

ქართული ჭადრაკის მესაჭეების აზრით, ასეთი სწორედ წლევანდელი პირველობაა, მაგრამ თუკი დავაკვირდებით, ასე ნამდვილად არაა: ნოკაუტ სისტემით ფინალში 32 მონაწილეა, ესენი მეთექვსმეტედფინალში უნდა დაწყვილდნენ. წესის თანახმად, უმაღლესი რეიტინგის მქონე უმდაბლესს ხვდება პირველ ტურში; მეორე რეიტინგის მფლობელი ბოლოდან მეორე რეიტინგიანს გაეჯიბრება და ასე - ბოლომდე. თანაც მატჩი მხოლოდ ორი პარტიისგან შედგება და რა გასაკვირია, რომ უმრავლესობას უკმაყოფილების გრძნობა დარჩეს. ერთია, რომ ფავორიტთან ორ პარტიაში მოგების ნაკლები შანსი გაქვს და არც ის არის გამორიცხული, რომ ძლიერი შედარებით სუსტთან დამარცხდეს. ამით კი ბევრი საკითხი კვლავ გადაუჭრელი დარჩება - მთავარი გასარკვევი კი ჩემპიონატს ის აქვს, ვინ მოხვდება ნაკრებში.

შარშან, უფრო გარკვეული იყო პირობები: ნაკრებში ის მოჭადრაკე ვერ მოხვდებოდა, ვინც საქართველოს ჩემპიონატში ვერ ითამაშებდა. წლეულს კი ასეთი პირობა არ არის დათქმული. ცვლილებამ ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ დიდოსტატ **გია გიორგაძეში** პროტესტი გამოიწვია და გახსნის ცერემონიალზე განაცხადა - არ ვითამაშებო. გიორგაძის უარი დიდი დანაკლისია ჩემპიონატისთვის, მაგრამ კიდევ მეტია **მერაბ გაგუნაშვილის** და **ბაადურ ჯობავას** არყოფნა. ესენი ნაკრების სტაბილური წევრები არიან და ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა რიგებში ირიცხებიან. ბაადური სულაც პირველია რეიტინგით და რატომ არ თამაშობს, უცნობია. არადა, ერთი დღით ადრე მზადყოფნა გამოთქვა, მეორე დღეს კი უარი შემოთვალა; როცა მიზეზი მოვიკითხეთ, სრული პასუხი ვერ მივიღეთ - უბრალოდ, არ სურს და ეს არის...



ბაადურ ჯობავა არ თამაშობს

გაგუნაშვილის უთამაშებლობა ცნობილია: ფედერაციამ დანაპირები არ შეუსრულა: კუთვნილი თანხა არ გადაუხადა, არადა გარკვეული სპონსორული თანხები მოძიებულ იქნა და როგორც ვაჟთა ისე ქალთა ნაკრების წევრთა პრემიალური დაჯილდოება მოხერხდა. რატომღაც გაგუნაშვილი ამ სიაში გამორჩათ... შეცდომის გამოსწორებას კი დაპირდნენ, მაგრამ საკმაო დრო გავიდა და პრობლემა პრობლემად დარჩა. ამის გამო, მერაბმა უარი თქვა და გუშინ დილით შორეულ ავსტრალიას მიაშურა, სადაც ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას; აპრილის შუა რიცხვებში კი დუბაის ტრადიციულ ტურნირში ითამაშებს.

გუშინ, მონაწილეობაზე კიდევ ერთმა მოჭადრაკემ თქვა უარი: რეიტინგის თანახმად **მაია ლომინეიშვილს** უფლება ჰქონდა ვაჟებს შებრძოლებოდა. ბოლო წუთამდე მაია უარს არ იყო, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა; მიზეზს ვერც ამ შემთხვევაში მოგახსენებთ. მაიას უარის შემდეგ ტურნირში მხოლოდ ერთი ქალბატონი ითამაშებს - **ნინო ბაციაშვილი**. ამდენი უარის შემდეგ ცოტა კი დააგვიანა პირველი ტურის წილისყრამ, მაგრამ წესის თანახმად, მათი შემცვლელები მოეძებნათ და წყვილებიც ცნობილი გახდა. პირველ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**მიხეილ მჭედლიშვილი (2635)-ზვიად ფაცია (2213); ლევან ფანცულაია (2629)-ალექსანდრე ყაშაშვილი (2272); თამაზ გელაშვილი (2622)-თამაზ მგელაძე (2289); ნინო ბაციაშვილი (2317)-დავიდ არუთინიანი (2576); ლევან აროშიძე (2535)-ირაკლი ცქიტიშვილი (2332); შოთა ზაალაძე (2353)-კონსტანტინე შანავა (2521); ზურაბ სტურუა (2515)-ვარლამ ვეფხიაშვილი (2359); დავით ბენიძე (2359)-გიორგი ბალათუროვი (2498); ხვიჩა სუპატაშვილი (2466)-პარმენ გელაზონია (2361); დავით ზარქუა (2377)-დავით ჯოჯუა (2463); თორნიკე სანიკიძე (2461)-ივერი ჭილაძე (2389); ლუკა პაიჭაძე (2396)-გიორგი მარგველაშვილი (2455); მიხეილ კეკელიძე (2454)-დავით ლომსაძე (2400); გიგა ყუფარაძე (2407)-დავით მალალაშვილი (2449); ბეგლარ ჯობავა (2446)-გაიოზ ნიგალიძე (2420); ლევან ბრეგაძე (2427)-ბაჩანა მორჩიაშვილი (2434).**

**ზვიად შათირიშვილი**

ერიდეთ!

# ხვალვე ბოდიში მოიხადეთო!

გაზეთის მთავარი რედაქტორის პირადი ტელეფონი - მობილურისა და ბინისაც კი, "ლელოს" ყველა ნომერში გაზეთის ტრადიციულ საინფორმაციო სვეტში ქვეყნდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მზად ვართ ჩვენი ნებისმიერი მკითხველი, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე დაგვიკავშირდეს. არავის ვემალებით და არც კითხვებზე პასუხს გავურბივართ, პრეტენზიებსაც ვისმენთ, რჩევებსაც.
მოკლედ, გუშინ, დილით, მობილურის პირველივე ზარი კატეგორიული იყო: "მოვითხოვ ხვალვე თქვენს გაზეთში გამოქვეყნდეს ბოდიში დღევანდელ ნომერში ზვიად შათირიშვილის წერილთან დაკავშირებით". მუქარა მოჭადრაკე ნანა ძაგნიძისგან გაისმა. ზარები ამ ოჯახიდან ადრეც ყოფილა. დაგვიწყნარებია, მოგვიწოდებია, კონკრეტულად დაესაბუთებინათ თუ რატომ არის ჟურნალისტი ტენდენციური. პასუხად მუქარა გრძელდებოდა, ჟურნალისტს არაფერს პატიობდნენ, ხოლო თუ რატომ, ამას ვერაფრით ამტკიცებდნენ. ზეწოლით მოითხოვდნენ კორესპონდენტის დასჯას.
"ესე იგი თქვენ გჯერათ, რასაც შათირიშვილი წერს და ხვალ ბოდიშს არ მოიხდით?" - გაიმეორა მოჭადრაკემ.
პასუხად ვუთხარით, რომ ჩვენში სიტყვის თავისუფლებაა, ჟურნალისტიც თავისუფალია, მაგრამ თუ ვინმე თავს გრძნობს შეურაცხყოფილად და მიაჩნია, რომ შეილახა მისი უფლებები, მიმართოს სასამართლოს. მის გადაწყვეტილებას კი ნამდვილად დავიჯერებთ.
სხვათა შორის, თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს ჩვენი ჟურნალისტი ძაგნიძეების მხრიდან გაუთავებელი ზეწოლის გამო. ზვიადმა გუშინდელ თავის პუბლიკაციაში მიანიშნა კიდეც საქართველოს სისხლის სამართლის 154-ე მუხლზე, რომელიც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვის სასჯელს ითვალისწინებს.
ისე, ძალიან ცუდია, რომ ზემოხსენებულ კონფლიქტს, როგორც ზ. შათირიშვილი წერს, შეჯიბრების ორგანიზატორების უპრინციპობამაც შეუწყო ხელი.

ეს საინტერესოა

# ლებრონი გირისა და ქლუნის გვერდით

ერიჩნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ქალებისთვის განკუთვნილი ცნობილი ჟურნალის, Vogue-ის ყდაზე გამოჩნდება. ჟურნალი 116 წლისაა და აქამდე, მხოლოდ ორ მამაკაცს, მსახიობებს **რიჩარდ გირსა** და **ჯორჯ ქლუნის** ერგოთ მსგავსი პატივი. ასე რომ, ლებრონი გახდება ძლიერი სქესის მესამე წარმომადგენელი, ვის ფოტოსაც Vogue პირველ გვერდზე დაბეჭდავს.



ფოტოზე ლებრონ ჯეიმსი NIKE-ის მუქ მაისურში, შორტებსა და სპორტულ ფეხსაცმელში იქნება გამოწყობილი. ის ხელს გადახვევს ცნობილ სუპერმოდელ **ჟიზელ ბუნდხენს**.

*"ლებრონი მოდაში ძალიან კარგად ერკვევა. ის ბრწყინვალე სპორტსმენი და ვარსკვლავია და ახალგაზრდა ასაკში ნამდვილ საკულტო ფენომენად იქცა"*, - აცხადებს ჟურნალის პრეს-ატაშე **პატრიკ ო'კონელი**.

საერთოდ, "კლივლენდის" ლიდერი ხშირად ჩნდება სხვადასხვა ჟურნალის გარეკანზე. პირველი გამოცდილება მან 2002 წელს, Sports Illustrated-ში მიიღო. მაშინ ლებრონი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. ფოტო ასეთი სლოგანით დაიბეჭდა: The Chosen One ("რჩეული"). გარდა ამისა, ის იმ 11 სპორტსმენიდან ერთ-ერთია, ვინც ESPN-ის გარეკანზე გამოჩნდა. ამას მოჰყვა გამოცემები Fortune, Men's Health და Black Enterprise.

## ჩოგბურთი

ვარსკვლავი პოდიუმზე

# მოდელი სერენა



ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, რომელმაც გასულ კვირას ინდოეთის ქალაქ ბანგალორში WTA-ს მორიგი ტურნირი მოიგო, ნიუ დელიში მოდების ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. მის გარდა, პოდიუმზე 10 მოდელი გავიდა.

*"მიყვარს დიზაინერობა, მაგრამ მოდელის ამპლუაში თავს, მაინცა და მაინც, კომფორტულად ვერ ვგრძნობ - მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩემი ტერფებისთვის არ არის. რა თქმა უნდა, ჩემგან მოდელი არ დადგება. მირჩევნია სცენის მიღმა ვიყო და ტანსაცმელი შევქმნა"*, - ამბობს უმცროსი უილიამსი.

## ტურნირები

### ATP

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 589 000 დოლარი

**I წრე**

სანტიაგო ხირალდო (კოლ)-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 7:6 (5), 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-დუშან ვემიჩი (სერ) 3:6, 6:3, 6:2; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-არნო კლემანი (საფ) 6:4, 6:4; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 7:6 (5); **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:2, 6:3; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ფლორან სერა (საფ) 6:7 (5), 6:2, 6:0; **ფაბიო ფონინი (იტა)**-რაინერ შუტლერი (გერ) 2:6, 6:3, 6:3; **დონალდ იანგი (აშშ)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:3, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 4:6, 7:6 (3), 6:2; **დუდი სელა (ისრ)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:4, 6:7 (4), 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:6 (4), 6:3; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 2:6, 7:6 (3), 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ჯესე ლევინე (აშშ) 7:5, 4:6, 6:4; **რობინ სოდერლინგი (შვედ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:3, 6:3; **მარკ ჟიკელი (საფ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:3; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:1, 6:1.

### WTA

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**I წრე**

ალა კუდრიავცევა (გერ)-ეკატერინა მაკაროვა (რუს)... ალა კუდრიავცევა (გერ)-ეკატერინა მატეკი (აშშ) 6:2, 6:1; **კეისი დელაკუა (ავსტრა)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:1, 6:1; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:1, 6:2; **გრეტა არნი (უნგ)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:3, 0:6, 6:4; **არავან რეზაი (საფ)**-კამილ პინი (საფ) 7:5, 6:2; **ვანია კინგი (აშშ)**-ენ კრემერი (ლუქ) 4:6, 6:3, 6:4; **აშა როული (აშშ)**-მედისონ ბრენგლი (აშშ) 6:2, 6:2; **მელანი ოუდენი (აშშ)**-მარეტ ანი (ასტ) 7:5, 6:2; **ელენა ვესნინა (რუს)**-სუ ვეი ჰსიე (ტაივ) 6:4, 4:6, 6:4; **გალინა ვოსკობოევა (რუს)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 7:5, 6:3; **კაია კანეპი (ესტ)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 6:2; **ევგენია როდინა (რუს)**-ანასტასია პივოვაროვა (რუს) 6:4, 6:3; **იუნ-იან ჩანი (ჩინ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 2:6, 6:2, 6:4; **ჯულია შრუფი (გერ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 7:6 (2), 6:3; **იოანა რალუკა ოლარუ (რუმ)**-მენ იუანი (ჩინ) 6:4, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-ჟული დიტი (აშშ) 0:6, 6:3, 6:3.

ჩოგბურთი

### მარეების ქველმოქმედება

ძმები, ენდი და ჯეიმს მარეები ინდიან უელსის ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. პარალელურად, ისინი საქველმოქმედო აქციის წევრები გახდნენ და გამოაცხადეს - ინდიან უელსში თითო მოგებული ეისისთვის, პროგრამა Sport Relief-ის ფონდში 100 ფუნტს გადარიცხავენ. "ეს აქცია დამატებით მოტივაციას მომცემს იმისთვის, რომ მოწოდებაზე მაქსიმალურად ზუსტად და მონდომებით ვითამაშო", - განაცხადა ენდი მარეიმ.

### ჯოკოვიჩი საჩოგბურთო ცენტრს ააშენებს

მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ბელგრადში 11 მილიონ ევროდ 3.8 ჰექტარი მიწა შეიძინა. ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული იქ საჩოგბურთო ცენტრის აშენებას აპირებს.

ბელგრადის მუნიციპალიტეტმა მიწა იმ პირობით გაყიდა, რომ საჩოგბურთო ცენტრი უკვე მომავალ წელს შეძლებს საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას.

კრივი

### 60 წლის მოკრივემ ათი რაუნდი გაძლო

საინტერესო ორთაბრძოლა ჩატარდა კაიმანის კუნძულებზე. პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, 60 წლის სოლ მამბიმ პროფესიულ რინგზე თავისი 85-ე შეხვედრა ჩაატარა. მისი მეტოქე იყო ყველასთვის უცნობი მოკრივე, 32 წლის ენტონი ოსბორნი, რომელმაც საბოლოოდ, მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოიგო კიდეც ბრძოლა.

ბევრს მიაჩნდა, რომ 60 წლის მოკრივისთვის რინგზე გასვლის უფლება არ უნდა მიეცათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მამბი, რომელიც პროფესიონალი 36 წლის წინათ გახდა, ათივე რაუნდი თითქმის თანაბრად ეჩხუბა ორჯერ უმცროს მონინაალმდეგეს.

## TV სპორტი

### 15 მარტი. შაბათი

**RenTV**

06:55 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი. კვალიფიკაცია. მელბურნი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ბელგიის ჩემპიონატი. ბეერსხოტი-სტანდარდი.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
15:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:25 შოტლანდიის ჩემპიონატი. მოზერველი-სელტიკი (LIVE).
18:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ჩელსი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ლიონი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:10 სპორტდოსიე.
09:36 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:03 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:37 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-დერბი.
12:24 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერი-ლივერპული.
14:01 სპორტის სამყარო.
14:38 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ აფრიკა.
15:31 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
17:03 ფეხბურთი. Barca TV.
17:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:38 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი (LIVE).
20:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
20:55 სპორტკლუბი.
21:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მიდლსბრო (LIVE).
23:15 მინი-მოედანი.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი (LIVE).
01:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუს შტატი. კორინთიანსი-ჟუვენტუსი (LIVE).
03:12 სპორტდოსიე.
03:38 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. V ტური. ცსკა-უნიკახა.
05:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-დერბი.
07:02 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
07:29 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. ბორმიო. იტალია (LIVE).
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
15:00 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ბორმიო. იტალია (LIVE).
15:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ბორმიო. იტალია (LIVE).
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
16:45 მულტისპორტი.
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. 10 კმ. ბორმიო. იტალია (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
18:45 მულტისპორტი.
20:15 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VI ეტაპი.
21:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო ადრიატიკო. IV ეტაპი.
22:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
22:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
00:00 კიკბოქსინგი.
02:30 რესტლინგი.
04:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. მოგული. ვალმალენკო. იტალია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
16:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ვალმალენკო. იტალია (LIVE).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. მამაკაცები. მაგდებურგი (გერმანია)-რაინი (გერმანია) (LIVE).
19:30 საფეხბურთო ფრისტაილი.
20:00 ბილიარდი. საფრანგეთი.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. სნოუბორდკროსი. ვალმალენკო. იტალია.
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ვალმალენკო. იტალია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-სან ხოსე.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვიბორგი (დანია)-სლაგელსე (დანია) (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
03:15 ახალი ამბები.

### 16 მარტი. კვირა

**I არხი**

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვითა-ენერჯიინვესტი (LIVE).

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**მზე**

15:00 საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში. სიონი-ამერი (LIVE).

**RenTV**

08:15 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი. მელბურნი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-რედინგი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
15:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ევერტონი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი (LIVE).
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი.
23:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-მარსელი (LIVE).
01:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე.
08:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
10:17 სპორტის სამყარო.
10:46 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ინდიან უელსი. აშშ.
15:27 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი 12.5 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
17:02 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:29 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ვოლფსბურგი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ლევანტე (LIVE).
01:55 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. მარიტიმუ-ბენფიკა.
02:39 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
05:23 სპორტდოსიე.
05:49 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
07:32 სპორტის სამყარო.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. გუნდური. პლანიცა. სლოვენია.
13:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით 10 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით 12.5 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი 12.5 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
16:45 მულტისპორტი.
17:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. ქალები. 10 კმ. ბორმიო. იტალია (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი 15 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია (LIVE).
18:45 მულტისპორტი.
19:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 15 კმ. ბორმიო. იტალია (LIVE).
20:15 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VII ეტაპი.
21:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო ადრიატიკო. V ეტაპი.
22:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი 15 კმ. ჰოლმენკოლენი. ნორვეგია.
22:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
23:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია.
01:00 პროფესიული კრივი. ნახევრადმძიმე წონა. რ. მეი (გერმანია)-კ. კურზავა (გერმანია). ჰალე. გერმანია.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია.
04:00 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვიბორგი (დანია)-სლაგელსე (დანია).
14:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ვალმალენკო. იტალია.
15:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. სკი-კროსი. ვალმალენკო. იტალია (LIVE).
16:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვიბორგი (დანია)-სლაგელსე (დანია).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სელიე (სლოვენია)-გუდმე (დანია) (LIVE).
20:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. სკი-კროსი. ვალმალენკო. იტალია.
21:00 ახალი ამბები.
22:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფლენსბურგი (გერმანია)-ზაგრები (ხორვატია).
01:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-ეგალეო.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შალკე-დუისბურგი | 2:1 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოფენბახი-კარლ ცაისი | 2:1 |
| პადერბორნი-ალემანია | 0:1 |
| ვეენი-კაიზერი | 0:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ემდენი-ვერდერი A | 2:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| მიუნხენი A-ზანდჰაუზენი | 0:2 |
| ინგოლშტადტი-პფიულენდორფი | 2:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-შატორუ | 0:1 |
| ანჟერსი-სედანი | 1:1 |
| ბულონი-კლერმონი | 1:2 |
| დიჟონი-ბასტია | 2:1 |
| გინგამი-რეიმსი | 2:1 |
| მონპელიე-ამიენი | 2:0 |
| ტრუა-ბრესტი | 1:3 |
| ნიორი-პავრი | 0:3 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| გრონინგენი-ჰერენვეენი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დენ ბოში-ცვოლე | 0:0 |
| დორდრეხტი-ტელსტარი | 1:0 |
| ეინდჰოვენი II-ვეენდამი | 0:1 |
| ვოლენდამი-კამბური | 3:0 |
| ფორტუნა-მაასტრიხტი | 0:7 |
| იგლზი-როსენდალი | 1:2 |
| ჰაარლემი-ჰელმონდი | 0:1 |
| ვაალვიკი-აპელდოორნი | 3:0 |
| ტოპ ოსი-ომნივორლდი | 1:2 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-სტანდარდი | 1:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ლეირია-გიმარაეში | 0:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-რაპიდი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ავსტრია II-შვანენშტადტი | 0:1 |
| ლუსტენაუ-ბად ოსი | 4:0 |
| კერნტენი-ავსტრია (ლ) | 2:1 |
| პარნდორფი-გრატკორნი | 0:0 |
| ზალცბურგი II-ლეობენი | 1:2 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტამპერე-როვანიემი | 4:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 0:1 |
| ბრეი-უნივერსიტი | 0:2 |
| დერი-ფინ ჰარპსი | 2:1 |
| შემროკი-კორკი | 1:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| იანგ ბოიზი-სტ. გალენი | 3:0 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლოზანა-შაფჰაუზენი | 0:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| მანისა-სივასი | 1:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ლანელი-ჰავერფორდვესტი | 4:2 |
| ნიუთი-ლანგეფნი | 2:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ცსკა-სპარტაკი | 3:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| კაპოშვარი-უიპეშტი | 0:3 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ოდრა-ბელხატოვი | 1:0 |
| პოლონია-კორონა | 0:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გლორია (ბის)-დინამო | 1:1 |
| ფარული-პოლიტეხნიკა | 1:1 |

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ტერეკი-კრილია | 0:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| შენეცი-სლოვანი | 1:0 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ხარკოვი-ტავრია | 1:1 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პო ორტეზი-ასვ | 78:66 |
| დიჟონი-შალონი | 81:73 |

### ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-დინამო | 2:4 |
| ს. იულიაევი-სევერსტალი | 2:1 |
| ლოკომოტივი-სკა | 5:1 |
| ცსკა-აკ ბარსი | 5:6 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 4:2 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | ო.ტ. 4:5 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კერპეტი | 3:2 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 3:1 |
| ჰიფკ-კიეკო | 3:6 |
| იუვიასკიულა-ტაპარა | ო.ტ. 5:4 |

### ჩოგბურთი

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-მასუ | 4:6, 6:3, 6:7 |
| ჰანესკუ-მონტანიესი | 1:6, 6:4, 6:4 |
| ბერერი-დე ვოესტი | 6:7, 5:7 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| ა. ბონდარენკო-პირონკოვა | 6:3, 7:6 |
| კნაპი-პენგი | 1:6, 3:6 |
| საფინა-კრეიბასი | 7:6, 7:5 |
| ციბულკოვა-არვიდსონი | 7:5, 6:4 |
| ა. რადვანსკა-კორტიცევა | 6:1, 7:6 |
| პანტუხოვა-პეინესი | 6:1, 6:2 |

ფორმულა 1. ჩემპიონატის წინ

# ცირკი 59-ე სეზონს ხსნის



სამი ფავორიტი: ლუის ჰემილტონი, კიმი რაიკონენი და ფერნანდო ალონსო

ხვალ, დილით, სტარტს აიღებს ფორმულა ერთის მსოფლიოს 59-ე ჩემპიონატი, რომელიც ავტოსპორტის მოყვარულებს ბევრ საინტერესო სიახლეს, დაძაბულ პაექრობებსა და ალბათ, სიურპრიზებსაც უმზადებს. ამ ჩემპიონატში პირველად ვიხილავთ ღამის რბოლას, ორ ახალ ეტაპს და რამდენიმე დებიუტანტ პილოტს, რომელთა შორისაც, ალბათ, **ლუის ჰემილტონივით** ნიჭიერი არავინაა, თუმცა ამბიციები არც მათ აკლიათ და ვინ იცის, იქნებ, მათ შორის მომავალი ჩემპიონიც ურევია.

ჩემპიონატის დაწყებამდე ძნელია იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ იბრძოლებს პირველობისთვის. ალბათ, ლიდერები ისევ "ფერარი" და "მაკლარენი" იქნებიან. მათთან მიახლოებას ბევრი ცდილობს, მაგრამ ეს რომ იოლი საქმე არ არის, წინა სეზონებზეც დამტკიცდა. და მაინც, ლიდერთა შორის შეღწევას ამ სეზონში "ბეემვე ზაუბერი" ეცდება, მოწინავეთა რიგებში დაბრუნება კი "რენოს" მიზანია, გუნდისა, რომელიც ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, აშკარა ფავორიტი იყო. რა თქმა უნდა, ამბიციები სხვა გუნდებსაც არ აკლიათ, მაგრამ მათ მოწინავეებამდე ჯერაც ბევრი გზა აქვთ გასავლელი. თუმცა, ვინ იცის, ვის რა სიურპრიზი აქვს მომზადებული. მოკლედ, პირველი ეტაპი – ავსტრალიის დიდი პრიზი ბევრ კითხვას გასცემს პასუხს და ალბათ, მისი დასრულების შემდეგ, ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ვიწრო წრეც გამოიკვეთება...

■ ■ ■

ამ ეტაპზე კი ყურადღებას ახალი ჩემპიონატის რამდენიმე ყველაზე საინტერესო ფაქტზე გავამახვილებთ.

ამ ჩემპიონატის 18 ეტაპიდან ერთი, სინგაპურის დიდი პრიზი, რომელიც წელს პირველად გაიმართება, ღამის რბოლაა. პილოტებს პირველად მოუწევთ ხელოვნური განათების პირობებში ასპარეზობა. თანაც სინგაპურის რბოლა პირველი ქუჩის რბოლაა, რომელიც აზიაში ჩატარდება. სარბოლი ტრასად სანაპირო ზოლში არსებულ გზის საფარს გამოიყენებენ, განათებას კი მძლავრი პროჟექტორების სისტემა უზრუნველჰყოფს.

როგორც ორგანიზატორები ირწმუნებიან, განათება ჩვეულებრივ სასტადიონო განათებაზე ოთხჯერ უფრო ძლიერი იქნება. ამისთვის, ტრასის გასწვრივ, დაახლოებით 1 500 პროჟექტორი განლაგდება, რომლებსაც დენის წყაროსთან 108 კილომეტრის სიგრძის კაბელი დააკავშირებს. ასე რომ, პილოტებს მხედველობის არანაირი პრობლემა არ უნდა შეექმნათ. სამაგიეროდ, ევროპაში ამ რბოლის ტრანსლაციას შუადღეზე ვიხილავთ.

უნდა ითქვას, რომ ბევრი პილოტი, როცა გაიგეს, რომ სინგაპურში ღამის რბოლაზე მოუწევთ გამოსვლა, თავიდან უკმაყოფილო იყო, რადგან მათი აზრით, ეს სახიფათო იქნებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა განათების უზრუნველყოფის ასპექტები, უკმაყოფილოთა რაოდენობა ნულზე დავიდა. უფრო მეტიც, ახლა ბევრი მოუთმენლად ელის ფორმულა ერთის ისტორიაში პირველ ღამის რბოლას.

*"ღამის რბოლაში ადრე არასოდეს გამოვსულვარ. ასე რომ, ეს ჩემთვის ახალი გამოწვევა იქნება. ალბათ, ასე ფიქრობენ სხვა პილოტებიც. რაც შეეხებათ რბოლის ორგანიზატორებს, მათ სოლიდური სამუშაოს შესრულება მოუწევთ. ვფიქრობ, ეს ჩვენს სპორტში საინტერესო სიახლე იქნება. უსაფრთხოება ჩვენი სპორტის ყველაზე მთავარი მოთხოვნაა და რამდენადაც გვპირდებიან, რომ შუქი საკმარისზე მეტი გვექნება, ესე იგი, ყველაფერი რიგზეა"*, - ამბობს "ტოიოტას" იტალიელი პილოტი **იარნო ტრული**.

პირველ რბოლას უმასპინძლებს ვალენსია, სადაც ეტაპი ქუჩის ტრასაზე გაიმართება. ვალენსიაში ავტოდრომი არსებობს, მაგრამ ფორმულა ერთის ფაქტობრივმა გამგებელმა **ბერნი ეკლსტოუნმა** რბოლის ქალაქში ჩატარება ისურვა. ვალენსია ესპანეთის მეორე ქალაქია, სადაც ამ სეზონში ფორმულა ერთის ეტაპი ჩატარდება. ოღონდ, ეს იქნება ევროპის დიდი პრიზი, რომელიც ბოლო სეზონებში გერმანიაში, კერძოდ კი ნურბურგრინგის ტრასაზე ტარდებოდა.

კალენდარში აღარ არის აშშ-ის დიდი პრიზი, რომელსაც ინდიანაპოლისის ტრეკის შიგნით არსებული ავტოდრომი მასპინძლობდა. მოსალოდნელია, რომ ამერიკული რბოლა კალენდარში მერმის დაბრუნდება, თუმცა ის ალბათ, ინდიანაპოლისის ტრასაზე აღარ ჩატარდება. დაკიდევ, გერმანიის დიდი პრიზი ისევ ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე დაბრუნდება.

ახალ ჩემპიონატში ხუთ ახალ პილოტს ვიხილავთ. მათგან სამს – გერმანელებს, **ტიმო გლოკსა** და **სებასტიან ფეტელს**, ასევე იაპონელ **კაძუკი ნაკაძიმას** ფორმულა ერთის ცალკეულ რბოლებში ადრეც მიუღიათ მონაწილეობა, სრულ სეზონს კი პირველად ჩაატარებენ. რაც შეეხებათ დანარჩენებს, ესენი არიან ბრაზილიელი **ნელსინიუ პიკე** და ფრანგი **სებასტიან ბურდე**.

ფეტელი და ბურდე "ტორო როსოში" ერთმანეთს გაუწევენ პარტნიორობას. მათგან უფრო გამოცდილიც და ტიტულოვანიც ბურდე არის, ვისაც წინა ოთხ სეზონში ოკეანის გაღმა, ჩემპ კარის სერიის ჩემპიონატი ზედიზედ ოთხჯერ აქვს მოგებული. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის შემდეგ ის პირველი ფრანგია, ვინც ფორმულა ერთის ჩემპიონატში იასპარეზებს.

უნდა ითქვას, რომ ბურდესთვის "ტორო როსო" შესაფერისი გუნდი არ არის. თუმცა, ნიჭის მხრივ, მასზე ნაკლები არც ფეტელია. ამ ორი შესანიშნავი პილოტის მყოლე გუნდის (რომელიც ადრე "მინარდის" სახელით იყო ცნობილი) ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მალე მათი საჯინიბო მაჩანჩალებიდან საშუალო გუნდების ჯგუფში გადაინაცვლებს.

უფრო მეტიც, "ტორო როსოს" შეფი **ფრანც ტოსტი** ამბობს, რომ მართალია, ბურდესგან პირველ რბოლებში განსაკუთრებულს არაფერს ელის, მაგრამ შუა სეზონიდან მას პირველ ათეულში ხშირად ხილვას უწინასწარმეტყველებს.

გერმანელი **ნიკო როსბერგის** მსგავსად, პიკე კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონის შვილია, რომელიც თავისი მამის მიღწევების გამეორებას ეცდება. შარშანდელ სეზონში ნელსინიუ "რენოს" ტესტ პილოტი იყო, ახლა კი ამავე გუნდში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს** გაუწევს პარტნიორობას.

როგორც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, **ნელსონ პიკეს** შვილს, ნელსინიუს სამომავლოდ დიდი ამბიციები აქვს, მაგრამ ახლა ამბობს, რომ მისთვის ეს სეზონი სასწავლო იქნება. 22 წლის ბიჭისთვის ის შესაშურ პრაგმატულობასა და მოთმინებას ავლენს, თუმცა ამაში გასაკვირი არაფერი იქნება, თუ შარშანდელ **ლუის ჰემილტონს** გავიხსენებთ – ისიც თავიდან სწავლაზე ლაპარაკობდა, პირველივე რბოლის პირველივე მოსახვევში კი თვით ალონსოს გასწრებაც კი "იკადრა". მოკლედ, ალონსოს თანაგუნდელად ერთმანეთზე უფრო ამბიციური და ნიჭიერი ახალბედები არ ელევა. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნელსინიუსგან ჰემილტონის მსგავსი დებიუტი ნაკლებად მოსალოდნელია.

*"ფერნანდო გამოცდილი პილოტია, ის ყველა ტრასას კარგად იცნობს, მას ორი ტიტული აქვს მოგებული. მოკლედ, შესანიშნავი გ ზამკვლევი მყავს და ვიმედოვნებ, მისი დახმარებით ბევრ რამეს ვისწავლი, ორივენი ერთად კი გუნდს შედეგების გაუმჯობესებაში დავეხმარებით"*, - ამბობს პიკე.

წარსულში ცნობილი ავტორმბოლის შვილია ნაკაძიმაც. მამამისი, **სატორუ ნაკაძიმა** 1987-1991 წლებში "ლოტუსისა" და "ტირელის" ბოლიდებით ასპარეზობდა და სულ ათი ქულის მოგროვება შეძლო. 1987 წელს "ლოტუსში" ის ჯერ ბრაზილიელი **აირტონ სენას**, მომდევნო სეზონში კი ნელსონ პიკეს პარტნიორი იყო.

ფორმულა ერთში უმცროს ნაკაძიმას დებიუტი შარშან, სეზონის ბოლო რბოლაზე, "უილიამსის" ბოლიდით შედგა. პირველ სრულ სეზონს ის ამავე გუნდში დაიწყებს და სავარაუდოა, რომ თავიდანვე ქულებისთვის ბრძოლას შეძლებს. ყოველ შემთხვევაში, წინასასეზონო ტესტების მიხედვით, ამის თქმა შეიძლება. უფრო მეტიც, რამდენადაც იაპონურ გუნდ "სუპერ აგურის" კრიზისული პერიოდი ქვს, სავარაუდოა, რომ კაძუკის იაპონელ პილოტებს შორის საუკეთესო შედეგები ექნება.

გლოკმა "ტოიოტაში" მისი თანამემამულის, **რალფ შუმახერის** ადგილი დაიკავა. ეს პილოტი დიდი პრიზების ცირკში პირველად 2004 წელს კანადის დიდ პრიზზე, "ჯორდანის" ბოლიდით გამოჩნდა და დებიუტშივე ქულების აღება შეძლო. მაგრამ იმ სეზონის დასრულების შემდეგ, თვალსაწიერიდან ცოტა ხნით გაქრა. შემდეგ ოკეანის გაღმურ სერიებში გამოჩნდა, საიდანაც GP2-ის სერიაში გადაინაცვლა, სადაც ჰემილტონის გვერდიგვერდ უწევდა ასპარეზობა.

გუნდებს შორის რეალური სიახლე არ გვაქვს. მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სეზონიდან ჩემპიონატში ცნობილი მენეჯერის, "ასტონ მარტინის" თანამფლობელ **დეივ რიჩარდსის** გუნდი "პროდრაივი" გამოჩნდებოდა, მაგრამ მის გეგმებს ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი გამოუჩნდა, რის გამოც, პროექტი გადაიდო.

მაგრამ ჩემპიონატში (კონსტრუქტორთა პირველობაზე) ახალი სახელი მაინც გამოჩნდება. ესაა "ფორს ინდია", რომელიც ჰოლანდიური "სპაიკერის" ადგილზე აღმოცენდა. უფრო სწორად, "სპაიკერმა" თავისი საჯინიბო ინდოელ მილიარდერ **ვიჯეი მალიას** მიჰყიდა, რომლის კომპანია "კინგფიშერი" ადრე "ტოიოტას" უწევდა სპონსორობას.

## პილოტების სტატისტიკა

| პილოტები | ქ | სტ | მ | ს | პ |
|---|---|---|---|---|---|
| ქულთარდი | 527 | 228 | 13 | 61 | 12 |
| ბარიკელო | 519 | 249 | 9 | 61 | 13 |
| ალონსო | 490 | 103 | 19 | 49 | 17 |
| რაიკონენი | 456 | 120 | 15 | 48 | 14 |
| ფიზიკელა | 267 | 194 | 3 | 18 | 3 |
| ბატონი | 229 | 135 | 1 | 15 | 3 |
| მასა | 201 | 87 | 5 | 17 | 9 |
| ტრული | 183 | 181 | 1 | 7 | 3 |
| ჰაიდფელდი | 140 | 132 | 0 | 7 | 1 |
| ჰემილტონი | 109 | 17 | 4 | 12 | 6 |
| უებერი | 79 | 103 | 0 | 2 | 0 |
| კუბიცა | 45 | 22 | 0 | 1 | 0 |
| სატო | 44 | 86 | 0 | 1 | 0 |
| კოვალაინენი | 30 | 17 | 0 | 1 | 0 |
| როსბერგი | 24 | 35 | 0 | 0 | 0 |
| ფეტელი | 6 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გლოკი | 2 | 4 | 0 | 0 | 0 |
| სუტილი | 1 | 17 | 0 | 0 | 0 |
| დევიდსონი | 0 | 20 | 0 | 0 | 0 |
| ნაკაჯიმა | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| პიკე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბურდე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

## გუნდების სტატისტიკა

| გუნდები | ქ | სტ | მ | ს | პ |
|---|---|---|---|---|---|
| ფერარი | 4753 | 758 | 210 | 603 | 195 |
| მაკლარენი | 3462 | 630 | 156 | 418 | 133 |
| უილიამსი | 2545 | 499 | 113 | 294 | 125 |
| რენო | 976 | 227 | 33 | 90 | 50 |
| ზაუბერი | 332 | 250 | 0 | 10 | 0 |
| ტოიოტა | 163 | 104 | 0 | 6 | 2 |
| ჰონდა | 142 | 70 | 3 | 8 | 2 |
| რედ ბული | 74 | 53 | 0 | 2 | 0 |
| ტორო როსო | 9 | 35 | 0 | 0 | 0 |
| სუპერ აგური | 4 | 35 | 0 | 0 | 0 |
| ფორს ინდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*ქ - ქულა, სტ - სტარტი, მ - მოგება, ს - საპრიზო ადგილი, პ - პოული*

## ჩემპიონატის კალენდარი

| თარიღი | გრან-პრი | ტრასა | სიგრძე | წრეები | დისტანცია | გამარჯვებული |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.03 | ავსტრალია | მელბურნი | 5303 მ | 58 | 307.574 კმ | |
| 23.03 | მალაიზია | სეპანგი | 5543 მ | 56 | 310.408 კმ | |
| 06.04 | ბაჰრეინი | სახირი | 5412 მ | 57 | 308.238 კმ | |
| 27.04 | ესპანეთი | ბარსელონა | 4655 მ | 66 | 307.104 კმ | |
| 11.05 | თურქეთი | სტამბოლი | 5337 მ | 58 | 309.396 კმ | |
| 25.05 | მონაკო | მონტე კარლო | 3340 მ | 78 | 260.520 კმ | |
| 08.06 | კანადა | მონრეალი | 4361 მ | 70 | 305.270 კმ | |
| 22.06 | საფრანგეთი | მანი-კური | 4411 მ | 70 | 308.586 კმ | |
| 06.07 | ბრიტანეთი | სილვერსტოუნი | 5141 მ | 60 | 308.355 კმ | |
| 20.07 | გერმანია | ჰოკენჰაიმი | 4574 მ | 67 | 308.863 კმ | |
| 03.08 | უნგრეთი | ბუდაპეშტი | 4381 მ | 70 | 306.458 კმ | |
| 24.08 | ევროპა | ვალენსია | 5440 მ | 57 | 310.080 კმ | |
| 07.09 | ბელგ( ა | სპა | 7004 მ | 44 | 308.052 კმ | |
| 14.09 | იტალია | მონცა | 5793 მ | 53 | 306.720 კმ | |
| 28.09 | სინგაპური | სინგაპური | 5067 მ | 61 | 309.087 კმ | |
| 12.10 | იაპონია | ფუჯი | 4563 მ | 67 | 305.416 კმ | |
| 19.10 | ჩინეთი | შანხაი | 5451 მ | 56 | 305.066 კმ | |
| 02.11 | ბრაზილია | სან პაულუ | 4309 მ | 71 | 305.909 კმ | |



ფერარის ტიტულის დაცვის იმედი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ჩემპიონატის წინ

# ალონსო სიურპრიზის იმედზეა



მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს** ავსტრალიის დიდ პრიზზე გამარჯვების იმედი არ აქვს, თუმცა დასძენს, რომ წვიმიანი ამინდის შემთხვევაში, მას მოგების შანსი გაუჩნდება. ალონსოს თქმით, შარშან "რენო" ლიდერებს იმდენად ბევრით ჩამორჩებოდა, რომ სეზონებს შორის ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ თუ მელბურნში, რბოლის დროს ამინდი შეიცვლება, მაშინ გამორიცხული არაფერი იქნება და მას გამარჯვებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცემა.

*"გამარჯვება კი არა, ავსტრალიაში კვარცხლბეკზე ასვლაც კი ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ წინასწარ ვერასოდეს იტყვი, თუ რა შეიძლება მოხდეს რბოლის დროს. ხომ შეიძლება, რომ გაწვიმდეს, სველ ტრასაზე კი ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი. და თუ მოგების შანსი გაჩნდა, მე მის გამოყენებას აუცილებლად ვეცდები"*, - ამბობს ალონსო, ვინც გასულ სეზონში, მხოლოდ ერთი ქულა დათმო ჩემპიონთან, ფინელ **კიმი რაიკონენთან**.



ესპანელი დარწმუნებულია, რომ "რენო" შეძლებს ლიდერების დაწევას, თუმცა ეს არც ისე ადვილი იქნება, რადგან სხვა გუნდების პროგრესიც აშკარაა. ალონსო პროგნოზებისგან თავს იკავებს, თუმცა მაინც ვარაუდობს, რომ პირველ ეტაპებზე ფავორიტები "ფერარის" პილოტები იქნებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ რბოლაზე გამოჩნდება, თუ მომავალ სეზონში ვის რა შანსი ექნება.

ალონსოსგან განსხვავებით, სეზონს გაცილებით ოპტიმისტურად ხვდება მისი ყოფილი თანაგუნდელი, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი**, ვინც სანამ მელბურნში სარბოლი ბოლიდის საჭეს მიუჯდებოდეს, მელბურნ პარკის არხში კაიაკით იცურავა და ამით ბევრიც იხალისა.

ფინელ თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენთან** ერთად კარგად რომ გაერთო, ჰემილტონმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და განუცხადა, რომ სეზონს გამარჯვების ჟინით შეპყრობილი ხვდება. შარშან მან თავის სადებიუტო რბოლაში მესამე ადგილი დაიკავა. იმ რბოლის პირველივე მოსახვევში კი თავის ტიტულოვან თანაგუნდელს (ალონსოს) გაასწრო, რაც ბევრისთვის დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ჰემილტონი ამბობს, რომ ის გასწრება შექმნილმა სიტუაციამ უკარნახა: რომ არ გამესწრო, პირველ მოსახვევში მერვე ადგილზე აღმოვჩნდებოდი, ამის დაშვება კი არანაირად არ შემეძლოო, - ამბობს ბრიტანელი, ვინც იმ გასწრებას სეზონის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად აფასებს.

რა თქმა უნდა, სეზონის მოგებით დაწყებას რაიკონენიც აპირებს. ფინელმა "აისმენმა" (ყინულის კაცმა) შარშანდელი სეზონი გამარჯვებით დაიწყო და ზედიზედ ორი მოგებით, ჩემპიონის რანგში დაასრულა. ჰოდა, ახლაც იმავეს აპირებს.

*"რა თქმა უნდა კარგია, როცა ჩემპიონატს გამარჯვებით იწყებ. შარშან პირველივე რბოლის მოგება შევძელი, თუმცა შემდეგ მაინც მდევრის როლში ყოფნამ მოგვიწია. შარშან გუნდში ახალბედა ვიყავი და გარკვეული პრობლემები მქონდა. ახლა კი აქ შინაური კაცი ვარ, ყველას და ყველაფერს კარგად ვიცნობ, ინჟინრებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. მანქანითაც კმაყოფილი ვარ. მოკლედ, ყველა წინაპირობა მაქვს იმისათვის, რომ კვლავ გამარჯვებისთვის ვიბრძოლო"*, - ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი.

## ჩემპიონატის მონაწილეები

| | | |
|---|---|---|
| **ფერარი**<br>Scuderia Ferrari Marlboro<br>- მანქანა: Ferrari F2008<br>- **ხელმძღვანელობა:** სტეფანო დომენიკალი, მარიო ალმონდო<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ალდო კოსტა, ჟილ სიმონი, ნიკოლას ტომბაზისი<br>- **ბაზა:** მარანელო, იტალია | **1. კიმი რაიკონენი (ფინეთი)**<br>17.10.79; 175 სმ; 62 კგ<br>**2. ფელიპე მასა (ბრაზილია)**<br>25.04.81; 166 სმ; 60 კგ<br><br>**ტესტ-პილოტები:** მარკ ჟენე (ესპანეთი) და ლუკა ბადოერი (იტალია) |  |
| **BMW-ზაუბერი**<br>BMW Sauber F1 Team<br>- **მანქანა:** Sauber BMW F1.08<br>- **ხელმძღვანელობა:** მარიო ტისენი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ჰაინც პაშენი, ვილი რამპფი, უილემ ტოსტი<br>- **ბაზა:** ჰინვილი, შვეიცარია | **3. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია)**<br>10.05.77; 164 სმ; 60 კგ<br>**4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი)**<br>07.12.84; 184 სმ; 74 კგ<br><br>**ტესტ-პილოტები:** კრისტიან კლინი (ავსტრია) და მარკო ასმერი (ესტონეთი) |  |
| **რენო**<br>ING Renault F1 Team<br>- **მანქანა:** Renault R28<br>- **ხელმძღვანელობა:** ფლავიო ბრიატორე<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ბობ ბელი, რობ უაიტი, პეტ სიმონდსი<br>- **ბაზა:** ენსტოუნი, ბრიტანეთი | **5. ფერნანდო ალონსო (ესპან.)**<br>29.07.81; 171 სმ; 65 კგ<br>**6. ნელსინიო პიკე (ბრაზილია)**<br>25.07.85; 170 სმ; 63 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** რომენ გროჟანი (საფრანგეთი) |  |
| **უილიამსი**<br>AT&T WilliamsF1 Team<br>- **მანქანა:** Williams Toyota FW30<br>- **ხელმძღვანელობა:** ფრენკ უილიამსი, პატრიკ ჰედი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** სემ მაიკლი, იორგ ზენდერი<br>- **ბაზა:** გროუვი, ბრიტანეთი | **7. ნიკო როსბერგი (გერმანია)**<br>27.06.85; 178 სმ; 71 კგ<br>**8. კაზუკი ნაკაჯიმა (იაპონია)**<br>11.01.85; 173 სმ; 62 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** ნიკო ჰიულკენბერგი (გერმანია) |  |
| **რედ ბული**<br>Red Bull Racing<br>- **მანქანა:** Red Bull Renault RB4<br>- **ხელმძღვანელობა:** დიტერ მატეშიცი, კრისტიან ჰორნერი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ედრიან ნიუი, ჯეფრი უილისი, რობერტ ტეილორი<br>- **ბაზა:** მილტონ-კეინსი, ბრიტანეთი | **9. დევიდ ქულთარდი (ბრიტან.)**<br>27.03.71; 182 სმ; 75 კგ<br>**10. მარკ უებერი (ავსტრალია)**<br>27.08.76; 184 სმ; 74 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** სებასტიან ბუესი (შვეიცარია) |  |
| **ტოიოტა**<br>Panasonic Toyota Racing<br>- **მანქანა:** Toyota TF108<br>- **ხელმძღვანელობა:** ცუტომა ტომიტა, ჯონ ჰაუიეტი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ნორიტოში არაი, პასკალ ვასელონი<br>- **ბაზა:** კიოლნი, გერმანია | **11. იარნო ტრული (იტალია)**<br>13.07.74; 173 სმ; 69 კგ<br>**12. ტიმო გლოკი (გერმანია)**<br>18.03.82; 169 სმ; 64 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** კამუი კობაიასი (იაპონია) |  |
| **ტორო როსო**<br>Scuderia Toro Rosso<br>- **მანქანა:** STR Ferrari STR2B, STR3<br>- **ხელმძღვანელობა:** გერჰარდ ბერგერი, ფრანც ტოსტი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** ჯორჯო ასკანელი, გაბრიელე ტრედოცი<br>- **ბაზა:** ფაენცა, იტალია | **14. სებასტიან ბურდე (საფრან.)**<br>28.02.79; 168 სმ; 67 კგ<br>**15. სებასტიან ფეტელი (გერმ.)**<br>03.07.87; 176 სმ; 62 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** არ ჰყავს |  |
| **ჰონდა**<br>Honda Racing F1 Team<br>- **მანქანა:** Honda RA108<br>- **ხელმძღვანელობა:** ნიკ ფრაი, როს ბრაუნი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** სუჰეი ნაკამოტო, იასუჰირო ვადა, ლოიკ ბიგუა<br>- **ბაზა:** ბრეკლი, ბრიტანეთი | **16. ჯენსონ ბატონი (ბრიტან.)**<br>19.01.80; 182 სმ; 73 კგ<br>**17. რუბენს ბარიკელო (ბრაზ.)**<br>23.05.72; 172 სმ; 77 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** ალექს ვიურცი (ავსტრია) |  |
| **სუპერ აგური**<br>Super Aguri F1<br>- **მანქანა:** Super Aguri Honda SA08<br>- **ხელმძღვანელობა:** აგური სუძუკი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** მარკ პრესტონი, პიტერ მაკული<br>- **ბაზა:** ლივფილდი, ბრიტანეთი | **18. ტაკუმა სატო (იაპონია)**<br>28.01.77; 163 სმ; 60 კგ<br>**19. ენტონი დევიდსონი (ბრიტ.)**<br>18.04.79; 162 სმ; 55 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** არ ჰყავს |  |
| **ფორს ინდია**<br>Force India<br>- **მანქანა:** Force India Ferrari VJM01<br>- **ხელმძღვანელობა:** ვიჯეი მალია, კოლინ კოლესი<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** მაიკ გასკოინი, მარკ სმიტი, ჯეიმს კი<br>- **ბაზა:** სილვერსტოუნი, ბრიტანეთი | **20. ადრიან სუტილი (გერმანია)**<br>11.01.83; 183 სმ; 75 კგ<br>**21. ჯანკარლო ფიზიკელა (იტა)**<br>14.01.73; 172 სმ; 68 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** ვიტანტონიო ლიუცი (იტალია) |  |
| **მაკლარენი**<br>Vodafone McLaren Mercedes<br>- **მანქანა:** McLaren Mercedes MP4-23<br>- **ხელმძღვანელობა:** რონ დენისი, ნორბერტ ჰაუგი, მარტინ უიტმარში<br>- **კონსტრუქტორთა შტაბი:** პადი ლოუ, ნილ ოუტლი<br>- **ბაზა:** უოკინგი, ბრიტანეთი | **22. ლუის ჰემილტონი (ბრიტ.)**<br>07.01.85; 174 სმ; 64 კგ<br>**23. ჰეიკი კოვალაინენი (ფინ.)**<br>19.10.81; 170 სმ; 63 კგ<br><br>**ტესტ-პილოტი:** პედრო დე ლა როსა (ესპანეთი) |  |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**საკრამენტო-პორტლენდი 96:85**

34:27, 24:16, 14:20, 24:22

საკრამენტო: არტესტი (22 ქ. 6 ჩ), ბ. მილერი (14 ქ. 7 მ. 2 ჩ), უდრიხი (14 ქ. 8 მ. 7 პ), სალმონსი (11 ქ. 2 ჩ), მური (10 ქ. 5 მ).

პორტლენდი: როი (21 ქ. 9 მ. 6 პ. 2 ჩ), ოლდრიჯი (20 ქ. 6 მ), ტ. აუთლო (13 ქ. 5 მ. 2 დ), უებსტერი (10 ქ), პრჟიბილა (4 ქ. 10 მ. 2 დ).

**ვაშინგტონი-კლივლენდი 101:99**

27:24, 19:30, 34:25, 21:20

ვაშინგტონი: კ. ბატლერი (19 ქ. 6 მ), ჯეიმისონი (17 ქ. 10 მ), სონგაილა (15 ქ), ჰეივუდი (14 ქ. 7 მ), სტივენსონი (13 ქ. 5 პ. 3 მ. 3 ჩ), ა. დენიელსი (10 ქ. 7 პ), ნ. იანგი (10 ქ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (25 ქ. 7 მ. 7 პ), პავლოვიჩი (24 ქ), დელონტე უესტი (10 ქ. 7 პ).

**ფინიქსი-გ. სტეიტი 123:115**

34:39, 23:23, 38:22, 28:31

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (36 ქ. 11 მ. 4 დ), ნეში (21 ქ. 13 პ), რ. ბელი (18 ქ. 7 მ), დიაო (16 ქ. 7 მ. 5 პ), ბარბოსა (14 ქ. 2 ჩ), შ. ონილი (9 ქ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (38 ქ. 9 მ. 8 პ. 2 ჩ), მ. ელისი (23 ქ. 8 მ. 3 ჩ), მ. პიეტრუსი (16 ქ. 8 მ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (13 ქ), ე. ჰარინგტონი (11 ქ. 2 დ).

## ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. V ტური

### A ჯგუფი

**პანათინაიკოს-მონტეპასკი 77:76**

17:27, 26:18, 19:16, 15:15

პანათინაიკოსი: ბატისტე (18 ქ), სპანულისი (13 ქ), იასიკიავიჩუსი (12 ქ. 5 პ), ფერფეროლლუ (11 ქ).

მონტეპასკი: ბ. ტორნტონი (19 ქ. 7 მ), მაკინტაირი (15 ქ. 5 პ. 2 ჩ), კ. ლავრინოვიჩი (12 ქ. 7 მ. 2 დ), ილიევსკი (10 ქ).

**ეფესი-პარტიზანი 79:83**

19:24, 10:14, 18:30, 32:15

ეფესი: ჯ. პენი (33 ქ), აბი (12 ქ), გრეგორი (10 ქ), კიუგო (10 ქ. 6 მ), გონლუმი (9 ქ. 13 მ).

პარტიზანი: პეკოვიჩი (22 ქ. 6 მ), ტრიპკოვიჩი (12 ქ), პალასიო (11 ქ. 5 მ. 2 ჩ), ტეპიჩი (11 ქ. 3 ჩ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 3-2 | +25 |
| 2. პარტიზანი | 3-2 | +1 |
| 3. პანათინაიკოსი | 3-2 | -7 |
| 4. ეფეს პილზენი | 1-4 | -19 |

### C ჯგუფი

**რეალი-მაკაბი 100:103 (ო)**

23:19, 23:21, 24:31, 19:18, 11:14

რეალი: ფ. რეიესი (21 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჰერველი (20 ქ. 11 მ. 2 ჩ), ბალოკი (17 ქ. 7 პ. 2 ჩ), ლოპესი (13 ქ), ჩ. სმიტი (12 ქ).

მაკაბი: ტ. მორისი (23 ქ. 13 მ. 2 ჩ. 2 დ), ვუიჩიჩი (16 ქ), ჰალპერინი (16 ქ), ე. ბატისტა (10 ქ. 6 მ), უ. ბინუმი (9 ქ. 6 პ).

**ჟალგირისი-ოლიმპიაკოსი 52:61**

9:13, 19:14, 15:12, 9:22

ჟალგირისი: მაციულისი (10 ქ), მ. ბრაუნი (9 ქ. 5 მ), დ. კოლინზი (9 ქ. 5 მ. 5 პ), იანკუნასი (8 ქ. 10 მ).

ოლიმპიაკოსი: ლ. გრირი (14 ქ. 5 ჩ), მ. ჯექსონი (11 ქ. 6 მ), ბურუსისი (9 ქ. 8 მ. 3 დ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. მაკაბი | 3-2 | +6 |
| 2. რეალი | 3-2 | +5 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 3-2 | -2 |
| 4. ჟალგირისი | 1:4 | -9 |

### B ჯგუფი

**ტაუგრესი-არისი 90:74**

22:24, 21:13, 20:18, 27:19

ტაუგრესი: სპლიტერი (18 ქ. 2 ჩ), პრიჯიონი (16 ქ. 5 მ. 4 ჩ), რაკოჩევიჩი (11 ქ), მუონეკე (10 ქ).

არისი: მასეი (26 ქ. 7 მ. 3 ჩ), მოტოლა (12 ქ. 5 მ), ვ. ბოისა (5 ქ. 2 მ. 1 პ).

**ლ. რიტასი-ფენერბახჩე 87:84**

18:26, 20:20, 25:24, 24:14

ლიეტუვოს რიტასი: პრაისი (22 ქ), ეიდსონი (16 ქ. 2 ჩ), ბაირამოვიჩი (15 ქ. 7 მ), ვრომანი (12 ქ. 6 მ), იომანტასი (10 ქ. 2 ჩ. 2 დ).

ფენერბახჩე: კინსი (20 ქ. 2 ჩ), სოლომონი (18 ქ. 6 პ. 3 ჩ), ონანი (9 ქ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი | 5-0 | +59 |
| 2. ფენერბახჩე | 2-3 | -11 |
| 3. ლ. რიტასი | 2-3 | +8 |
| 4. არისი | 1-4 | -56 |

### D ჯგუფი

**ცსკა-უნიკახა 93:70**

24:16, 20:10, 23:18, 26:26

ცსკა: გორე (16 ქ), სმოდიში (14 ქ), ლენგდონი (13 ქ), პაპალუკასი (12 ქ. 7 პ), ჰოლდენი (10 ქ. 2 ჩ).

უნიკახა: გებრიელი (14 ქ), სანტიაგო (13 ქ. 6 მ), ველში (6 ქ. 7 მ).

**რომა-ბარსელონა 68:63**

22:12, 11:18, 13:20, 22:13

რომა: ე. ლორბეკი (16 ქ. 5 მ. 3 ჩ), დ. ჰოკინსი (11 ქ. 4 მ. 3 ჩ), უკიჩი (11 ქ), დე ლა ფუენტე (5 ქ. 8 მ).

ბარსელონა: გრიმაუ (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ტრიასი (17 ქ. 8 მ), ილიასოვა (9 ქ. 7 მ. 4 ჩ).

| | მ-წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 4-1 | +64 |
| 2. ბარსელონა | 2-3 | +8 |
| 3. უნიკახა | 2-3 | -27 |
| 4. რომა | 2-3 | -45 |

# ორი საუკეთესო

ევროლიგის მეხუთე ტურში ორ მოთამაშეს მიანიჭეს MVP-ის ტიტული. ესენი არიან **სკუნი პენი** ("ეფესი") და **აქსელ ერველი** ("რეალი"). ორივეს მარგი ქმედების კოეფიციენტმა 32 ერთეული შეადგინა.

პენმა "პარტიზანთან" მატჩში კარიერის რეკორდი დაამყარა - 33 ქულა (საუკეთესო შედეგი ტურში) ჩააგდო. ამას დაუმატა სამი მოხსნა და ოთხი პასი.

"რეალი" საკუთარ მოედანზე ოვერტაიმში "მაკაბისთან" დამარცხდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ერველისთვის 20 ქულა, 11 მოხსნა და 2 ჩაჭრა დაეგროვებინა.

## ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტამპა ბეი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ჰალპერნი-15 (კუბა-21, დ. ბოილი-15), 0:2 ა. კარლსონი-2 (ი. იოკინენი-18, ლუნდინი-6), 1:2 კობესიუ-20 (მტურმი-26, ვიდემანი-21), 1:3 ლეკავალიე-37 (სენტ ლუისი-54, რეინჯერი-19).

**ატლანტა-კალგარი 6:4**

0:2, 3:2, 3:0

გოლები: 0:1 ლენგკოუ-27, 0:2 იგინლა-43 (ა. ოკუანი-23, ლენგკოუ-32), 0:3 იგინლა-44 (ლენგკოუ-33, ჰუსელიუსი-40), 1:3 კოვალჩუკი-46 (ჰოლიკი-15, ტორნბურნი-8), 2:3 კ. არმსტრონგი-12 (პერენი-28, კლი-9), 2:4 უ. პრიმო-3 (ლომბარდი-19, იელი-8), 3:4 კოვალჩუკი-47 (რეკი-29, კრისტენსენი-13), 4:4 ტორნბურნი-4, 5:4 ჰოლიკი-1 (კოვალჩუკი-32, მაკკარტი-6), 6:4 კოვალჩუკი-48 (რეკი-30, ჰოლიკი-16).

**მონრეალი-ოტავა 0:3**

0:1, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 სპეცა-29 (სტილმანი-35, ალფრედსონი-43), 0:2 სპეცა-30 (მეზაროში-24, სტილმანი-36), 0:3 ვერმეტი-17 (კელი-18, მ. ლაპოინტი-5).

**დეტროიტი-დალასი 5:3**

1:1, 1:2, 3:0

გოლები: 0:1 დელეი-4 (ჯ. ლუნდკვისტი-8, ნორსტრიომი-9), 1:1 ფრანცენი-18 (ლიდსტრიომი-53, დაციუკი-55), 1:2 ი. ლეჰტინენი-13 (ჯ. ლუნდკვისტი-9, ლ. ერიქსონი-15), 1:3 მოროუ-27 (რობიდასი-14, რიბეირო-49), 2:3 დაციუკი-27 (ჰუდლერი-27, ფილპულა-16), 3:3 დაციუკი-28 (ფილპულა-17, რაფალსკი-37), 4:3 სამუელსონი-11 (ფრანცენი-8, ბ. სტიუარტი-17), 5:3 ფილპულა-19 (ზეტერბერგი-42, ლიდსტრიომი-54).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 1:4**

0:0, 1:1, 0:3

გოლები: 1:0 დუმონი-27 (რადულოვი-30, არნოტი-41), 1:1 ფროლოვი-22 (დ. არმსტრონგი-22, ო'სალივანი-26), 1:2 დ. ბრაუნი-30 (დალმანი-2, პრისინგი-14), 1:3, ფროლოვი-23 (ვიშნოვსკი-31, ჰაროლდი-3), 1:4 მ. ელისი-3 (ჯულიანო-5).

**მინესოტა-ნიუ ჯერსი 3:4 (ბ)**

2:0, 1:2, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 ველო-9 (რადივოევიჩი-8, შულტცი-12), 2:0 ბერნსი-13 (ბუშარი-46, მ. კოივუ-21), 2:1 ვიშნევსკი-2 (ზუბრუსი-22), 2:2 ჯონტა-20 (პანდოლფო-11, მადენი-21), 3:2 გაბორიკი-35 (მ. კოივუ-22, ბერნსი-25), 3:3 ზუბრუსი-10 (კლარკსონი-13, რუპი-2).

ბულიტები გაიტანეს: ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი).

**კოლორადო-ედმონტონი 5:1**

1:0, 4:1, 0:0

გოლები: 1:0 ფინგერი-7 (ჰლინკა-20, შჩასტნი-38), 2:0 ჰლინკა-8, 3:0 არნასონი-9 (საკიკი-19, სალეი-23), 3:1 სემ განიე-9 (ჰემსკი-41, სტოლი-20), 4:1 დ. ჯონსი-2 (ბრუნეტი-33, არნასონი-21), 5:1 ვოლსკი-16 (ლაპერიერი-15).

**ფინიქსი-ვანკუვერი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ნ. კაპანენი-10 (ბალარდი-12, ჰანჟალი-25), 2:0 ვინიკი-10 (ჰანჟალი-26).

## სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# ამერიკელთა ტრიუმფი სტელვიოს ფერდობზე

დასასრულს მიუახლოვდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის სეზონი, რომლის ბოლო ეტაპებსაც იტალიის სამთო კურორტ ბორმიოს ლეგენდარული ფერდობი სტელვიო მასპინძლობს. ორივე სქესის მოთხილამურეებს თითო ეტაპიღა დარჩათ ჩასატარებელი. თუმცა, უკვე ცნობილია ორივე დიდი გლობუსის მფლობელი - კაცებში აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მსოფლიო თასს მეორედ დაეუფლა ამერიკელი **ბოდე მილერი**, ქალებში კი აბსოლუტურის გამარჯვებული მისი თანამემამულე **ლინდსი ვონი** გახდა, ვინც ადრე **კილდოუს** გვარით იყო ცნობილი.

მილერი რომ ბროლის დიდ გლობუსს მოიპოვებდა, ეს ჯერ კიდევ სუპერგიგანტის რბოლის შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მისმა ერთადერთმა კონკურენტმა, შვეიცარიელმა **დიდიე კუშემ** გამოაცხადა, რომ სლალომში მონაწილეობას არ მიიღებდა. ვონსაც ტრიუმფამდე სულ რაღაც ოთხი ქულა აკლდა. მართალია, მან გუშინდელ სლალომში მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ მდევრებისთვის მიუწვდომელი გამხდარიყო.

ბოლო 25 წელიწადში პირველად მოხდა, რომ ორივე სქესის მოთხილამურეებს შორის, აბსოლუტურ ჩათვლაში თასს ამერიკელი მოთხილამურეები დაეუფლნენ. 1983 წელს ეს **ტამარა მაკკინიმ** და **ფილ მარემ** შეძლეს. ამასთან, მაკკინის მიღწევის შემდეგ, ბროლის დიდი გლობუსი ამერიკელ ქალებს აღარ მოუპოვებიათ.

გუშინდელი სლალომი ავსტრიელი **მარლის შილდის** გამარჯვებით დასრულდა, ვისაც ამ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსი უკვე განაღდებული ჰქონდა. შილდისთვის ეს მიმდინარე სეზონში მეხუთე მოგებული სლალომი და კარიერაში მსოფლიო თასზე მოპოვებული მეოცე გამარჯვებაა. მასვე იგივე თასი შარშანაც აქვს მოგებული.

რაც შეეხება კაცებს, მათ გიგანტური სლალომის ბოლო ეტაპზე იასპარეზეს და რბოლა ამერიკელი **ტედ ლიგეტის** გამარჯვებით დასრულდა, რომელიც ამ დისციპლინაში თასსაც დაეუფლა. ლიგეტიმ, ვინც კომბინაციაში ოლიმპიური ჩემპიონია, ამჯერადაც აჯობა ავსტრიელ **ბენი რაიხს**, ვინც რბოლაშიც და გიგანტური სლალომის კლასიფიკაციაშიც მეორე ადგილს დასჯერდა.

მილერმა კი მეორე ცდის დასრულება ვერ შეძლო, რის გამოც რბოლა ქულის გარეშე დაასრულა, თუმცა ეს ქულები მას აღარ ესაჭიროებოდა, რადგან აბსოლუტურში ტრიუმფი ისედაც განაღდებული ჰქონდა.

### ბორმიო (იტალია). კაცები. გიგანტური სლალომი

1. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:18.04 (1:08.63, 1:09.41); 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:18.35 (1:08.34, 1:10.01); 3. კიპრიან რიშარი (საფრანგეთი) 2:18.72 (1:08.79, 1:09.93); 4. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 2:18.78 (1:08.45, 1:10.33); 5. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:18.92 (1:08.74, 1:10.18)...

### გიგანტური სლალომის კლასიფიკაცია

1. ტედ ლიგეტი (აშშ) 485; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 438; 3. მანფრედ მიოლგი (იტალია) 376; 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) 293; 5. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 284...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბოდ მილერი (აშშ) 1409; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1263; 3. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1253; 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 898; 5. მანფრედ მიოლგი (იტალია) 884...

### ბორმიო (იტალია). ქალები. სლალომი

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:52.78 (52.09, 1:00.69); 2. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) 1:52.85 (52.74, 1:00.11); 3. სარკა ზაჰობსკა (ჩეხეთი) 1:53.02 (52.14, 1:00.88); 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:53.08 (52.33, 1:00.75); 5. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:53.12 (53.17, 59.95)...

### სლალომის კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 640; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 515; 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) 501; 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 484; 5. სარკა ზაჰობსკა (ჩეხეთი) 392...

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ლინდსი ვონი (აშშ) 1367; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1159; 3. მარია რიში (გერმანია) 1146; 4. მარლის შილდი (ავსტრია) 1080; 5. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1037...



ტედ ლიგეტი და მარლის შილდი

## კალათბურთი

### სპურსმა უდოკა დაკარგა

"სან ანტონიო სპურსის" ფორვარდი **იმე უდოკა** (ამ სეზონში 5.5 ქულა და 3.0 მოხსნა) ფეხის ტრავმის გამო მინიმუმ ორ მატჩს გამოტოვებს. ნიგერიელ კალათბურთელს ეს ტრავმა უკვე რამდენიმე მატჩია აწუხებს და ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მოთამაშეს სათამაშო კონდიციების სრულად აღდგენის საშუალება მისცეს. ასე რომ, 30 წლის უდოკა "დეტროიტთან" და "ფილადელფიასთან" შეხვედრებს გამოტოვებს.

### ოდენმა პორტლენდში

2007 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა **გრეგ ოდენმა** ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა. ცენტრალური თავდამსხმელი თავის გუნდს, "პორტლენდს" შეუერთდა და თანაგუნდელებთან ერთად 45 წუთი ივარჯიშა. ის ძირითადად, შეტევით ოპერაციებში მონაწილეობდა და ერთი-ორჯერ, ბურთიც ჩატენა კალათში. ოდენის განცხადებით, მას ვარჯიშისას არანაირი დისკომფორტი არ უგრძვნია.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს შეუერთდა გაზეთი "სპორტი".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა